



ՀԱՅԿԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ
ՄԱՐԿԵՏԻՆԳԻՆԳ

1238/66



საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



ქართული

აქტივობები





კრებული მერაბი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებული მიძღვნილად შოთა რუსთაველის დაბადების
800 წლისთავისადმი

გ ა მ მ დ ი ს ს ა ზ ო ბ ა დ ო მ ბ რ ი ბ ს ა წ ყ ე ი ს ე ბ ზ ე

საკრებულის შემადგენელი ნაწარმოებები: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამილახვანი, ანდრია ავაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გომთა, ლალო გუდიაშვილი, ოთარ თაყმაჯანიშვილი, თაიშვარჯ კახელაძე, ირაკლი ჯაფარიანი, ნიკო კაცხვიანი, ლევან მატარაძე, ზაირა სტურუა (ვ.შვ. მღუაწი), გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ტინდაძე, ლევან ხიშნიანიშვილი.

რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები

ახლა რომ ვიტყვით „არქეოლოგიური ძეგლები“, ვკვლისხმობთ ტერმინის განსხვავებულ შინაარსს თუნდაც წარსულ საუკუნესთან შედარებით: იმიანად „არქეოლოგია“ მოასწავებდა ყოველივე ძველის რისამე კვლევას — დღესაც მოქმედი ტაძრიდან უხსოვარი დროის ქვის ხელსაწყომდე; დაბადება-სახარების ხელნაწერებიდან რომელიმე გვიანდელი ერისთავის ვერცხლის დროშისთავამდე. დღეს-დღეობით კი არქეოლოგიას დაუვიწროვდა მნიშვნელობა და იგი მხოლოდ იმ წიაღისეულ ნაშთებსა თუ საგნებს მოიცავს, რომლებიც მიწით არიან დაფარული და რომელთა საკვლევადა აუცილებელი ხდება არქეოლოგიური თხრა, ხოლო შემდეგ ამონათხარისათვის ერთგვარი „სულის შთაბერვა“, მისი ისტორიული გააზრანება.

სწორედ ასეთ ძეგლებზე გვექნება „ძეგლის მეგობრის“ ამ ნომერში საუბარი, თორემ მიწის ზემოთ ახლაც მედიდურად აღმართულთ ხომ მრავლად მოეპოვებათ რამდენიმეგვარი მესვეურები და მიმხედავები: ზუროთმოძღვრების, მხატვრობისა და მცირე ძეგლთა ისტორიკოსები; წარწერათა თუ სხვაგვარ წერილობით ძეგლთა მცოდნენი და ა. შ.

გარდა ამისა, ჩვენ ვიმსჯელებთ იმ ეპოქის (და თან არც თუ ყოველთვის ბრწყინვალე) ძეგლებზე, რომლის არქეოლოგიაც კარგა ხანს ზედმეტად ითვლებოდა — ძალიან ახლოა ჩვენთან ის დროება, მატრიანებშიაც არის ასახული — და არც ვითარდებოდა მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე. კერძოდ კავკასიის შუა საუკუნეთა არქეოლოგიის დაფუძნება-წარმატებაში დიდი და წამაქეზებელი როლი ითამაშა ცნობილი ნიკო მარის ნაყოფიერმა გათხრითმა საქმიანობამ სომხეთის ერთ-ერთი ძველი დედაქალაქის ანისის გაუდაბურებულ ნანგრევებზე. იმ ნამუშევარმა ცხადყო, თუ რაოდენი უმნიშვნელოვანესი ცოდნა შეიძლება შეგვიძინოს ნაქალაქარის, ჩვეულებრივი მშრომლებისა თუ დიდკაცობის სახლ-კარის ნაშთების თხრამ ქვეყნისა და მისი კულტურის ისტორიისათვის. საქართველოში ასეთი კვლევა-ძიების მარჯვედ წამოწყება, თითქმის ნახევარი საუკუნის გამოშვებით, უკავშირდება სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილისა და მისი ერთი საუკეთესო მოწაფე-თანამშრომლის ლევან მუსხელიშვილის სახელებს. ექსპედიციებს მუდმივ კონსულტაციას უწევდა გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე-არქეოლოგი გიორგი ჩუბინაშვილი. მათი წარმატებული მუშაობა ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიაში დაიწყო სწორედ შოთა რუსთაველთან დაკავშირებით, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს საშხადისის დროს, როდესაც ჩამოყალიბდა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი (შემდეგ აჩქარებით, დაუკვირვებლივ გაუქმებული). არქეოლოგიური თხრა რამდენსამე ადგილას — დმანისს, შიომღვიმეს, გეგუთსა და გუ-



დარეხში — მიმდინარეობდა 1936 — 1939 წლების მანძილზე*. იმავე ხანებში პირველად გაიწმინდა იყალთოს „აკადემიის“ ნანგრევი. 1948 წლიდან, სანქტობოვი და სანანური ხარვეზის შემდეგ, ეს საქმე განაგრძო ივ. ჯავახიშვილიმ¹ სახ. ინსტიტუტმა (აკად. ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი, ლ. რჩეულიშვილი, ნ. უგრეღიძე, რ. რამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, გ. გაფრინდაშვილი და სხვ.). თანდათან, მეტადრე ბოლო ათწლეულში მას შეეშველნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (კერძოდ, 1960 წლიდან დმანისის თხრა წარმატებით განაახლა ვ. ჯაფარიძემ²). ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (აკად. შ. ამირანაშვილის საერთო ხელმძღვანელობით), მეცნიერებათა აკადემიის სპელოლოგიური კომისია, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და აფხაზეთის საკვლევი ინსტიტუტი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტისა თუ გაერთიანებულ ექსპედიციათა მიერ ნათხარი ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ: ძველი თბილისის ორი უბანი, კუბეთის რუსთავის ნაქალაქარი და ნაციხვარი, უჯარმის ციხე-დარბაზში მოწყობილი საჭურჭლის საცავი, ჯავახეთის ახალქალაქის ნაციხე-ქალაქარი, ავრის სიონის სამაროვანი, უფლისციხე, ძველი თელავი, ნასოფლარები მცხეთაში, სამშვილდისა და ბოლნისის ქვეყნებში, ნასასახლეები მცხეთასა და სამშვილდის ქვეყანაში, სამთა-მადონო-მეტაბურგიული წარმოების ნაშთები ბოლნისის ქვეყანაში, ნინის საწარმოს ნაშთები ნატბურს (მცხეთის ქვეყანაში), ვანის ქვაბების ნამონასტრევი ვარძიის მახლობლად.

ეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმოსწვდება საერთოდ მთელ ფეოდალურ პერიოდს, მაგრამ თავისთავად, ბუნებრივ ისე ხდება, რომ მეტ-ნაკლებ გათხრილი ძეგლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი — მთლიანად ან სათანადო მძლავრი ფენის სახით — ეკუთვნის სწორედ რუსთაველის ხანას, ზოგადად XI — XIII საუკუნეებს. აქვე დავძენთ, რომ სწორედ იმ დრომ, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ყოველმხრივ მძლავრი ქართული ფეოდალური სახელმწიფო თითქმის მთელი წინა აზიის გამძლეოდ იქცა, შეუშხადა ხელსაყრელი ვითარება ქართველი ერის კულტურის, სულიერი შემოქმედების უდიდეს გაფურჩქვნას და ან უკანასკნელის ერთ-ერთ მწვერვალს — „ეფესისტყაოსანსაც“. ამიტომ გვეძლევა უფლება, „რუსთაველის ხანად“ მოვნათლოთ ის 3 საუკუნე, რომელიც X საუკუნის მიწურულსა და მონღოლთა მძვინვარების განსაკუთრებული დამძიმების წლებს შორის ექცევა და რომელსაც ძველი საქართველოს ისტორიის „კლასიკურ ხანასაც“ უწოდებენ ზოგჯერ. „თამარის ხანასაც“ და ა. შ.

ახლა თუ მივებრუნდებით საკუთრივ ნივთიერი კულტურის ძეგლებს, ცხადია, რომ დასახელებული სამი საუკუნის მანძილზე წარმოქმნილი თუ არსებითად გარდაქმნილი ძეგლები აგვისახავენ ღონიერი, ლაღად ფრთაგაშლილი სახელმწიფოს კულტურულ მებობას; მრავალი კონკრეტული, ახალი მასალით გვიმდიდრებენ თუ გვიზუსტებენ „რუსთაველის საქართველოს“ წერილობით ისტორიას.

*. ამრიგად, წელს სრულდება 30 წელიწადი საერთოდ ფეოდალური ხანისა და, კერძოდ, რუსთაველის ხანის არქეოლოგიის დაწყებიდან საქართველოში

** . დმანისის ახალი განათარის შესახებ ვ. ჯაფარიძის წერილი, იხ. ამავე კრებულში



ქუთაისის რესტორანი. თიხის მოკოქეული ჯამი, ვერხის გამოსახულებით დამშვენებული



ამრიგად, XI — XII საუკუნეთა ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ გვმართებს ორიოდ სიტყვის თქმა. ეს იქნება ერთგვარი შეჯამება ალარც თუ მეტი რე მცენიერული ნამუშევრისა თითქმის მესამედი საუკუნის მანძილზე (ონიანტუბის დროის, უფრო სწორად, 1940 — 1947 წლების გამოკლებით).

ამ ნამუშევრის ერთი დიდი, თვისობრივ ახალი ღირსება ის არის, რომ მეტ-ნაკლებ გათხრილი და შესწავლილია მრავალგვარი (თითქმის ყოველ-ნარი შესაძლო) ძეგლები: ნაქალაქარები (ან დღესაც მყოფლობს ქალაქთა ძველი ნაწილები), ნაიხვარები, ნასოფლარები, ნამოსახლართა შორის თუ ცალკე არსებულ საწარმოო კერათა ნაშთები, სამაროვნები, ნამონასტრევები, ნასასახლარები, ნაწყალსადენარები, ნამალაროვები.

მეორე დიდ ღირსებად ის უნდა ჩათვალოს, რომ რუსთაველის დროინდელი ძეგლები იხსნებოდა და იხსრება ისტორიული საქართველოს სისხლხორცეულად შეზადგენელი ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში: შილა ქართლში (თბილისი, მცხეთა, შიომღვიმე, უფლისციხე), ქვემო ქართლში (დმანისი, გუდარეხი, სამშვილდის მხარე, ნადარბაზევი, ბოლნისის მხარე), კუხეთში (რუსთავი), კახეთში (უჯარმა, თელავი), ჯავახეთში (ახალქალაქი), იმერეთში (გეგუთი, ქუთაისი) და აფხაზეთში (სოხუმი, ანაკოფია).

მესამე ისაა, რომ თანდათანობით გვიყალიბდება იმდროინდელი საქართველოს „საწარმოო არქეოლოგია“ — იმის წყალობით, რომ ჩვენს მკვლევარებს თათსნობა და მხხეობა არ მოუკლიათ წარმოების ზოგიერთი დარგის ამსახველი ნაშთების გამოძებნა-გათხრისათვის რის შედეგებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ეს ერთი უმნიშვნელოვანესი მინაღწევარია, თვისობრივ სრულიად ახალი, იგივე უნდა ითქვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების, უფრო სწორად, სათანადო მწარმოებელთა ძეგლების — ნასოფლარების გათხრა-შესწავლაზე, რაც ამ ოცი წლის წინ სრულიად არ მდგარა ყურადღების არეში.

მეოთხედ ის უნდა დაეასახელოთ, რომ უკვე ხერხდება თხრით შესწავლილი ისეთი ქალაქების არქეოლოგიური ისტორიის მონახვა, როგორცაა თუნდაც თბილისი, დმანისი, უჯარმა, ივრის სიონი (ჩვენი აზრით, იგივე ძველი ქალაქი), კუხეთის რუსთავი, თელავი და ჯავახეთის ახალქალაქი. ეს მონახაზი თითქმის ყველგან უძველესი დროიდან (ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა) ფეოდალური ხანის ბოლომდე მოდის, თუმცა კი მეტწილ ბარევებით. მაგრამ, რალა თქმა უნდა, ახლა ყველაზე უფრო გვანტერესებს ქალაქთა ისტორიის მონაკვეთი, რომელსაც რუსთაველის ხანას ვუწოდებთ და რომელიც, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, საქართველოს ქალაქების უდიდესი გაფურჩქნელობის დროსაც წარმოადგენს. ქალაქთა არქეოლოგიური ისტორია არსებითად ემთხვევა წერილობითს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ძლიერ ავსებს და ხშირად საგრძნობლადაც აზუსტებს მას: თხრით გამოვლენილი ნივთიერი ძეგლები და წარწერები ისეთ მოვლენებს გვამცნობენ ხოლმე, რომელთა არსებობას გულშიაც ვერ გავივლებდით, მატრიანებისა და ისტორიკოსთა თხზულების სიტყვამომპირნე, ზოგჯერ მხოლოდ ნართაულ ცნობების ამარა მყოფნი.

მეხუთე ისაა, რომ ჩვენმა არქეოლოგიამ უკვე გამოგვინაკვა და დაგვანახვა რამდენიმე ძირითადი ნიშან-თვისება რუსთაველის დროინდელი ქართველი ერის, მისი სხვადასხვა სოციალური ფენის ნივთიერი კულტურისა და ყოველდღიური ყოფა-საქმიანობისა. ასე მაგ., მეტ-ნაკლებ თვალნათლივ ვიცი (შესწავლილ



მხარეთა მიმართ), თუ როგორი ციხე-გოდოლებით დაუცავთ ხოლმე თავი; როგორ: სახლებში უცხოვრიათ; რაწინადად ჰქონიათ შიგნით მოწყობილი — ^{ქუჩების, მშენებ} ქალაქებს, ფეოდალებს, ბერებს, მეფეებს — ბინა თუ საყურდელი ნაწილი; როგორ და რა ხელსაწყოებით უშუშავნიათ შშენებლებს, მიწათმოქმედებს, მეთუნეებს, მინის მზერავენს, მკედელ-ზინკლებს, ოქრომჭედლებს და ა. შ.; როგორი ქურჭლით მიერთმევიათ ხოლმე საჭმელ-სასმელი; როგორი ჩაცმა-დასურვა და სამკაული სცოდნიათ (მეტყველ ქალებს) და სხვ. და სხვ.

მოგვეპოვება რამდენიმე დაკვირვება, რომლებიც გვათქმევინებენ, რომ საერთოდ ჩვენი ერის ნივთიერი კეთილდღეობა ეუქველია, მიუხედავად ქონებრივი შემძლეობის მკაფიო სხვადასხვაგვარობისა. ეს ბუნებრივიც არის: საქართველო ძლევაშოსილია, უჩვეულო აყვავებას განიცდის და უშუალო მწარმოებლებსაც კი ერგებათ, ჩანს თუნდ მცირე ხვედრი, რომელიც მათ ასე თუ ისე წილს უშვარებს.

რუსთაველის ხანის ციხე-ქალაქთა შესახებ სადღეისოდ ყველაზე უფრო სრულ წარმოდგენას ვეიქმნის დმანისისა და კუხეთის რუსთავის განათხარი; ჯერჯერობით ნაკლებს — ჯავახეთის ახალქალაქისა, თბილისისა, თელავისა. დმანისი და რუსთავი, ამასთანავე, მრავალი ნიშნით უპირისპირდება ერთიმეორეს და მტკვარს-სამხრეთი ქართული ქვეყნებისათვის დანახასიათებელი ტაძრ ჩრდილოურისაგან მკაფიოდ განსხვავებული წარმოგვიდგება, ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის შესაბამისად: იქ მაღალ ზეგანზე, ორი ძლიერი მდინარის შესართავთან გაშენებული, მხოლოდ ნაწილობრივ მოზღუდვით, დავური ქანის დიდრონი ნატეხებით ამოყვანილ ნაგებობათა მქონე ციხე-ქალაქია, რომელსაც ეროვნულად და სარწმუნოებრივ კრელი მოსახლეობა — მეტწილ ვაჭარ-ხელოსნები — ცხოვრობს, ცხადია, მეციხოვნეთა მხარდამხარ. აქ კი მტკვრისპირა ნომცრო მალღობზე აგებული მკვიდრი ციხეა, მას შიგნით მჭიდრო სამოსახლო, ხოლო ციხესთან გამოღებულ ძველისძველ არხს გამოღმა ვაკეზე — ჩანს, უზღუდო და ისევე მჭიდროდ გახლავებული ქალაქი: ქვითკირისა და ქვათლილებით შემოსილი მხოლოდ ციხის გალავანი, ტაძრები და სასახლეა, დანარჩენი შენობები ყველა რიყისქვითა და თიხით არის ამოყვანილი და ბანურად გადახურული ყოფილა (ორიოდეთუა კრამიტიანი), რუსთავის მოსახლეობა ბევრად უფრო ქართული ჩანს — თუნდაც არც თუ მცირერიცხოვანი ასომთავრული წარწერებისა და წმინდა ქრისტინის ნული სამაროვნის მიხედვით. დმანისიცა და რუსთავიც ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში იქცევიან მნიშვნელოვან ქალაქურ ცენტრებად, მაგრამ უდიდეს განვითარებას რუსთაველის ხანაში აღწევენ. რუსთავი ერთი დაკვრით ესაბოზა როგორც ქალაქი (მონღოლთა მიერ, 1265 წ.), დმანისი — უფრო თანდათანობით. დმანისს ზედმიწევნით მოგვაგონებენ სამშვილდე და ჯავახეთის ახალქალაქი; რუსთავის მსგავსი დასახელება გაძნელდება (ისევ ძველი ურბანისი!); თბილისი და თელავი სხვაგვარად არიან აგებულ-მოწყობილი; დასავლეთი საქართველოს ქალაქებს არქეოლოგიურად ჯერ თითქმის არ ვიცნობთ შუაფეოდალურ ხანაში...

არის ერთი წყება ძველები, იმავე შუაფეოდალური ანუ რუსთაველის ხანის კუთვნილი, რომელთაც არქეოლოგია არქიტექტურის ისტორიკოსთა მხარდამხარ იკვლევს. მათგან უპირველეს ყოვლისა დასასახლებელია დიდებული სამეფოსასახლის ნანგრევი გეგუთის ველზე, ქუთაისის მახლობლად. ცნობილია, რომ ის სასახლე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს ემსახურებოდა ხოლმე, შემდეგ — გიორგი მესამეს (რომელმაც აგურის შენობა მიადგა ქვისას), თამარს



თბილისი, XIII საუკუნის კრამიკული საბელოსნოს თიხის მოკიჭელი ჯამი,
ფრინველის გამოსახულებით დამშვენებული



და ა. შ., როგორც „საზამთრო სადგომი“. სასახლე ყოველმხრივ კარგად, გვირგვინოსანთა საკადრისად მოწყობილი (აბანო, ბუხარი და სხვ.) და მოჭიქული კრამიანული ტიპით დაბურული ყოფილა. ყურადსაღებია მის გარეთა სამოსელში შემაჯავალსმისა და აგურის ჩარჩოებში მოქცეული კუთხა ქვებისა, რომელსაც არქეოლოგია ახლა უკვე სწორედ შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს (თბილისის დედაციხე და ქალაქის ზღუდე, რუსთავეის ზღუდე, არმაზისხევის მონასტრის საყდარი და სხვ.). გეგუთის ნასასახლევის გათხრა ჯერ კიდევ ნ. მარს ეწადა, მაგრამ ომში შეუსალა ხელი. რუსთაველის პირველი იუბილეს დროს ჩატარებულმა მცირე მუშაობამ სასახლის აღნაგობა-თავგადასაველის ზოგი საკითხი ბუნდოვანივც დასტოვა, მაგრამ ათიოდე წლის წინ ძეგლი სავსებით გაიწმინდა და შეკეთდა კიდევაც (გ. ცინცაძის ხელმძღვანელობით), ოღონდ ის ნამუშევარი ჯერაც გამოუქვეყნებელია. გეგუთი კი რმიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ დავითისა თუ თამარის სასახლეები თბილისსა და ქუთაისში თითქმის უკვალოდ დაკარგულად უნდა ვიგულოთ — არქეოლოგიური გათხრისათვის მისაწვდომობის მხრივ მაინც.

ომის შემდეგ მოხერხდა კიდევ ერთი, ბევრად უფრო მოკრძალებული, მაგრამ რეგიანად შენახული სასახლის ნანგრევის გათხრა-შესწავლა. ეს არის ქვემო ქართლს, სანუვილდის შორაახლო მიდამოში, ტყიან ადგილას მდებარი „ნადარბა ზევი — თამარ მეფის ნასასახლევი“ (ვახუშტი). თითქოს მისი ასეთი კუთვნილება საეჭვო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ საერთოდ ის მხარე სამეფო სახლისად ითვლებოდა ხოლმე და ამ უკანასკნელს იქ მრავალი ყურადსაღები ძეგლი აქვს დატოვებული. მაინცა და მაინც, თუ თამარის მრავალთავან ერთი, საზაფხულო საფანე არა, იქაური დიდი ფეოდალის ისეთივე სასახლე უნდა იყოს, იგი შედგება მოზრდილ ვაკეზე მკვიდრად აღმართული ქვითკირის ლაგური ქანის ქვათლილებით შემოსილი ორი — ძირითადი და დამხმარე — ისეთივე გალავნით შემოზღუდული, ნაგებობისაგან. უდიდეს სენაკს ოთხი სვეტი ჰქონია, სარკმელები ვიწრო და დაბალი აქვს, სახურავი კრამიტისა უჩანს. ამ უკანასკნელის ნაწილზე აღბეჭდილია თითქოს პერალდიკური ნიშანი — სამყურა ყვავილი. ისეთივე როგორიც ქვემო ქართლის ზოგიერთი ძეგლის ნანგრევებში მოპოვებულსა და თბილისის, XIII საუკუნის, სახელოსნოს ნაწარმს შორის გამოჩენულ რამდენსამე მოჭიქულ კრამიტზე. ფიქრობენ, ეს ყვავილი კრამიტის წარმოების მონოპოლიის ნიშანიაო, სასახლის ნანგრევის თხრისას მრავლად აღმოჩენილი მოჭიქულ-მოუჭიქავი უჯრები, მინის სამაჯურები და ლაშა გიორგის სპილენძის ფული მოასწავებს, რომ იმ შენობებში ყველაზე უფრო ხშირად მართლაც XII — XIII საუკუნეებში უცხოვრიათ და გათხრის მონაწილე არქიტექტორთა დასკვნა, შენობა IX — X საუკუნისებისას ჰგავსო, არ რჩება უყუყუმანოდ გასაზიარებელი. სავანებო ყურადღების ღირსია სასახლის წყალსადენი, რომელშიც წნევით ამოდიოდა წყაროს წყალი.

„საქუთაისოში“ და „სასამშვიდლოში“ შემორჩენილი ეს ორი სასახლეც ისევე განირჩევა ერთი-მეორისაგან — ბუნებრივი პირობების განახევებისა გამო — როგორც დმანისისა და რუსთავეის ნაგებობანი.

მცხეთის ექსპედიციამ, მრავალ სხვა ძეგლთან ერთად, ბოლო წლებში გამოავლინა დიდი და „კეთილშენი“ სასახლის დამარხული ნაშთი სვეტიცხოვლის გვერდით: მრავალსენაკიანი, მარნებიანი და ა. შ., ქვათლილებით შემოსილი და მცირე კუთხოვანი ბურჯების მქონე ნაგებობა ყოფილა. იგი საემაო საბუ-



თიანოზით მიეკუთვნება XI საუკუნეში ტაძრის აგების მოთავეს კათალიკონს მელქისედეკს.


საკმაოდ არის გათხრით შესწავლილი აგრეთვე რუსთაველის დროინდელი ნაქტრევები. ეს შეეხო, უპირველეს ყოვლისა — პირველ იუპილესთან დაკავშირებით — შიომღვიმეს, რომლისათვის სხალტიბიდან 1199 — 1202 წლებში გამოყვანილი, ტექნიკურად შესანიშნავი, თიხის წყალსადენი გაითხარა. შემდეგ ორ წელს ითხრებოდა ნანგრევები ქვემო ქართლს, მდ. ალგეთის აუზში მდებარე გუდარუხის მონასტრისა, რომელიც XIII საუკუნეში ააგო რუსუდან მეფემ. სწორედ იმდროინდელი კერამიკა, ლითონის ფული თუ სხვა საგნები შეადგენს უმთავრესი კულტურული ფენის შინაარსს. საყდარსა და კარიბჭე-სამრეკლოს გარდა, სხვა შენობებიც ქვათლილებით ყოფილა შემოსილი. ისინი კარგად, სრული თავისპატივით (საჯინიბო — მარან — აბანო — საპირფარეოთიყ კი) ყოფილა გამართული: უნდა გვახსოვდეს, რომ მონასტერს დრო და დრო მისი აღმშენებელი და მფარველი რუსუდანაც ეწვეოდა ხოლმე. გარდა ნახმარი თიხის ჭურჭლისა, ნაპოვნია მისი წარმოების უტყუარი ნაშთებიც (ქურის ნაწილები, ნახევარდაბრიკატები, გადანაყარი). ისე რომ, ეტყობა, ბერები ხელოსნურ შრომასაც მიაღვედხენ და ამით შემოსაებალს მატებდნენ მონასტერს. ეს ყურადსაღები და ჩვენს არქეოლოგიაში არც თუ ხშირი დაკვირვებაა.

გელათის სახელგანთქმულ, დაფით აღმამენებლის მიერ დაარსებულ, მონასტერში იწთავითვე აგებულია საგანგებო სამოსწავლო შენობა — აკადემია, გვიან საუკუნეებში სასადილოდ-ლა გამოყენებული. მისი რიგიანად შემონახული ნანგრევი გაიწმინდა და, თუმცა არქეოლოგიური მონაპოვარი თითქმის არა მოუცია რა, ჩვენ თვალთა წინაშე წარმოდგა სამეცადინო დიდი სენაკის აღნაგობა: ქვის მერხები კედლებს შემოსწვრივ, მარმარილოს საყდარი (მოძღვართა კათედრა), საწიგნე-საქაღალდე თახჩები და ა. შ.

იყალთოს მონასტერში (თელავს მახლობლად) გალავანს წიგნით დგას ერთი დიდი, არა-საეკლესიო, მარნიანი შენობის ნანგრევი. აგრეთვე აკადემიად მიჩნეული (ამ აზრს არ იზიარებს ყველა მკვლევარი — მაგ., ე. თაყაიშვილს გაზვიადებად მიაჩნდა გელათის გარდა სხვაგანაც ძიება აკადემიათა ნაშთებისა). მისი ორგზის (1938 და 1966 წწ.) გაწმენდისას მრავლად ამოვიდა რუსთაველის დროინდელი არქეოლოგიური მასალა: მოქიქული კრამიტის, ჯამ-ჭურჭლის ნამტვრევი და სხვ. სასწავლო შენობისათვის დამახასიათებელი აღნაგობა კი, გელათში რომა გვაქვს, აქ მაინცა და მაინც არა ჩანს.

დაწყებულია მუშაობა მცხეთასთან, არმაზისხევის სიღრმეში მდებარე მონასტრისა და მისი კუთვნილი სამოსახლოს ნაშთების, წყალსადენისა და სხვ. გათხრა-გამოვლინებისათვის. არქეოლოგები გადაჭრით ემოწმებიან იმ ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც ამ ბოლო დროს მონასტრის საყდარს (აგურით შემოზარჩოებული კუთხა ქვებით შემოსილს) მიაკუთვნებენ XII საუკუნეს, წინააღმდეგ ზოგი უწინდელი მკვლევარისა, რომელნიც მას გვიანფეოდალური ხანისად მიიჩნევდნენ. ნამოსახლართა კულტურული ფენაც ყველაზე უფრო ინტენსიურად სწორედ რუსთაველის დროინდელ ძეგლებს იძლევა და თითქოს XIV საუკუნეშიც შემოდის ხნოვნებით (ისევე, როგორც, მაგ., ნატბურის მიწის საწარმო).

დასასრულ, რუსთაველის ხანასვე მიეკუთვნება მესხეთში, ვარძიის მახლობლად, ძნელმისაგავალ კლდეში მდებარე მონასტერი ვანის ტვაბები, რომლის ნაწი-



ეროვნული
მუზეუმი

ქუჩის რუხივის განთავსება (1950 წ.) XIII ს. სახლის ნანგრევები: ქოცო, ჯამ-გურგლისა და წითლად შეღებილი ადრესის ნაგებობა



ლობრივ გაწმენდის შედეგებმა შარშან ჩვენი საზოგადოების ცხოველი უფრო
 ღება მიიპყრეს: იჩქით გურგენისძის სამშენებლო წარწერათ, ვერცხლის სახელწოდებით
 თასებით, ჩუქურთმისანი ქვებით და ა. შ. (იხ. „ძველის მგობარი“ № 6) და რომელიც
 უთუოდ ბოლომდე გასათხრელია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მონასტრის კედელზე არის სხვადასხვა ნახატები
 და აგრეთვე ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ („ციხეს ვხი ეზომ მაღალ-სა...“
 და ა. შ.). ეს წარწერები მიეკუთვნება XV საუკუნეს, ე. ი. ორასიოდე წლით
 უფრო ძველია, ვიდრე პოემის უძველესი შემორჩენილი ხელნაწერები.

არის კიდევ ერთი წყება ჩვენთვის ყურადსაღები ძეგლებისა, რომლებიც საქართველოს
 ხშირი ძეგლებდობის შედეგად არიან წარმოქმნილი. ესაა მხელისა-ვალის
 სახეობის საგანგებოდ ამოშენებული და სხვაფრივაც გამართული ქვაბები,
 რომელთა შესწავლაც მთამსვლელობის გარეშე არ ხერხდება. მათგან
 მეტადრე აღსანიშნავია ხვამლრსა (იმერეთ-ლეჩხუმის მიჯნაზე ატყორ-ცნილ
 დიდ კლდეში) და თრეხვის (ქარელის რაიონი, მდ. ხვედურულას ხეობა)
 ქვაბები. პირველის გამოკვლევამ ცხადყო, რომ იქ ორი-სამი ათეული მე-
 ციხონისათვის სადგომიც კი ყოფილა აშენებული, ქვევრებითა და სამზარეულო-
 თრთ, სამალავის ძირას, როგორც სახელმწიფო საჭურჭლეს შეეფერებოდა.
 (ჯამთაღმწერლის ცნობით, მონღოლობის დროს, XIII საუკუნის მეორე ნახევარში,
 დავით ნარინსა და დავით ულუს ხვამლში შენახული ქონების ნაწილი გაუყვიათ
 შუაზე, დანარჩენი კი იმჯერად შიგ დაუტოვებიათ). არის ნიშნები, რომ იქ საჭურ-
 ჭლის მცველებად სვანი მთამსვლელ-მეომრები უნდა პყოლოდათ საქართველოს
 შეფეებს. თრეხვის ქვაბებში აღმოჩენილთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელო-
 ვანია რუსის ტაძრის ქონების სახიზრის მოწყობის შესახებ წარწერა იქაური
 ეპისკოპოსის (და სახელოვანი ისტორიკოსის) ლეონტი მროველისა — XI საუკუ-
 ნის, „დიდი თურქობის“ დროს გაკეთებული. დასასრულ, აქვე უნდა გავიხსენო-
 ნოთ, რომ საქართველოს მთავარი ტაძრის სვეტიცხოვლის საეკლესიო ქონებას სა-
 შიშროებისას ხიზნავდნენ ხევში: ჯერ გერგეტის სამებაში, ხოლო იქიდან — თუ
 საჭირო გახდებოდა — ბეთლემის ქვაბ-მონასტერში, რომელიც მყინვარწვე-
 რის კლდეში იყო, დიდ სიმაღლეზე (გამოკვლეულია მთამსვლელთა მიერ).

აიეთ რთულ სახიზრებს უნდა დაუპირისპირდეს ის, რომელიც უჯარმის ძველ
 (არქეოლოგიურად შესწავლილ) ციხე-დარბაზში მოუწყვია, დანგრეული ზე-
 დაციხის აღდგენა-გადაკეთებით, გიორგი მესამეს: თვით მალლობიცა და ციხეც
 აღვალი მისაგალია, მაგრამ გიორგისა და მის მომდევნო მესვეურებს, კარგა ხანს
 არსაიდან ეგულებოდათ საშიშროება, ქორიხბუდეებში არ ეძებდნენ ქონების დასა-
 მალავ ადგილებს...

დმანისის, კუქეთის რუსთავის, თელავის, უჯარმის, ჯავახეთის ახალქალაქის
 და სხვა ნამოსახლართა ოხრისას ყოველ წუთს ამოდის დიდძალი ნამტკრვეი ჩვეუ-
 ლებრივი თუ მხატვრული თიხის ქურჭლისა და მინის საგნებასა; ნაკლებ -- ლი-
 თონის საგნები. ყოველივე ეს, გულმოდგინედ მოვლილ-შეფუთული, ინახება და
 წყობისად ლაგდება მუზეუმთა თაროებზე. იქმნება უმძლავრესი არ-
 ქეოლოგიური ფონდები. ასევე თქვათ. „ვეფხისტყაოსნის“ ტოლი, თანამოსაკე მცირე ნივთიერი ძეგლებისა.



ზოგი იმ საგანთაგანა თვით პოემის უკვდავ დანწერს თუ არა, მის რომელიმე პირ-
ველ ალტაცებულ მკითხველებს მაინც ეჭირებოდათ ხელში. ამას მით უმეტეს უნდა
დულად წარმოვიდგინოთ, რომ როგორც, მაგ., კუხეიის რუსთავეის განათხრობა უკვე
მანოდ დაგვარწმუნა, მის მოსახლეობაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული წიგ-
ნიერება (ასომთავრული წარწერები საშინაო ჭურჭელზე, კრანტიზე და ა. შ. და
ა. შ.). ეს რომანტიკული წარმოსახვაც რომ არ იყოს, აღნიშნულ საგანთა საუნჯე
(თუნდაც არა ძვირფასი) მეტყველ სურათს გვიხატავს იმისა, თუ — ზემოთაც ით-
ქვა — როგორი ყოველდღიური ყოფითი კულტურა ჰქონიათ ჩვენი ერის ჩვეულებ-
რივ წარმოშადგენლებს, როგორი გემოვნება-მიდრეკილება და ყოველივე ამის და-
კმაყოფილების შესაძლებლობა. ნება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ნაშეღივად ჩვე-
ნებური იერისა და შემკულობის მქონე ათასობით ნივთს შორის არა თუ უფარვისი,
არამედ მოხდენილობას რამდენადმე მაინც მოკლებულიც კი არც ერთი არ მოიძებ-
ნება. ეს კი, რაღა თქმა უნდა, ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებაა და კიდევ
ერთხელ მოწმობს, რომ ქართველ ტომთა მიერ ჯერ კიდევ ენეოლითსა და ბრინ-
ჯაოს ხანაში გამომკვლავებული ესთეტიკური სიფაქიზე (ღრუსიადავ სახმარი საგ-
ნების კეთებაშიც კი) განვითარებულა და გაფურჩქნულა. არქეოლოგები არ აზვია-
დებენ, როდესაც უამისა იუ ხელაღის ნატეხს, ოქროს გულსაკიდსა თუ საყურეს,
მინის სარკმელსა თუ სუნნელის შესანახავი ჭურჭლის ნატეხს, პატრონის სახელის
წარწერის მქონე ჭინჭილასა თუ ფაიანსის ღილს ყველას ერთნაირად ძეგლებს
უწოდებენ. ნივთიერი, აგრეთვე სულიერი, კულტურის რაგვარობის დახასიათება-
ზე რომ მიდგება საქმე, მათაც ისეთივე მნიშვნელობა ენიჭებათ. როგორც „დიდ-
შენსა“ და ნობატულ-წარწერილ ტაძრებს თუ სასოებით გადაწერილ მატიანებს,
ვინაიდან ისინიც რუსთაველისა და მისი ქმნილების თანადაზნაფურნი არიან. იმ-
დროინდელი საყოველთაო სულსკვეთებით ნაკეთები და ნახმარი. ის კი არა და
ზოგჯერ სწორედ იმგვარი ძეგლები გვეუბნებიან ბევრს რასმე ისეთს, რის შესახებ-
ბაც, როგორც ითქვა, დიდრონი სდუმან ან გადაკვრით თუ გვამცნობენ რასმე —
მეტადრე მშრომელ-შწარმოებელ მოსახლეობას როცა ეხება საქმე (აქაც გავიხ-
სენოთ იღ. ჭავჭავაძის ცნობილი, არც თუ უმართებულო სამდურავი, ჩვენი ისტო-
რია მეფეებისა არის და შიგ ერი არა ჩანს!).

რუსთაველის საქართველოს არქეოლოგია ისე წარიიარათა, რომ სადღეისოდ
როდი-ლა ვართ აძულეზული, ათასობით ამონათხარი საგნების ხილვითა და ხელში
დაჭერით სიამოვნებას დაეჯერდეთ: როგორც უკვე აღინიშნა, ადრიდანე გვიბერ-
დება მეცნიერულად ვიკვლით სახელდობრ ის საწარმოო კერები, რომელთაგანაც
მომდინარეობს აღნიშნული საგნები. ესაა ის, რასაც ზემოთ „საწარმოო არქეოლო-
გია“ ვუწოდეთ. ამ უკანასკნელმა თვალნათლივ ჩავვახედა სწორედ იმ მარჯვე,
საქმის მოყვარულ, კარგ ტექნიკური აღჭურვილობისა და გემოვნასწილი თვალის
მქონე, მშურად მომუშავე ხელისნების ყოფა-შრომანი, რომელთა ნაბეღავს ადვი-
ლად განმოვიცნობ; ნაქალაქართა თუ ნასოფლართა თხრისას მრავლად ამონავალ
ნატეხებს შორის.

საწარმოო არქეოლოგიის ძეგლთაგან ყველაზე უფრო მეტყველი გამოდგა
თ ბ ი ლ ს შ ი. 300 არაგველის ბაღში გათხრილი ნაშთი სათუნე სახელისნოსი
და, ჩანს, იქვე ახლოს მდგარი ნინის ოსტატთა სახელოსნოსი: 7 ტურა, ხელსაწყოე-
ბი, ნედლეული, შხა და სანახევროდ შხა ნაწარმი, წუნისა და ნაღვეის გადანა-
ყარი. ეს საწარმოო უბანი უცბად იყო ვანადგურებული (XIII საუკუნის მეორე ნა-



კლდეზე ნაპოვნი ქვის კაპიტონი (XIII ს.)



ხეარში) და ამიტომ მუშაობის მიმდინარეობა ცოცხლად „გაყინული“ წარმოდგება გათხრებლების თვალწინ. იქ უკეთებიათ: მოხატულ-მოქიქული ჯამ-ქურჭელი მოქიქული სამწებნელო კერამიკა (კრამიტი, შორენკეცი), ფაიანსის ულტრამაფინური მინის ქურჭელი, სამაჯურები და სხვ. — ყოველივე ის, რაც გავრცელებულია, თბილისსა თუ სხვა განათხარებში. მინის წარმოების წინაარსიანი ძველი (XIII — XIV საუკუნეებისა) გაითხარა სოფ. ნიჩბისის (მცხეთის რ.) ტყიან მიდამოებში, ნატბეურს. იქ შემორჩენილი იყო: ნაწილობრივ თვით საღებო ღუმელი ანუ თაკარა, მინის ქურჭლისა და სამაჯურთა ნატბეები, გადანაყარი, ზოგიერთი ხელსაწყო. დასასრულ, არ შეიძლება არ გავისეხნოთ სამთამაღნო და მეტალურგიული წარმოების რამდენიმე არა-ნაკლებ წინაარსიანი ნაშთი ბოლნისის ქვეყანაში, რომელიც უძველესი დროიდან XX საუკუნემდე და მეტადრე კი ფეოდალურ ხანაში საქართველოს სახელმწიფოს ძირითად სარკინეთსა და საქურვლის წარმოების საიმედო საყრდენს წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული ნაშთები მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით მიეკუთვნება სწორედ რუსთაველის ხანას, როდესაც რკინის საქურველი თუ სამშვიდობო მოწყობილობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც მანამდე თუ შემდეგ.

არქეოლოგიურად ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით — მეტ-ნაკლებ ძვირფასი ლითონებისაგან იმ ქურჭლეულის, სამკაულისა თუ საეკლესიო საგნების კეთებისა და წარმოების ადგილთა შესახებ, რომელთა საუცხოვო ნიმუშებითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი მუზეუმები: იყო გაუთხრელად, მაგრამ გათხრამ ამ მდიდარ კრებულებსაც შემატა ათეულობით ახალი, თავისებური და ურადსაღები ნიმუშები — მეტადრე რუსთავის ნატლაქარში (ოქროს გულსაკიდი და საყურე, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკერდული ჯვრები და სხვ.) და დმანისში (სადაც სულ ახლახან აღმოჩნდა ვერცხლისა და ოქროს ნივთების შესანიშნავი განძი).

მაგრამ მეცნიერულ არქეოლოგიას არ ეკადრება ყოველივე ამონათხარი საგნის ცალმხრივ, მხოლოდ როგორც ჩვენი სამშობლოს ოსტატთა ნახელაის, განხილვა. პირიქით, ნისი ერთი მიზანი ისიც არის, რომ უცხოეთიდან აღებ-მიცემობითი გზით შემოტანილი ნივთები და ლითონის ფული ამიტყველოს, როგორც ყოველთვის მოქმედი. მეტ-ნაკლებ შორეული საეპრო ურთიერთობის მომასწავებელი ძეგლები და გააკვლის მათი წარმომგზავნი წყაროები (თან არც ის უნდა გვაიწყებოდეს, რომ ჯერ ერთი, სამაგიეროდ უცხოეთშიც ხედებათ ზოღმე ჩვენებური ნივთები და, მეორეც, ზოგი რამ ჩვენში მოტანილი იქნება როგორც ომიანობის თანამდევნი ნადვლი). კერძოდ, თიხის უძვირფასესი ქურჭლის, ფაიანსის მრავალი ნიმუშია შემოზიდული სპარსეთის სხვადასხვა საწარმოო კერიდან (ბევრა კი მერე უკვე ჩვენშია ნაკეთები იქური ნიმუშების მისედვით); ერთი ოქროს საყურე ძალიან ჰგავს სლაგურ ქვეყნებში გავრცელებულთ და ა. შ. უცხოურ მონეტებს შორის გვაქვს: თურქ-სელჩუკურა, ბიზანტიური (ერთი, XI საუკუნისა, ოქროსი, შარშან აღმოჩნდა რუსთავში), მონღოლური და სხვ. დიდი უმეტესობა ქართული ფულია (XI საუკუნიდან დავით ნარინამდე, რომლის სახელით დმანისშიც კი უჭირათ ფული), ხოლო ერთ წყებაზე საქართველოს მკირე ხნით დამყრობ-მტარვალს ხეარაზმში ჯალალედინს დაუკრავს, მზამზარეულზე, თავისი დამლა.

ასეთია რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიის მინაღწევარის ძალიან ზოგადი და მოკლე მიმოხილვა. გვაგონია, რომ მკითხველი ზოგ რასმე ახალს დაი-

ნახავს მასში იმდროინდელი ჩვენი კულტურული ვითარების შესახებ, უკვე იტყვოდნენ წარმოდგენასთან შედარებით. დაინახავს და მიხვდება, რომ ნის თანამედროველთა ერთი რაზმი — წერაქვითა და კვლევითი მოუსვენრობით აღჭურვილნი მწიქნეუნი დაგ ლამობს ცოტა რამ კიდევ შემატოს იმ წარმოდგენას; რაც შეიძლება ახლოს მივიდეს ძველი ქართველობის ყოფა-შრომასთან და სულიერ სამყაროსთან, რამდენადაც ეს უკანასკნელიც აისახება არქეოლოგიურ „ნამატრევეში“, თუკი მის ამეტყველებას ჯეროვანად შეიძლება ხოლმე.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას მომავალი კვლევა-ძიების შესახებაც. არქეოლოგებს დიდ ხარვეზად მიაჩნიათ, რომ თბილისში წარმატებით დაწყებული მუშაობა ჯერ ველარ განაგრძეს, რომ ძალიან ცოტა რამა აქვთ შესწავლილი დასავლეთ საქართველოში და რომ თითქმის სულაც არ გაუშლიათ საფუძვლიანი მუშაობა მესხეთ-ჯავახეთში (ვარძიის გაწმენდა, ახალქალაქის, ვანას ქვაბებისა და წუნდის მოსინჯვა ვერ ჩაითვლება ამაღ). მერე და როგორკი იმსახურებს ამას ის ქვეყანა — ძველად ყოველთვის მოწინავე და შესანიშნავი, მაგრამ თავპირდაღწეული ძეგლებით აღსავსე, რომლის მრავალტანჯულ მოსახლეობას მარად ასულდგმულებდა თავმომწონე შეგნება იმისა, რომ იქაურ წიაღში წარმოიშვა და ეზიარა დიდ შემოქმედებას დიდი რუსთაველი.

თმოგვის ციხე, რუსთავი, აწყურბი, ხერთვისი, ახალციხე, ოძრხე, წუნდა, ვარდისციხე, განძა და კიდევ ბევრი სხვა მოთმინებით მიწლის არქეოლოგებს, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი.





თამარ მეფის ოთხი პორტრატი

რუსთაველის ეპოქა... ეპოქა, როდესაც შუასაუკუნეების საქართველომ პოლიტიკურ და კულტურულ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

ეკონომიური და სახელმწიფოებრივი წყობილების განვითარებამ გამოიწვია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგის, მათ შორის სახვითი ხელოვნების, აღმავლობა. აგებენ ტაძრებს, რომელთა ინტერიერების კედლებს ფრესკებით ფარავენ, ჭედრობით ასრულებენ ხატებს, ხელნაწერებს მდიდრულად ამკობენ მინიატურებით.

რუსთაველის ეპოქა — თამარის მეფობის ეპოქა: წინაპრებისაგან ნაანდერძეი უძეუღესი, მდადარი კულტურა საფუძვლად დაედო მის ინტენსიურ განვითარებას ამ ეპოქაში.

სრულიად ბუნებრივია, რომ ფეოდალური ხანისათვის შესატყვისი ქრისტიანული მსოფლმხედველობა ძირითადად განსაზღვრავდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას და იდეოლოგიას და ამასთან ერთად — სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შინაარსსა და ხასიათს.

მაგრამ მოუხედავად ამისა, რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირებულ გამოსახულებათა გარდა კედლის მხატვრობაში, მინიატურებში, ფასადების რელიეფებზე და ჭედურ ხატებზე ვხვდებით ისტორიულ პირთა პორტრეტებს, „ქტიტორების“, — ტაძრის ან ხატების დამკვეთთა — გამოსახულებებს.

ზემო-კრიხის, ატენის, გელათის, უდაბნოს და სხვა მრავალი ტაძრის კედლებიდან გადმოგვყურებენ ისტორიულ პირთა პორტრეტები; სახეიშო ნაბიჯით მიემართებიან ისინი საკურთხევისაკენ, ვედრების ნიშნად ვაწვდილი ხელებით.

მაგრამ მხოლოდ რუსთაველის ეპოქიდან შემოგვრჩა ბედნიერი შემოხვევის წყალობით ისეთი ნაგალითი, როდესაც ერთისა და იმავე პირის გამოსახულება ოთხჯერ მეორდება: ესაა — თამარ მეფის პორტრეტები ვარძიის, ბუთანიის, კინციისა და ბერთუნის (დავით გარეჯის უდაბნო) ტაძართა კედლის მხატვრობაში.

ვარძიის დარბაზული ტიპის ეკლესია შორიდანვე გამოირჩევა სხვა გამოქვაბულთა შორის თავისი მძლავრ აღმართული თალებით. ტაძარში შესვლისას ყურადღებას იპყრობს თამარისა და მისი მამის, გიორგი მესამის გამოსახულებები; მათ უპირაფთა შესასვლელის მოპირდაპირე ჩრდილოეთის კედელი, თამარი და გიორგი III გამოსახულნი არიან ბიზანტიურ საიმპერატორო კონსტუმებში, რომლებიც მიღებული იყო ქართველ მეფეთა კარზედაც.

თამარ მეფის გამოსახულებაში საყურადღებოა ზოგიერთი დეტალი: მანდილი გვირგვინიდან პირდაპირ მხრებზე ეშვება, გრძელი კულულების ნაცვლად — მოკლე თმის ხვეულები ლოყაზე გადმოიდის. ეს ნიშნები იმის მაჩვენებელია, რომ თამარი აქ გამოსახულია გათხოვებამდე. ე. ი. 1185 წლამდე. წარწერაში თამარის



შესახებ ვკითხულობთ ... რომელი მრავალგამეულობსნცა“, რაც არ არის აღნიშნული გიორგი III შესახებ. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს მხატვრობის შესახებ ლეონის ხანა დავაზუსტოთ: ესაა დრო გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ და თამარის გათხოვებამდე (ე. ი. 1184 და 1185 წლებს შორის. [1]

ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში მოთავსებულია საერო პირის კედლე ერთი გამოსახულება. იგი ფეოდალების გამოსახულებათაგან ჩვეულებრივი ტანსაცმელითაა შემოსილი. მოკლე კაბა მას მუხლებამდე სწვდება, წელი დაბლა შემორტყმული ქაბრითაა ხაზგასმული. წარწერაში მოხსენებულია ქართლის ერისთავი რატი სურამელი, როგორც ცნობილია თამარ მეფის მიერ ამ თანადებობაზე სწორედ რატი სურამელი იყო დამტკიცებული [2].

ბეთანიის გუმბათიანი ტაძარი თბილისის მახლობლად მდებარეობს. იგი ცხოველხატულ ადგილასაა აღმართული, ტყეებით დაფარული მთის კალთებს შორის. ტაძრის სამხრეთის შესასვლელი იშვარადაა მოთავსებული, რომ ტაძარში შესვლისას მაცურებლის წინაშე, უპირველესად ყოვლისა, იშლება საერო პირთა პორტრეტების რივი: თამარ-მეფის, გიორგი მესამისა და გიორგი ლაშას გამოსახულებანი. ორივე მხრიდან ამ პორტრეტების რიგს ჰკრავს წმინდა მეომართა ფიგურები.

საერო პირნი ვედრების პოზაში არიან წარმოდგენილი. ისინი ნელი ნაბიჯით მიემართებიან საკურთხევისაკენ. როგორც ვარძიაში, ისევე აქაც, თამარი და გიორგი III ბიზანტიელ იმპერატორთა საზეიმო კოსტუმებით არიან შემოსილნი, ხოლო თამარის შეილს — გიორგი ლაშას — აცვია მოკლე, წელში გამოყვანილი კაბა, რომელიც მუხლებამდე სწვდება. წელზე შემოკრულ ქაბარზე დამაგრებულია ხმალი, თავზე, როგორც თამარსა და გიორგი მესამეს, მასაც გვირგვინი ადგას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფედ კურთხევის დროს, გარდა გვირგვინის დადებისა, აუცილებელი იყო ხმლის შემორტყმა, მაშინ მოხატულობის თარიღი ახალგაზრდა გიორგი ლაშას ტანსაცმელის ატრიბუტების მიხედვით შეიძლება დაზუსტდეს 1207 წლით, ე. ი. გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის დროით.

მოპირდაპირე (სამხრეთის) კედელზე გაიჩევა საერო პირთა გამოსახულებანი. ერთ-ერთ მათგანს ხელთ უპყრია ტაძრის მოღველი ე. ი. აქ ტაძრის მშენებელი, შემკვეთია წარმოდგენილი.

საერო პირთა შორის ყველაზე უცხოეადაა შენახული თამარ მეფის სახე. იგი გამოსახულია მოწიფულ ასაკში, მის ნიკასს მანდილი ევლება, თმის გრძელი კულულები მხრებამდე სწვდება — ეს ნიშნები გათხოვილი ქალის გამოსახულებისთვისაა დამახასიათებელი. ამავე დროს ვარძიის მოხატულობიდან ნაკნობი სახის ნაკვთები — წარბების სპეციფიკური სწორი ხაზი, თვალების წაგრძელებული ჭრილი, სწორი ცხვირი, პატარა პირი — პორტრეტული მსგავსების მაჩვენებელია.

ყინცივისის ტაძრის ნახატშიაც რომელიც ვანსაკუთრებით მკაფიოდ გამომქლავდა ფერადოვანის ფენის ჩამოცვენის ვაშო, სახის ასეთივე ნაკვთებია ნარჩენები.

ყინცივისის გუმბათიანი ეკლესია აგებულია აგურისაგან. შენობა ტყით დაფარული მთის ფერდობებით გარშემორტყმულ ოდნავ ამღლებულ პლატოზე დგას.

როგორც ბეთანიაში, აქაც თამარ მეფის, გიორგი მესამისა და გიორგი ლაშას გამოსახულებებს ჩრდილოეთის კედლის ქვედა ნაწილი უჭირავთ, ხოლო ცალკე-



თამარის სახე ყინციის ტაძრის მონასტულობიდან



ული ფიგურები გამოყოფილია დეკორატიული თაღით. სამხრეთის კედელზე მოჩანს საერო პირის კიდევ ერთი გამოსახულება ტაძრის მოდელით ხელში. ქართული ენის ენციკლოპედია

მეფეთა რიგის წინ მოთავსებული ქრისტეს გამოსახულება მათზე ბევრად უფრო მაღალია. ტაძარს ზომისაა. საერო პირნი ამ გამოსახულებსავე მიეშორებიან.

ტანსაცმელი, სამკაულები უმარაგუნელი დეტალებით განირჩევა ბეთანიის მონასტულისაგან. ამ თვალსაზრისით მხოლოდ გიორგი ლაშას ტანსაცმელი იპყრობს ყურადღებას: ისეთივე მოკლე და წელში გამოყვანილი კაბა, როგორც ბეთანიისაში გამოსახული, განსხვავდება უკანასკნელისაგან სპეციფიკური ჭრილით გვერდზე. ამ ჭრილს ი. ჯავახიშვილი ცხენოსანის კოსტუმის დამანასიათებელ ნიშნად მიიჩნევს.

ბერთუბნის დარბაზული ტიპის ეკლესია ბერთუბნის უდაბნოს ერთ-ერთი გამოქვაბულთაგანია. დღეს მისი სამხრეთის კედელი ჩამოხრეულია და ამის შედეგად მთლიანადაა გახსნილი ჩრდილოეთის კედელი და მისი მონასტულობა. ძველი ფრესკოსურათიდან ჩანს, რომ ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთის კედლის დასაგლეთ ნაწილში მდებარეობდა. ამრიგად, შემსვლელი პირისპირ ხედებოდა თამარ მეფისა და გიორგი ლაშას გამოსახულებებს, რომელთაც ჩრდილოეთის კედლის დასაგლეთი ნაწილი უჭირავთ. თუ ვარძიისა და ბეთანიის მონასტულობისათვის დამახასიათებელია ინტენსიური ღურჯიანა და მოწითალო-მოყვავისფრო ტონების ვარიაცია, ყინცვისის მხატვრობა კი უმთავრესად თავისებური ღია ღურჯი და მწვანე ტონების შერწყმით გამოირჩევა ბერთუბნის ფერწერის კოლორის-ტული გამა სულ სხვა სკოლაზე მიგვითითებს. უხვად გამოყენებული მოწითალო-მოყვავისფრო (ღია) ტონი მტკვრელ ლაქებად იკითხება თეარ ფოსზე. ამ ორი ტონის დაპირისპირება განსაზღვრავს მონასტულობის კოლორიტის ელერადობას.

ბერთუბნის მონასტულობაშიაც თამარი გამოსახულია საწიმიო სამეფო ტანსაცმლით. გიორგი ლაშას კაბა იშვორებს ყინცვისის მხატვრობაში გამოსახულ კოსტუმს, მხოლოდ აქ იგი ბეწვითაა შემოვლებული. ტანსაცმელში საინტერესო დეტალი იპყრობს ყურადღებას: მხრებზე „კულულებად“ დახვეული რიდე ეშვება (ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით — მეომრის თავსაბურავი). გიორგი ლაშა ბერთუბანში წვერულგამიანია და ატარებს სამეფო ნიშნებს — გვირგვინს და ხმალს, ისევე როგორც თამარი. გიორგი ლაშაც მოხსენებულია მეფეთა-მეფედ. ამის მიხედვით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ მხატვრობა შესრულდა იმ დროს, როდესაც დედა და შვილი ერთად მეფობდნენ და, ამასთანავე, გიორგი ლაშამ უკვე მიადგინა მოწითულ ასაკს, ე. ი. მხატვრობის შესრულების თარიღი შესაძლოა უახლოვდებოდეს თამარის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს (1212 — 1213 წწ.).

თამარ მეფე და გიორგი ლაშა წარმოდგენილი არიან ვედრების პოზაში. მათ წინ გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. უკანასკნელი გამოსახულება ბევრად მცირე ზომისაა და გამოყოფილია ჩარჩოთი.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა მხატვრობა ძირითადად განისაზღვრება გარკვეული სტილის კანონებით, რომელნიც ყალიბდებოდნენ ქრისტიანული რელიგიით გამსჭვალული მსოფლმხედველობის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, იმ დროის ძეგლების განხილვისას არ შეიძლება ვიღაპარაკით წმინდა პორტრეტული ხელოვნების პრობლემებზე. მაგრამ შუა საუკუნეების რელიგიური ხელოვნების უაღრესად პირობითი ხასიათის ფარგლებში, ისტორიულ პირთა გამხილული გამოსახულებანი მაინც ატარებენ ნამდვილად პორტრეტულ ნიშნებს: როგორც



აღნიშნული იყო, ერთისა და იმავე პიროვნების ოთხჯერ განმეორებულ გამოსახულებებში ადვილად შეიძინევა მსგავსი პორტრეტული ნიშნები.

პორტრეტული მსგავსება და, ამასთან ერთად, გარკვეული ემოციური შეხამება შენამჩნევია საერო პირთა გამოსახულებებში, თუ მათ შევადარებთ რელიგიურ პერსონაჟთა გამოსახულებებს, რომელთა დამახასიათებელია სახის ნაკეთების დახატვა სქემატური კანონების ზუსტი დაცვით.

თუ თვალს გადავავლებთ საერო პირთა გამოსახულებებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მათთვის უმეტესწილად (ყოველ შემთხვევაში, უფრო ღნიშვნელოვან გამოსახულებებისათვის) ჩრდილოეთის კედელია განკუთვნილი. ადვილმდებარეობის ამგვარი შერჩევა, რომელსაც უპირატესობა ეძლევა სხვადასხვა დროის ძეგლებში, ყოველთვის დაკავშირებულია შესასვლელის მდებარეობასთან ამ გამოსახულებათა პირისპირ, ე. ი. მათი ადვილად აღქმისა და კარგად განათების პრობლემასთან.

ქტიტორები ჩვეულებრივ გამოსახულნი არიან ვედრების პოზით, ფიგურები სამი მეოთხედით არიან მიბრუნებულნი და თითქოს საკურთხელისაკენ მიემართებიან. ხშირად ეს პარადული სახეიშო სვლა მიმართულია ქრისტეს, ღვთისმშობლის ან სხვა წმინდანის გამოსახულებისაკენ. უმრავლეს შემთხვევაში, უკანასკნელნი საერო პირთა გამოსახულებებთან შედარებით მცირე ზომისა არიან. მათ არ უჭირავთ უმთავრესი ადგილი კომპოზიციაში.

ბიზანტიურ ხელოვნებაში საწინააღმდეგო მოვლენა აღინიშნება: იქ პირიქით, კომპოზიციის შიგნით მთავარი ადგილი რელიგიურ პერსონაჟს უპყრია: იგი გამოყოფილია ან სიდიდით¹, ან თავისი ცენტრალური მდებარეობით.

მათი პოზების ხაზგასმული ფრონტალობა მთლიან კომპოზიციას სახეიშო გაყინულობის ხასიათს ანიჭებს. გამოსახულებათა ადგილის არჩევაც ნაკარნახევი იმდენად არა იმ მოსაზრებით, რომ გამოიყოს საერო პორტრეტი, რამდენადაც იმით, რომ განმტკიცდეს კომპოზიციის სახეიშო ხასიათი (მთავარი აბსიდის გვერდთა კედელზე ნართიქსში შესასვლელის ზემოთ და ა. შ.).

ქართულ მხატვრობაში ამგვარი სახის კომპოზიციაში უკრო მეტად იგრძნობა მოქმედების პროცესი (გავიხსენოთ მეფეთა რიგის „სვლა“). კომპოზიციის ეს მოქმედებითი ხასიათი უფრო ცხადია, თუ შევადარებთ მეფედ კურთხევის სცენას სვანეთის მხატვრობიდან (მაჭობორის ეკლესია მაცხვარიშში) წმინდა სიმბოლური ხასიათის სცენებს ბიზანტიური და რომანული მონიატურებიდან (ბერძნული ხელნ. 17 წმ. მარკოზის ტაძრის ბიბლიოთეკაში; პენარის II საკრამენტარი).

კუნძრუნდებით რა ქართულ ძეგლებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერო პირთა პორტრეტების წერის მანერა განსხვავდება რელიგიურ პერსონაჟთა გამოსახულებათა წერის მანერისაგან. უკანასკნელი უფრო შებოჭილია გამომუშავებული კანონებით, მთავარი და დამატებითა ტონების გრადაციის რთული სისტემით. საერო გამოსახულებათა მხატვრობას კი ახასიათებს მიდრეკილება, რომ გამოავლინოს ფერთა ლაქები და თვით ნახატი.

¹ კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძრის ნართქსის მოზაიკა, ლე. მეთათა და ქრისტეს გამოსახულებით; როჯერ მეორისა და ქრისტეს გამოსახულება მარტორაის ტაძარში.

² სამხრეთის ვალერეა კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძარში კონსტანტინ II მონომახოსისა და ზოიას პორტრეტები, ქრისტეს გამოსახულებათ ცენტრში, ითანე კომენი და ირინე, მათ შორის კი—ღვთისმშობელი ყრმით და ა. შ.



თამარ მეფე.

ბეთანის ფრესკა

რელიგიურ პერსონაჟთა წერის მრავალფეროვანი რთული სისტემა აქ შერ-
ბილებულია, რაც ხელს უწყობს გამოსახულებათა ხაზობრივი ხასიათის გა-
ღწას.

ეს მომენტი დაკავშირებულია ნაციონალურ ხასიათთან და განვითარების
სხვადასხვა პერიოდში ხან მეტად და ხან ნაკლებად მკლავდება. თამარ შიფის
პორტრეტები ამ თვალსაზრისით წარმოადგენენ თავისებურ კულმინაციას და უახ-
ლოეს პარალელს პოულობენ წმინდა გრაფიკული ხერხებით შესრულებული საე-
რო ძეგლში — ასტრონომიულ ტრაქტატის მინიატურებში (ხელნაწერი A-65 —
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი).

ბუნებრივია, რომ იმ ეპოქაში, რომელიც შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური
დაძაბულობით ხასიათდება, უფრო მკაფიოდ ვლინდება ნაციონალურ
მხატვრულ აზროვნებასთან დაკავშირებული ტენდენციები. ევლოვების სხვადა-
სხვა დარგის ძეგლები (ვიდეური ხელოვნების საწარმოებები, მინიატურები) ადას-
ტურებენ — მეტად თუ ნაკლებად — ქართველ მხატვართა მიდრეკილებას ამ ტენ-
დენციისადმი. აღნიშნული ტენდენციის გაძლიერება რუსთაველის ეპოქაში და-
კავშირებულია საერო ელემენტის გაძლიერებასთან. ასტრონომიული ტრაქტატის
მინიატურების მსგავსება ირანული წრის ძეგლებთან წმინდა გარეგნულია და
ლაპარაკობს მხოლოდ აღმოსავლური ხელოვნების საერთო მიდრეკილებაზე და
არა ურთიერთ გავლენებზე (თუმცა მხატვრული აზროვნების ამ საერთო ტენდენ-
ციის განო, საქართველოს აღმოსავლეთისაკენ ფართო ექსპანსიის დროს, არ შეიძ-
ლება სრულად უარვეყოთ კულტურათა ურთიერთ კავშირი და ზემოქმედებაც კი).

საერო ელემენტების გაძლიერება, რაც რუსთაველის ეპოქას უკავშირდება,
ლიტერატურული ძეგლებითაც დასტურდება. თვით რუსთაველის პოემა ამ თვალ-
საზრისით დღემდე დაუსრუტელი წყაროა სპეციალისტების მოსაზრებებისათვის.

და მ ო წ მ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ე ბ ი :

- 1. ც. გაბაშვილი, ვარძიის გზამკვლევი, თბ., 1946, გვ. 18
- 2. გ. გაფრინდაშვილი, უცნობი წარწერა ვარძიიდან;
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1951 წ., ტ. VII, № 4.



ვეფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ზადად...“

მ ო თ ა

ამ 800 წლის განმავლობაში ვის არ უდიქრია „ვეფხისტყაოსნის“ გამო და ირგვლივ! იგი დიდი ხანია ქართულ ყოფაშია გადასული... და მისი მადლიანი გაჩენის შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე აღარ შეიძლება ქართველის სულიერი არსის წარმოდგენა, ისე როგორც ვთქვათ, უკაცკასიონოდ ველარ წარმოიდგინება საქართველოს ბუნება და მიწა-წყალი!

საყოველთაო სიყვარულსა და აღტაცებას მეცნიერული კვლევა მოჰყვა. ხელნაწერების ძიება, შედარება, ტექსტის დადგენა... ათასგვარ პრობლემათა წვლილია...

ჩვენ, ამ შემთხვევაში, სხვა გზა ვირჩიეთ — მწერლის თვალთ იმ არეში ყოფნა-ტრიალი, რომელიც ყველაზე უფრო ბუნებრივია შოთა რუსთველისათვის — ესთეტიური სახეების, ხატოვანი ფიქრების, გამოკვეთილი თქმების, დახვეწილი ჩანახატებისა და ეპიკური სურათების არე! ჩვენი მიზანია ზოგ აზრთა საერთო მნიშვნელამდე დაყვანა და სვეტიცხოვლის სამყაროს ქვაკუთხედით, ამ უდიდეს ეროვნულ მოვლენის ქვრეტა!

სულიერ საფასოთა თვალსაზრისით ჩვენი სამშობლო წიგნებისა და ძველების ქვეყანაა. ჩვენი ერი — საკუთარ დედაენისა და უსაკუთრეს დანწერლობის მქონე ერია. მოაზროვნე და მაშენებელ ერად არის თავიდანვე ჩამოწრთობილი.

ისტორიულმა ბედმა მძიმე, ხმალდაუშვები, თავდაცვითი ბრძოლა გვარგუნა... და ომიც ისევე ყოფაში გადავიდა, როგორც ხენა-თესვა, კალოს ლეწვა თუ მწიგნობრობა. ასე ჩამოყალიბდა ფრიად თავსებური, გულადი და პურადი, ფიცხელი და თავისთავადი სვეტიცხოვლის სამყარო!

მისი ძეღაგანია — შოთა... მისი სულთაგანია — „ვეფხისტყაოსანი“!

ერის ისტორიაში დიდი წიგნის გაჩენა დიდი თავდაცვითი ბრძოლის მოგებას უდრის. უფრო მეტსაც... მერმე იგი, მუდამ გამარჯვების საწინდრად და იმედად რჩება.

ხშირად, ერის სულიერი სახის შესანახავად და შესამტკიცებლად წიგნი უფრო საჭიროა, ვიდრე მუხარადი!.. მკაფიო სტრიქონი — ვიდრე შუბი! მოწოდებრივი, ფუთქადი აზრი — ვიდრე გუნდი ლაშქრისა!.. ხოლო წიგნისეული გმირები სამშობლოს დასაცავ ზღვართან ისტორიული გმირების პირველ წყებაში დგანან!

სულიერ სამყაროში ყოველი ერი დიდია არა რიცხვით, არამედ თავისი დიდებული შეიღებას ნიჭითა და ზნემაღლობით. ესენი არიან ოქროს გვირგვინი ერისა

საქმე

საქმე

საქმე



თამარის სახე პერაუნის ეკლესიის მოხატულობიდან



და არა დაბადებთ ან დროებით გვირგვინოსნები. მაგრამ ერის ისტორიაში მრავალთა შორის არის ხოლმე ერთი ისეთი კაცი. პიროვნება, მწერალა-მოაზრველი რომელაც თავისი ერის კრებითი სახედ მოგვევლინება... თავის ერივნულ სამყაროს მთლიანად გამოიხატავს. საემაო დაასახელოთ იგი და მთელი მისი წარმომშობი და წარმოქმნილი ქვეყანა წარმოვიდგებათ... მაგალითად — პომპროსი — ელადა, ფირდოუსი — სპარსეთი, დანტე — იტალია, სერვანტესი — ესპანეთი, შექსპირი — ინგლისი, ტოლსტოი — რუსეთი და ასე შემდეგ...

შოთა რუსთველი კი — საქართველოა! იგია სვეტიცხოველის სამყაროს სულიერი არსისა, ყოფისა და მისწრაფებების ყველაზე უფრო ზედმიწევნით, სრულად და ხატოვნად გამოიხატველი, სიტყვიერ ქსოვილში მოქმედი!

ამიტომ არის, რომ მისი უკვდავი ქმნილება იქცა ქართული ენის უპირველეს წიგნად. ჩვენი ერის იდეურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ საზონად და ჩვენს მრავალსაუუუნოვან სულიერ სარბიელზე მართლაც და სვეტიცხოველად დგას!

ჭარბად ნიჭიერ, მოქმედ ერის ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე იგი თუნდაც კარგად დაწერილ და ფაქტების მხრივ ზუსტად აღნუსხულ ისტორიაში ჩანს.

იგი უთავლავ პირთა ლტოლვილებისა და უამრავ მოვლენათა გადახლართული ერთიანი დინებაა. შიგ კანონზომიერების აღმოჩენა, ან განსაზღვრულ ვითარების ამოტიფრა-დახასიათება ისევე ძნელია, ვით მალალ ჩანჩქერის ფრქვეულ წვეთების დათვლა... ისე და ისე ანარეკლებში, ტიპურ ნაშრომებში, ჩქერის ირგვლივ შემოკვალთულ მყარხასიათა ცისარტყელებში უნდა ამოიკითხო შენი ქვეყნის დაუდევარი სრბოლა-ცხოვრება.

აქ არის საჭირო უდიდესი უნარი და მომადლებული ნიჭი შენი ერის სტიქიური გრანოზისა, შინაგან გულმეცნიერ ხილვისა, კილოშეუმცდარ ჰერტიკისა და დიდი სიბრძნე განზოგადებისა! არა ცალ-ცალკე, არამედ ყველაფერი ეს ერთად! კაცთმოყვარე დიდ ბუნებაზე და დედაენის მხატვრულ წვდომაზე რომ აღარა ვთქვათ რა.

აი შოთას შარავანდედის სხივმოსილობა!

აქ — კაცად კაცისა და მისი ქვეყნის განუყრელობის გრძნობა სრულ თვალსაჩინოებას აღწევს და დროთა სვლასთან ერთად უფრო ნათელი ხდება!

ქვა მყარია და მარადყამიერი, მაგრამ უსულო, ლმეტყველოც... ვიდრე შემოქმედი თავის გულმთავარა ნიჭს არ შეახებს, თავდაწერილ და აღფრთოვანებულ შრომის საგნად არ აქცევს.

უხსოვარ დროში მოხდა ქართველ ტომთა და ქვის სამყაროს შემოქმედებითი შეყრა. ჩვენი პირველსაცხოვრისი ცქაში და კლდეში გამოიკვეთა და პირველი - დედაენაც — ქვაზე დაიწერა. ეს „ქვის ზოლი“ ნიშანდობლივად გასდევს მთელ ჩვენს ისტორიას.

ქვის დამუშავება ჩვენი ეროვნული, ძირითადი ნიჭთავანია. იგი უძველესი თვითგამოვლინებაა ჩვენი ერისა. ამ უმტკიცესისა და ჩვენს ქვეყანაში უხვად მოსაპოვებელ მზალას, ქართველმა თავისი ნიშატი დასდო, თავისებურად აუდგა ენა. ბუნებისაგან გამოუთითავად, საჭიროებისა და გემოვნების შერწყმით გამოიყენა, აამეტყველა, აავალობა... ეროვნულ თავდაცვას, რწმენას, ხელოვნებას დაუმორჩილა! ჩვენს ხელსაწიერში — ქართული სული ჩაუდგა, დიდი ხელოვნების ნიმუშები შექმნა.

ადრევე გამოიკვეთა არა ერთი „ქვის ვეფხისტყაოსანი“ — უფლისციხე, გარე-



ჯის ქვაბ-ქალაქები, შიომღვიმე, ვარძია, ვანის ქვაბები, მღვიმევი და სხვა მრავალი... ცაში ავარდნილ ქვის სვეტებად, ქაჯთა ციხეებად, ბროლის კოშკებსა და მოკვეცილ ქვის აბჯროსნები — არმაზ-ციხე, უჯარმა, კვეტერა, კვარა, ზეკორმა, ბირთვისი, თმოგვი, ხერთვისი, სხვა უთვალავი.

ჩამოინაკვთა და ლექსის ბრწყინვალეობას მიაღწია „ქვის კრიმანჭულმა“ — ქართულმა ჩუქურთმამ. თითქოს „ქვის მაჯამებია“ ჩვენი მთიანეთის — სვანური, ხევსურული, თუშური კოშკოვანი სოფლები.

ჩვენი ისტორიული აღმავლობა-განვითარების ხანა, განსაკუთრებით !X, X, XI საუკუნეები, დიდი ხუროთმოძღვრული ძეგლებითა და მონუმენტური სტილით აღინიშნა... და ფრიად დამახასიათებელია, რომ დიდებული ძეგლები — ბოლნისი, მცხეთის უჯარი, ოშკი, ბანა, ბაგრატიის ტაძარი, ალავერდი, სვეტიცხოველი, გელათი და მრავალი სხვა, წინ უსწრებს, ღირსეულ ასპარეზსა და კულტურულ ბალავარს უქმნის ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველ დარგს, საერთო სულიერ აღმავლობას... კერძოდ — რუსთველურ რენესანსის მწვერვალსაც! უტყუარი შედეგი კულტურის საერთო დონისა, თავის მხრივ — მძლავრი ხუროთმოძღვრული აღმავლობა, ჩვენსა წინ უსწრებს და ნაწილობრივ მაინც აპირობებს ლიტერატურულ რენესანსს.

ქართული სულიერი აღმავლობის დედა-გეზი, სქემატურად და ფრაგმენტულად ასე გვესახება... თავიდანვე ოპტიმისტური მსოფლმეგობრობა, მზის შვილთათვის ნიშანდობლივი, მდიდარი, მე ვიტყვოდი — ქარბი — სულიერი და ესთეტიკური ლტოლკენი. მიწდასეული სიბრძნე და სრულიად ხალხური ზებირსიტყვაობა... მრავალხმიანი სიმღერა-გალობა... საოცარი, აგრეთვე სრულიად ხალხური პლასტიურობა, (ცეკვა, ჯომარდი), ინდივიდუალური ხასიათმკაფიობა და დახვეწილობა.

აჰ თვისებებმა, ისტორიულ ვითარებაში, განაპირობა და წარმოშვა საკუთარი დაშწერლობა და მონუმენტური წიაღისეული თუ მიწისზედა ხუროთმოძღვრება. ხოლო როგორც მისი შვილობილები — ქედური ხელოვნება და ფრესკული მხატვრობა, შემზადდა და მომწიფდა დიდი მწიგნობრობა — ხელოვნება აზრისა და ნაწერ სიტყვისა!

ყოველივე ამისი პირმშოცა და გვირგვინიც არის — ვეფხისტყაოსანი! ... და აი შოვიდა ყოვლად განსწავლული შემოქმედი, ბრძენი და მგოსანი, ყველას მაგიერ, საოცარ გრძნობითა და განცდით, მინიშნებულ დიდ ამბავთა მზიანად მთქმელი. სიტყვათა უდიდესი ძნეული დადგა, ქვაზე უმტკიცესად ჰყო, გააუკვდავა ძეგლად და ცხოველ სვეტად მისცა სამშობლოს!

1966 წელი, განსაკუთრებით შოთას დიდებული სახელით შემობრძანდა საქართველოში. ამიერით, ვიდრე გაისამდე — შოთას საზეიმო წელია.

სვეტიცხოვლის მერიდიანი წელს მთელ დედამიწას შემოივლება შოთა რუსთველის სახელითა და შემოქმედებით.

ეს დიდებუნიბოვანი ქართველი მწერალი-მოაზროვნე კარგა ხანია მორჭმით გავიდა მსოფლიო საწიგნეთის უმაღლეს და უფართოეს გზებზე. მისი უკვდავი ქმნილება ახლა თარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენაზე. სხვისი ქუდი კი არ დაისურა, ტყავი და ფერი კი არ იცვალა, არამედ გულქართულ „ვეფხისტყაოსნად“ მაგიდა, ქართველი ერის შოთასეული სიბრძნე მიიტანა. ყველგან ძმადნა-



ლუკა მახარებელი. გელათის საბარეო, XI—XII სს.



ფიცები გაიჩინა, კაცთმოყვარეობისა და სიკეთის ჩვენებური სანთელი დაანთო...
საქვეყნოდ აქედრდა და გაიშარჯვა!

არც არსებობს ამაზე უკეთილშობილესი გზა, საკაცობრიო სარბიელზე გზა...
ვლისა, დიახაც. დიდი მწერალი, ეროვნული გზის გარეშე წარმოუდგენელია,
რადგან მწერალი თავისი ერის თანამგზავი კი არ არის, არამედ თანამცხოვრები
და თანაშემწეა... იგი შიშობუქრული, უფრო შერბილი, სულიერი ტყუპია
თავის ერისა! აქედანვე უნდა დაიწყოს მისი ბუნებრივი შინა და გარე აღიარება!

საკვებით კანონზომიერია, რომ ყველაზე უფრო, ჩვენი წიგნთაგანი, სწორედ
„ვეფხისტყაოსანი“ აქედრდა საქართველოს საზღვრების მიღმაც. ეს განაპირობა,
არა მარტო მისმა მსატკრულმა სრულყოფილობამ. არამედ იმანაც, რომ ამ მრავალ-
საუკუნოვან წიგნში სწორუბოვარი გამოხატულება პპოვა სექტიცსოვლის მთელმა
სამყარომ. იგი მრავალ ლესოელთათვის ახალ ქვეყნის აღმოჩენას უდრიდა... და მე
ვეფქრობ, მსოფლიო რენესანსის ძირითადი გზა უფრო მაღალ რეგისტრში წარი-
შართებოდა. ეს აღმოჩენა თავისდროული რომ ყოფილიყო!.. მაგრამ ისტორიას
ხშირად როდი გააჩნია კეთილშობილ გზების შერჩევის უნარი და საშუალება.

პოი, რა დიდი დრო, მსხვერპლი და თავგანწირვა დასჭირდა შოთასა და მის
სამყაროს საქვეყნო აქედრებას!

ახლა ქართველ ერს კარგა ხანია უკან მოტოვებული აქვს რომის, ყარაყო-
რუმის, თიერანის, სტამბოლის და სხვა დამპყრობთა სახედისწერო გზები... და იმ
არაადამიანურ გამძლეობაში, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა ისტორიის
ორმოტრიალში — „ვეფხისტყაოსანს“ დიდი, გულსაუტეხო ღვაწლი მიუძღვის.

ჩვენთვის იგი არა მარტო ლიტერატურული მწვერვალია, არამედ სულიერი
ჯავშანიც. იგი არა მარტო მწიგნობრული ძეგლია უბირველესი, არამედ — აბჯა-
რი ქართველობისა!

რუსთველის 800 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ საყოველთაოდ. მაგრამ
ქართველთათვის ამ სახელსა და თარიღს, სხვა ნიშნებითაც, სრულიად განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა აქვს.

დღეს შოთა იქნებ ერთადერთი სახელია, ყველას რომ აერთიანებს ჩვენში.

დიახ, ჩვენს შორის, იგი უეჭველად დევს სიბრძნისა და სიყვარულის „გზად
და ხიდად“. რეასწლიანი, უკვე საერთოდ აღიარებული საგლობელის ხმა და
სითბო მოაქვს საღბუნად. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ქართველი ერის ენობრივი,
გონებრივი და ზნეობრივი ქვირინების ხატოვანი კონაა... და იგი სასახლის კა-
რის გარიგებისდაგვარად — „ერის გარიგებად“ გვიჩანს!

ჩვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ გულგატეტელი სულისკვეთება და
ადამიანის ბუნების წედობა მუდამ მკვიდრობდა ამირანისა და მინდიას კეთილ-
შობილ ქვეყანაში.

ქართული სულიერი სამყაროს პირველწყარო მითოლოგიურ ბურუსში იფა-
რება. მის შესწავლისა და გაგების გარეშე შეუძლებელია ეროვნული ფსიქოლო-
გიის ჯეროვანი რკვევა. მაგრამ ვერც ერთი მწერალი ამ საფეხურების ავლას ვერ
დაელოდება. ბევრი რამ უკვე ცნობილია და თავის აღნიშვნას ითხოვს.

ყველამ, ვისაც ქართულ მიწისათვის საქმითა და სიყვარულით ბარი დაუ-
რავს, კარგად იცის რომ საქართველოს შემოქმედების უდიდესი ნაწილი მიწის
ქვეშ არის, ხან ძეგლთა ნანგრევებად, ხან ხელნაწერთა ფერფლად, ხან სამაროვ-
ნად შთენილია... მაგრამ ის, რაც ზედაპირმა და ეროვნულმა მესხიერებამ შეგვიჩანა,



სრულადად საკმარისია, რომ ერთი მკაფიო ნიშანი ყველგან ამოვიკითხოთ... ისევ იგი — დაჯერებული გულგაუტეხლობა! ეს არა გულღებრყვილო ოპტიკის ნიშანი, ბეციყვალა უფიქრულობა — არამედ შეგნებული წებრძოლება ბედისწერასთან, სულიერი ამტანიანობა, რწმენა სიკეთის საწყისის სიძლიერისა და „ქირსა შიჯან-გამაგრებისა“...

ეს ამოქმედებს და აძლვბინებს ამირანსაც და მინდიასაც... მათი სულიერი შვილთაშვალა — შოთა, მის გმირებთან ერთად!

ესეც უაღრესად ბუნებრივია, რომ შოთა დახვეწილ, დაჩუქურთმულ ლექსისა და ფრთოსან ფიქრების ზევადად მოვიდა, როგორც თითქმის ყველაფერი საქართველოში. ჩვენ, მანცადამანც, ზომის ხალხი არა ვართ, ხელის მიკლებას, ყოველთვის, ხელგავიანობა და გადაშეტება გვირჩვენია... ხოლო ლექსი, ჩვენთვის თითქმის საყოველთაო ფორმაა მტყვევლებისა... დავიმოწმებთ პირმოუბამ ზეპირსიტყვაობასაც და მწიგნობრულ ლექსთა ხელჭარბიანობასაც. ქართულ ენას უყვარს, უხვადც გააჩნია წყობილსიტყვაობის შესაძლებლობანი. ხოლო მისი პუნებრივი, რბილი მანვილი და ბოლოსართთა მოქნილობა ხელს უწყობს მდიდარ რითმ-კაზმულობას... და საესეებით კანონზომიერია, რომ ჩვენი მწიგნობრული მთავრეხილის უმაღლესი მწვერვალის, სწორედ „სიბრძნის ერთი დარჯის“ — შაირის — „ლექსთა ვრძელთა“ სახით მოგვეპოვება!

შოთა რუსთველი — მარად ჩვენი კულტურის თავისთავადობაა! და მიუხედავად იმისა, რომ მგოსანთ მგოსანმა თავისი გმირები გააუცხოურა, თითქმის მთელ მაშინდელ ცნობილ ქვეყნებში დასახლა და ამოქმედა. ისინი თავანკარაქართველები არიან... ქართულია მათი მსოფლშეგრძნებაც თავისი ხასიათებით, ჭარბი ემოციურობით, თავდაწერილი რაინდობით, გულმხურვალე ძმადნაფიცობით, ამაღლებული ფიქრებითა და ბუნების გრძნობით.

ამიტომ იქცა იგი ჩვენი ერის სულიერ დერიტად, ფიქრთა მპყრობელად და ლექსის საზომად, მისი ყოველი ტაეპი, შედარება, რითმა, ხატოვანი თქმა ისე ახლოა და ნაცნობური, თითქოს ყოველ ჩვენთავანის ოკნებებისა და გრძნობების მცოდნეა და ამოკითხველი... იგი მაშინაც გასაგებია, როდესაც დრათა დუბჭირისა თუ გადაშწირის შეცდომის გამო, სიტყვა-სიტყვით გაუგებარია და არის ასე!

ამ ერთობლივი ხიზღვით აიხსნება ამ ჯადოქრულ ნაგალობარის წამატებების, გამგრძელებლების, მიმბამქვლების საარაკო სიმრავლე.

„ვეფხისტყაოსანი“ საოცარ ნიჭში გაცრილი ანარეკლია ჩვენი სულიერი და ფიზიკური საცხოვრისისა... და აღარც გასაკვირია, რომ თცნების თვალთ დაწახული, კავასიონისა და სპერის ზღვის მხარე — „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დედან ხელნაწერებად გვიჩანს.

იგი ჩვენი ერის მიერ არის დასაბამიდან მოსავანებული, ტამრებით, სოფლებითა და ცახე-ქალაქებით შემკული და დასახლებული. ზვრებითა და ბაღნარებით შემშვენებული, არხებითა და ქარხნებით დამდიდრებული... საუკუნეთა ქვრტში, შეღწეულ აბჯრით და მკერდით დაცული. ყველაფერი ეს ჩვენი ერის საკუთრებაა და ყოველი თაობის საზრუნავი.

ჩვენ ვვაქვს ჩვენი უძველესი წელთსათვალავი... კაცობრიობის პირველ აკვანთა შორის იყო ქართლოსიანთა, კოლხთა, მესხთა, სვანთა, ხალიბთა და სხვა ჩვენებურ ტომების ჩჩვილთა სარწვევიც... ჩვენც პერანგში დავიბადენით, მხოლოდჯაჭვის აღმოჩნდა იგი! შოთამ შემდეგ ვეფხისტყავით შემოსა, შნო და მინშენ-



ლობა შექმნათ... თავისი „ერის გარიგება“ ლექსში ჩამოაწერთო, ადამიანისა და ადამიანობის უდიდეს ლოცვად სთქვა... თავისი სრული სახელი, ვინაობა შეგარბა და ერის სახე და შუბლი — შემოქმედი ასახელოვან! რამეთუ მან, ყოელის შტოდნემ, იცოდა — რაც უსახელოა — ის უფრო უანგაროა და ის უფრო ახლოა ხალხთან!

თვით ლექსთა წყობაც — რუსთველური შაირი, უაღრესად ქართული და ჩვენი ენისათვის ზუნებრივია. ამით აიხსნება მისი ასე ადვილად ზეპირად დასწავლის საიდუმლოება. იგი რუსთველური შერწყმავა ქართულ ხალხურ ზეპირ ლექსისა და რჩეულ, ფრიად მწიგნობრულ საგალობელთა.

ვეფხის წიგნს — ჩვენს ზეპირსიტყვაობაში, თემატური, სიუჟეტურა, აზრობრივი პარალელები მოუპოვება. მომავალში ალბათ მეტაც დაიძებნება.

განურჩევლად იმისა, თუ რომელს მიეკუთვნება პირველობა წარმოშობისა — ხალხურ „ტარიელიანს“ თუ მწიგნობრულ „ვეფხისტყაოსანს“, მათი ერთდროული არსებობა, ახლო ურთიერთობა, ფართო გავრცელება — უდაოდ მოწმობს, მათი ერთ სამყაროს წიაღიდან წარმომავლობას და ბუნებრივია, რომ ხალხური უსწრებდეს წიგნურს.

„ვეფხისტყაოსანმა“ ყველაფერი სასიცოცხლო ქართულ ენობრივი საგანძურისა შეისრატა. შემოქმედურად დაამუშავა და საუცუნოებრავ ოქროს ლინადავად დაუგო ქართველ ერს. გეზი და ბიძგი მისცა ქართული ენის არნახულ განვითარებას, გადახალისებას, ... უფრო ფართო სამეტყველო საფუძველზე ჩამოყალიბებას, ... და ჩვენი აზრით შოთას კილო ისეთსავე ურთიერთობაშია თითქმის მიღელ მის წინანდელ ქართულ მწიგნობრობასთან, როგორც მხედრული დამწერლობა — ნუსხა-ხუცურის მიმართ. შოთამ ვგონებ ყველაზე ადრე, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო გაბედულად. შინაარსითაც და ენობრივადაც, ქართული წიგნი, მონასტრებიდან და სასახლეებიდან საქვეყნო ასპარეზზე გამოატანა. ამით თავის „ვეფხისტყაოსანის“ კილოს საოცარი მყართა მყარობა ნისცა. მთელი ჩვენი მწიგნობრობის განვითარებაში, ენაზე ასეთი დიდი და დადებითი გავლენა, როგორც რუსთველს, არავის არ მოუხდენია ამაშივეა მისი ენობრივი უზენებლობის ერთ-ერთი საიდუმლოებაც!

საერთოდ თანარისა და შოთას ხანა — ოქროს ხანა იყო ჩვენი წარსულისა. ჩვენც ამ ოცნებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ყოველი შეგნებულნი თაობა უნდა ეცადოს. მისი ხანაც — ოქროს ხანა გახდეს მის ქვეყანაში. თავისი, შეძლებისდაგვარი წვლილი კეთილი შეიტანოს მშობლიურ საუნჯეში. ხოლო თუ მინა და გარემო გაწყურა, კარგძარღვიან წყაროსავით — გაშრეს, სხვა თაობას გზა მისცეს — არკი აიძღვრეს!

შოთას შემდეგაც მრავალი მებისტეხა დაატყდა სვეტიცხოვლის სამყაროს. ბერის რამ შეიბღალა, განადგურდა... დაიღუპა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის დედანი „ვეფხისტყაოსანისაც“... მაგრამ ის უცვდავით, მარად შემოქმედი სული, რომელმაც ალაშენა სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი, გელათი, ჯვარი და მარტვილი, გეგუთი, უფლისციხე, ვარძია, დავით-გარეჯი, ხერთვისი, ზანა, სხვა უთვალავი... აბა ვით მოისვენებდა თანაშესაფერის წიგნთა წიგნი რომ არ შეეკმნა? ამ სამყაროს პირმშოა წიგნი ვეფხისა!

... მაგრამ შემოქმედი სულის მოსვენება სად გაგონილა!? არც ერთ ჩვენს დიდებულ ძეგლთაგანს ერთხელ აშენება არ ჰქმარებია... ყოველი მათგანი მრავალჯერ



არის აღდგენილი, ახლად შექმულ-დაცული... იგივე ითქმის ხელნაწერების შესახებაც... არც რუსთაველის ხელქმნილია გამონაკლისი. თითქმის თავიდან იწყება ყოველი თაობა. ამან სწორედ რომ შეუპოვარი უდრეკობის ფტა წარმოშვა ჩვენი ერისა და ბერის ხასიათში... და მე ვამტკიცებ, ჩვენი ისტორიის ჯურღმულეებში, სულაც რომ დაგვეკარგოდა შოთას „ხუროთმოძღვრების“ ეს უბადლო ძეგლი, იგი იმდენად არის გამჯდარი ქართულ სისხლ-ხორცში, რომ ერის ნებისებრება და ნიჭი მას ხელახლა აღადგენდა, დასწერდა, „ააშენებდა“ და კვლავ „გზად და ხიდად“ დაიდებდა.

დღესაც შოთას კალამია ჩვენი სულისკვეთების წარმმართველი, ხოლო მისი მავალითით ვიცით, რომ კალამს დასვენება და ქარქაში არ გააჩნია. იგი ან ზასრად-ცხოველმყოფელია, ან ბლაგვად გატეხილი!

შოთას ქვეყანაში ერთობლივ ეროვნულ-ხალქურია მისი აღიარება და სიყვარული. იგი როგორც ცოცხალი და ყოველთვის გასაკვირად თანამედროვე შემოქმედი — ისეა ჩვენს შორის. მის სახელთან არის შესხეულებული ჩვენი ყოველი განცდა კეთილ-ქართველობის იდეისა. ჰოდა ყოველ ჩვენგანს სწადს და სწამს შოთა თავის სახლიკაცად, უახლოეს მესაიდუმლედ და ძმადნაფიცად...

ამიტომ არც, რომ ყოველ ახალ მოსაზრებას შოთა რუსთაველის ირგვლივ ყველა დიდი სიციხველითა და ვნებათა ღელვით განვიცდით. ვფიქრობ, ამჟამად საქართველოს ყოველ კუთხეში და მის საზღვრების მიღმაც, ყოველ ტემშარიტად-ქართულ კერაში, შოთა რუსთაველი მართლაცდა უახლოესი სახლიკაცია და მისი უყვდავი წიგნი ოჯახში სუფევს, ვით მშობლიურ დამწერლობით „ნაშენი“ სვეტიცხოველი.

საქართველოში დღეს ყველა შოთას სახელისა და შემოქმედების ირგვლივ საქმიანობს. აღფრთოვანება და მრავალდარგოვანი კვლევა, მეცნიერული სესიები, შოთას დროინდელი ისტორიული ძეგლების შეკეთება, გათხრა, გადაღება. „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემათა სამზადისი. ახალი ნაწარმოებები, ტილოები, ქანდაკებანი... ერთი სიტყვით, ჩვენი ერი და მიწა-წყალი შოთას სახელითა და სახით ალაპარაკდა... და მართლაც იგი დღეს — ყოვლისმეტყველია საქართველოში... და პირველყოვლისა იმის მთქმელი, რომ — დროც კი იცვლება და — სამშობლო კი — სამშობლოდ რჩება! თავის მამულში კეთილნაღვანობა საბოლოოდ არასოდეს არ იკარგება! ჭირიცა და ღზინიც, მაინცდამაინც, სამშობლოში უმჯობესია!

ჩვენ ვამყობთ ჩვენი მზისა, მიწისა და კალმის კაცით. მიაი დაბადების თარიღი — ჩვენი ერის კულტურის დიდი დღესასწაულია!

შოთას ზეიმმა ამჟამად დანარჩენი, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი, ძველ-ქართული თარიღები დაძვარა და ჩრდილში მოაქცია. მაგრამ ჩვენ ისინიც გვახსოვს.

შოთა ცარიელ ადგილზე კი არ მოსულა. იგი ჩვენს ცაზე შემთხვევით გაელეხული ვარსკვლავი კი არ არის! არც ჩვენს მიწაზე ბედნიერად ჩამოვარდნილი მეტეორი! მას მრავალი წინამორბედი ჰყავდა, ჩვენშიაც და არა ჩვენშიაც... იგი თავის ეპოქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის უმადლეს დონით განსწავლული, უფართოეს ხედვის მოაზროვნეა! მეთორმეტე საუკუნიდან დარხებული საქვეყნო და საკაცობრიო ახალი სიტყვა!

იგი სრულიად ორგანიულია ჩვენი ოქროს ხანისათვის. მთელი „ქართლის ცხოვრებისა“ და თანადროულობის ბედნიერი შედეგია, მისი სულიერი ნაყოფი...

მის წიაღშივე მომწიფებული, დაბრძენებული, დაღეჭილებული და მომავლისაკენ გატყორცნილი დაუდეგარი, მომდევნო ეპოქების მგრძობელი სული!

თავისმა საუკუნემ და ნიადაგმა შვა იგი, მაგრამ ვეება ნიჭმა, განსწავლულმა და დიდშემოქმედურმა ჰერეტიკამ იგი მომავლის მოაზროვნედ და ადამიანად ასახა. საფიჭრალია, რომ იგი მაშინვე გადასწვდებოდა კავკასიის საზღვრების მაღმართს, მაგრამ მალევე დაშვებულმა მონღოლთა და შექდეგ ოსმანთა შავ-ცეცხლა ფარდამ დიდი ხნით დახშო აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული ურთიერთობა.


არსებითად ახლაც — 800 წლის შემდეგაც — შოთა რუსთველი ისევ მომავლისად დარჩა, რამეთუ ის კაცთმოყვარე აზრები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ დედაარსია, დღესაც ფრთას ასხამს კაცობრიობის მოწინავე ერებს!

შენ კი სვეტიცხოვლისა და შოთას ირგვლივ შემტკიცებულო სამყაროვ, მარად შემოქმედო ერო, შენ კიდევ გააჩენ შოთას და იქნებ ეს სწორედ რუსთველის წელიწადს მოხდეს!





საქართველოს
საქართველოს



ხახულის ხატი გაშლილი სახით

რუსულან შინიკა

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ხ ა ხ უ ლ ი ს ხ ა ტ ი

XII საუკუნის ქართული ჰედეური ხელოვნების ძეგლებს შორის გამოიყოფა დიდი ზომის (1,47 მ-ის სიმაღლისა და 2,02 მ. სიგანისა გაშლილი კარით) კარედი ხატი (ტრიპტიქონი), რომელიც ხახულის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი. კარედი საგანგებოდ ვედრების ღვთისმშობლის ხატისათვის იყო გაკეთებული, რომელიც მის ცენტრში იყო ჩასვენებული. თავდაპირველად ეს ხატი ხახულის მონასტრის საგანძურს წარმოადგენდა (ხახულის მონასტერი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ პროვინცია ტაოში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). რის გამოც ხატს და შექმნეში მთლიანად მის შესანახ კარედსაც, რომელიც მოგვიანებით გაუკეთდა მას, ხ ა ხ უ ლ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს სახელი ეწოდა. სავარაუდებელია, რომ თვით ღვთისმშობლის ხატი მოქედილ იყო ლითონით (ამ მოქედილო-

ბას დღემდე აღარ მოუღწევია) და მხოლოდ სახე და ხელები ჰქონდა მინანქრით შესრულებული.

ჩახულის მონასტრიდან ხატი გელათის მონასტერში გადმოუტანიათ. ამიტომ მათ, რომ გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი სვეტის წარწერა ხატს „ხახულისა და გელათის საკურთხევლის ღვთისმშობელს“ უწოდებს. ამავე სახელით იხსენიებს ხატს როგორც იმდროინდელი, ასევე გვიანდელი სიგელები, მამულს ყიდვისა და სხვა საბუთებიც.

ხატი გელათის მონასტერში იმ დროს უნდა გადმოეტანათ, როდესაც — როგორც ამას დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობაში ვხედავთ — დავითს საქართველოს ყველა კუთხიდან შეუკრებია ძვირფასი ნივთები ახლად აშენებულ (ჯერ კიდევ დაუმთავრებელ) გელათის მონასტრისათვის. მათ შორის ხახულის ღვთისმშობლის ხატიც უნდა ყოფილიყო, რადგან ხახულის ხატი იმთავითვე სასწაულომომქმედად ითვლებოდა და განსაკუთრებული სიყვარულით სარკვებლობდა. იგი მუდამ ვედრებისა და თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა.

გელათის მონასტერში ხატს გაუკეთდა ახალი, მინანქრებითა და ძვირფასი ქვებით შემკული, შიდადრული კარედი, რომელიც დღემდე სრული სახით შენონახა. კარედზე ქედღობით შესრულებული წარწერა ზუსტად ფარგლავს მისი შესრულების დროს. წარწერა მოთავსებულია ორივე კარის ქვედა არშიაზე, ამოქედილია ასომთავრული ასოებით, იამბიკურ ლექსად. წარწერაში მოხსენიებული არიან დავითი და მისი ძე დემეტრე, რაც იმის მანიშნებელია, რომ კარედის მოქედილობა დემეტრეს მეფობის დროსაა შესრულებული. დავითი წარწერაში იხსენიება, როგორც პირველი შემკობი ხატისა და წინაპარი დემეტრე მეფისა. და მართლაც, როგორც დავითი აღმაშენებლის ანდერძიდანაა ცნობილი, სიკვდილის შემდეგ დავითმა მოუღი თავისი თვალ-მარგალიტი ხახულის ღვთისმშობლის ხატს უანდერძა. დემეტრე წარწერაში მოხსენიებულია, როგორც „ძვირით მფლობელი“ და ხატის მეორედ დამამშვენებელი, ე. ი. დღემდე მოღწეული კარედის დამკვეთი. მაშასადამე, კარედის შესრულების დრო შემოიფარგლება დემეტრე I მეფობის ხანით — 1125 — 1155 წლებით.

ხატს ძვირფასი შენაწირი ჰქონდა. დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, სხვა ურიცხვ შეწირულობასთან ერთად, ომში გამარჯვებული ყოველი ქართველი მეფე ძვირფას შენაწირს უგზავნიდა ხახულის ღვთისმშობელს. შამქორის სახელგანთქანი ომში გამარჯვებულმა თამარ მეფემ უწაფრესი ნადავლი და ხალიფას დროშა „ქართველთ ძლევამოსილების ეს ძვირფასი ნიშანი“. შამა-პაპის მსგავსად, ვედრებისა და შეწირვის მიზნით, წარგზავნა დიდ მონასტერში (გელათის მონასტერში) ხახულის ღვთისმშობლის წინაშე. ასევე, მომდევნო საუკუნეებშიც, დიდგვაროვანი თავად-აზნაურნი, სამღვდლო პირები და აგრეთვე უბრალო მოსახლეობა განუწყვეტილად სწირავდნენ ხატს მამულებს, გლეხებს, ფულს, სამკაულებს, ჭირნახულსა და კელაპტრის სანთელს. რომელიც მუდმივად ეთო ხატის წინ.

ერთი მხრივ თვით ხატის სიმდიდრე (დიდი რაოდენობით მინანქრის ლორფინები, ძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონი, რომლითაც მოქედილი იყო კარედი), ხოლო მეორე მხრივ ძვირფასი შენაწირი ნივთები, რომლებიც კარედზე იყო დაცემული, განდა ხატის ხშირი გამარჯვის მიზეზი. 1859 წელს, პირველი გამარჯვის დროს, დაიკარგა თვით ხახულის ღვთისმშობლის ვედრების მინანქრის ხატი.



როგორც ამას ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი ნ. კონდაკოვი აღნიშნავს, ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, დამსხვრეული, დანაწილებული და გაქრული „საქართველოს მემკვიდრეობა“. ამავე გაძარცვის დროს დაიკარგა შენაწირი ნივთებიც — კარედზე დაკიდებული ოქროს ფულები, ძვირფასი თვლები, სამკაულები და სხვა ნივთები.

1904 და 1905 წლებში ყაზახებმა მოაწყვეს მონასტერზე თავდასხმა, რომლის დროსაც გაიტაცეს ქართული ოქრომჭედლობის ბეგრი საუკეთესო ნიმუში და მათ შორის ხახულის ხატის ყველა შენაწირი ნივთი, რომლითაც ესოდენ მდიდარი იყო ხატი. თვით კარელი, თავისი სიდიდის გამო, გადარჩა გატაცებას.

მოგვიანებით ნ. კონდაკოვმა გამოჩენილი რუსი კოლექციონერის მ. ბოტკინის კოლექციაში შემთხვევით აღმოაჩინა გატაცებული ხახულის ღვთისმშობლის ხატის მინანქრის ნაწილები — სახე და ხელები. ფრაგმენტები კოლექციაში ითვლებოდა ბიზანტიური მინანქრის ნიმუშებად. ნ. კონდაკოვმა დაადგინა, რომ ეს მინანქრები ხახულის ღვთისმშობლის ხატის ნაწილები იყო და გამოთქვა აზრი, რომ ხატი ქართული მინანქრის ნიმუშს წარმოადგენდა. ეს ფრაგმენტები მხოლოდ 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

გასულ საუკუნეში, დაღუპული ხატის ადგილი შესცვალა ახალმა ტედორმა ხატმა, რომელიც სპეციალურად იყო შეკვეთილი კარედისათვის. ხატზე ნოცემულია იგივე (ვედრების ღვთისმშობლის) გამოსახულება; მოქედილია ლითონით, სახე და ხელები კი ფერწერითაა შესრულებული. ხატი რუსული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. 1952 წელს, როდესაც ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი გელათის მონასტრიდან, შენახვისა და დაცვის მიზნით, თბილისის გადმოიტანეს, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სეიფში, ღვთისმშობლის ეს ახალი ხატი კარედიდან ამოიღეს და მის ნაცვლად ხახულის ღვთისმშობლის ვედრების ხატის მინანქრის ფრაგმენტები ჩაასვენეს.

ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი წარმოადგენს მხატვრულად დამუშავებულ და ორგანულად მთლიან ძეგლს, რომლის საერთო კომპოზიცია ითვალისწინებს განსაკუთრებული მდიდრულ-დეკორატიული შთაბეჭდილების შექმნას. კარედი მთლიანად მოქედილია ძვირფასი ლითონით, — შუა ნაწილი ბაჯალღო ოქროთი, ხოლო კარები ოქროში მოვარაყებული ვერცხლით. მასზე ქედრობით სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტია გამოყვანილი; იგი ნორთულია სხვადასხვა ზომის მინანქრის ლარფინებით, მცირე და დიდი ზომის მინანქრის უკრებითა და ძვირფასი ქვებით. მინანქრის ეს ძვირფასი კოლექცია ორგანულადაა ჩართული საერთო კომპოზიციაში, ყოველი მათგანის ადგილი მხატვრულადაა გააზრებული.

შენაწირი მინანქრები — მედალიონები, პატარა უკრები და ხატები — ხატს თანდათან ემატებოდა. ამან ერთგვარად გადატვირთა შუა ნაწილი (შენაწირ ნივთებს მხოლოდ ცენტრალურ ნაწილზე, ხატის გარშემო, ათავსებდნენ), მაგრამ რაკი ხატის კომპოზიციის მთლიანობის შენარჩუნება არასოდეს არ ავიწყებოდათ. დამატებითი მინანქრების განაწილებისას მუდამ იცავდნენ კარედისთვის დამახასიათებელ სიმეტრიულობას.

მხატვრულად გააზრებულია არა მარტო სამკაულების განლაგება მოღლ არეზე, არამედ თვით ტედრობის ხასიათიც, კარედი, როგორც აღვნიშნეთ, მოფიტრებულია, როგორც ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატის შესანახი ჩარჩო. ჩარჩოს დანიშნულებას კარები და ცენტრალური ნაწილის თავსა და ბოლოში მოთავსებუ-



ხახულის ხატი, კარების გარე მოჭედვითობა



ლი ანაღლებული ნაწილები ასრულებენ. მათ შორის მოქცეული არეკი ფინია მინანქრის სატისათვის. ეს ჩანაფიქრი კარგადაა ხორცშესხმული ანაწილებით განსხვავებული დამუშავებით. ღვთისმშობლის ხატის გარშემო მდებარე არე დაბალი რელიეფითა და წვრილსახოვანი ორნამენტითაა დამუშავებული. სამკაულების უმეტესობა ამ ნაწილზეა განლაგებული. ამით ოსტატი, ერთი მხრივ, რელიეფურად გამოიყოფს სამკაულებს, როგორც კარედზე ფერადოვნების შემქნელი კომპონენტს. ქედურს კი მხოლოდ ფონის დანიშნულებას ანიჭებს. მეორე მხრივ, ასეთი დამუშავებით ხაზგასმულია და წინ წამოწეული თვით ღვთისმშობლის გამოსახულების მნიშვნელობა. თავისთავად ღვთისმშობლის სახისა და ხელების მუქი ვარდისფერი ტონი ფერთა მთავარ მახვილსაც წარმოადგენდა. ჩარჩოზე კი მთავარია არა ფერთა მახვილები, არამედ ორნამენტული დეკორი, რომელიც ჰკრავს და დასრულებულ სახეს უქმნის ცენტრალურ კომპოზიციას. ამიტომ, ოსტატი ამ ორნამენტის ნახატს გაცილებით მსხვილად და მაღალი რელიეფით ამუშავებს. ჩარჩოზეა განლაგებული კარედის ყველაზე დიდი აქცენტები — მხატვრულად დამუშავებული ვარდულები და მინანქრითა და ძვირფასი ქვებით შემკული დიდი ვერები.

თავისი საერთო აღნაგობით ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედი ქართული ოქრომჭედლობის განვითარების იმ განსაზღვრული საფეხურის მნიშვნელოვანი ძეგლია. როდესაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნაწარმოების საერთო დეკორატიული გადაწყვეტა და, მასთან დაკავშირებით, ძლიერდება ინტერესი მორთულობისადმი.

კარედი მთლიანად მოჭედილია მცენარული ორნამენტით. ადამიანის ფიგურის გამოსახვა აქ მთლიანად უარყოფილია. მას მხოლოდ სამკაულებზე (მინანქრის ფირფიტებზე) ვხვდებით. ორნამენტის საფუძველს წრეში მოთავსებული სტილიზებული ფოთლის ერთ-ერთი სახეობა წარმოადგენს, რომლის მოტივი მეტად გავრცელებულა შუასაუკუნეების საქართველოში. მის სხვადასხვა ვარიანტებს ვხვდებით X საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებზე. ასევე ქვის რელიეფებში, წიგნის მხატვრობაში და სხვ.

ხახულის ხატზე ორნამენტის დამუშავებისას იგრძნობა, ერთი მხრივ, წინა ეპოქის ტრადიციების გავრძელება — ორნამენტის დინამიკური და პლასტიკური დამუშავება, ხოლო მეორე მხრივ, ამოცანისადმი ახლებური მიდგომა — ნახატის გართულება დეკორატიული ილემენტებით — პატარა კაუჭებით და მისი ზედმიწევნით დეკორატიული დამუშავება. ეს თვისება წინანდელზე მეტა სიძლიერით ვლინდება და ახლებურ იერს უქმნის ორნამენტს.

კარედის მოჭედილობის გულდასმით შესწავლამ ცხადყო, რომ იგი შესრულებულია ორი ოსტატის მიერ. შესაძლებელი გახდა გამოგვეყო ნაწილები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ნახატისადმი თავისებური მიდგომით. ასევე მისი დამუშავების ხასიათითაც. საქმე გვაქვს ორი ოსტატის ჩამოყალიბებულ, განსხვავებულ მხატვრულ აზროვნებასთან და, ამათთან ერთად, სხვადასხვა ხელთან.

კარედის კარებას გართთა მოჭედილობა კარედის შიდა მოჭედილობისაგან მორთულობითა და შესრულების ხასიათით მთლიანად განსხვავდება.

უპირველესად ყურადღებას იპყრობს მასალა — დაუფერავი ვერცხლის მთლიანი ფირფიტა, რომელიც ნათლად გამოიყოფა ოქროსფერ შიდა ტონისაგან. ქედურ-



რის დაბალი რელიეფით მასზე გრაფიკულად მოცემულია ხის გამოსახულება გაშლილი, ერთმანეთში გადახლართული, ყლორტებით, რომლებზედაც ფოთლებია მიმობნეული. მთელი ზედაპირი დაყოფილია სან ზოლად, რომლებშიაც შეორდება ერთი და იგივე კომპოზიცია. კარების ცენტრში ოქროთი მოვარაყებული დიდი ზომის უკარია გამოსახული.

როგორც ორნამენტული მოტივი (ხის გამოსახულება), ასევე მისი მეტად დინამიური შესრულების ხასიათი მეტად განსხვავდება შიდა ნოჰედილობისაგან. მისი შესრულება გაცილებით ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. ამ გარემოებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თავდაპირველად, ხახულის მონასტერში, ღვთისმშობლის ხატს ვერცხლით მოჭედილი კარედი უნდა ჰქონოდა. გელათის მონასტერში ახალი კარედის გაკეთების დროს გათვალისწინებული იქნა მისი ძველი ნაწილების შენარჩუნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატი სასწაულმოქმედად ითვლებოდა და მისი ძველი მორთულობის ნაწილების შენარჩუნებას რელიგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მით უმეტეს, რომ ეს ძველი შემორჩენილი ნაწილები საერთო შთაბეჭდილებაზე ვერ ახდენდნენ გავლენას, რადგან კარედი საკუროთხევლის წინ გაშლილი კარებით იყო დასვენებული.

თავისთავად ცხადია, რომ XII საუკუნეში შემუშავებულ მხატვრულ გემოვნებას აღარ აკმაყოფილებდა ის სადა, ვერცხლით მოჭედილი, კარედი, რომელიც თავდაპირველად ჰქონდა ხატს. რადგან ხატი ასეთი სახელგანთქმული იყო, იგი განსაკუთრებული სიმდიდრით მორთულ ჩარჩოში მოათავსეს.

კარედის მდიდრული შემკულობა, რომელიც საზეიმო ხასიათს ატარებს, და მისი დიდი ზომები შემთხვევითი არ არის. გაერთიანებულ ძლევანოსილ საქართველოში დიდძალი სიმდიდრე იყო დაგროვილი. ამასთანავე, კარედი მეფის დაკვეთა იყო. რაც საშუალებას აძლევდა შემოქმედს ფართოდ გაეშალა თავისი ჩანაფიქრი. მას წინასწარ საკმაოდ დიდი რაოდენობის მინაქრის ღორფინები და ძვირფასი ქვებიც ჰქონდა. რომელთაც ოსტატურად რთავს კომპოზიციაში, მისთვის საჭირო ფერთა მახვილების შესაქმნელად.

კარედი შეკვეთილი იყო ახლად აშენებული გელათის მონასტრისათვის, რამაც განსაზღვრა ძველის საერთო ფორმებიც. გელათი, ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაწარმოები XII საუკუნის პირველი ნახევრისა, დავით აღმაშენებელმა არა მარტო საგვარეულო საძვალედ შექმნა. არამედ ქართული აზროვნებისა და რეალობის მნიშვნელოვანი ცენტრადაც აქცია. დიდებული ტაძრის შინაგანი სივრცე, ძლიერი განათება, სიდიადისა და ზეიმის განწყობილებას ქმნის. კარედის ოსტატი ცდილობს შეუფარდოს ხატის საერთო ზომები და მისი მხატვრული სახე იმ სივრცესა და გარემოცვას, რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო იგი. ხატის ოსტატმაც, კარედის მონუმენტალური ზომებითა და მისი ძვირფასი შემკულობით, შეაღწია საზეიმო შთაბეჭდილებას. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ მკვლევარნი ხახულის ხატს ადარებენ ისეთ მონუმენტურ ძეგლს, როგორცაა მსოფლიოში განთქმული „პალა დ'ორი“. ვენეციის სან-მარკოს ეკლესიაში.

ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი, ეს უნიკალური ძეგლი, ქართული ოქრომჭედლობის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოში ცნობილ ძეგლთა შორისაც.

შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი ღმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა

ნაქალაქარი ღმანისი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ასოოდე კილომეტრის მანძილზე. იგი გაშენებული ყოფილა კონცხზე მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურს შუა. ნაქალაქარის ტერიტორია დღეს სრულიად უკაცრიელია და ქალაქის წარსულზე მტყყველებენ მხოლოდ ძველი ციხის, ეკლესიებისა და სხვა შენობათა ნანგრევები. ერთად-ერთი მისადგომი ნაქალაქარს სამხრეთიდან აქვს, სხვა მხრიდან ქალაქი ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და მას ფრიალო კლდეები იცავდნენ. სამხრეთი ნაწილი ქალაქისა, საიდანაც შეიძლება წიგნით შეღწევა, გამაგრებული ყოფილა მტკიცე ბურჯებიანი გალავნით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე დგას საკმაოდ დაზიანებული პაზილიკა VII საუკუნისა, რომელსაც დასავლეთის მხრიდან კარიბჭე აქვს მიშენებული. სიონის აღმოსავლეთით შერჩენილია ძლიერ გადაკეთებული სამრეკლო და ამ უკანასკნელის მახლობლად პატარა ეკლესია. სიონის სამხრეთით კარგად ჩანს შიდაციხის კედლები და შენობათა ნანგრევები. ქალაქსავე ეკუთვნოდა დიდი სასაფლაო, რომე-



ღმანისი. მუხეთის ნანგრევები



ლიც მის სამხრეთით მდებარეობს. გარეუბანში ყოფილა აგებული აგრეთვე სამი აბანო, რომელთა ნანგრევები ახლაც შერჩენილია. მდიდარია დმანისის თავისი წყურბუნი, რომლებიც მოიპოვება როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ისე გარეუბანში რელიზის სააფლავოს ტერიტორიაზე.

ამიტომ იყო, რომ ნაქალაქარმა დმანისმა თავისი მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლებით ყურადღება უკვე XIX საუკუნეში მოიპყრო, მაგრამ მისი არქეოლოგიური შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დაშარების შემდეგ დაიწყო. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკა, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებიც, გაცხოველებით ემზადებოდნენ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად. მაშინ, როგორც ცნობილია, გადაწყდა მოწყობილიყო შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა. ამ გამოფენაზე აღნიშნული ეპოქის ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის ასახვისათვის მასალების შეგროვება და გამოფენის მოწყობის ხელმძღვანელობა დაველა ჩვენს სახელოვან მეცნიერს პროფ. ივ. ჯავახიშვილს. მან განიზრახა გამოფენაზე ეჩვენებინა იმდროინდელი ქალაქი, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო მასალები ჩვენს მუზეუმებს მაშინ არ გააჩნდათ იმის გამო, რომ საქართველოში არ ყოფილა გათხრილი არცერთი ნაქალაქარი. საჭირო იყო სწრაფად შეგებულიყო ეს ხარვეზი, რადგან დრო მეტად მცირე იყო. სწორედ ამ მიზნით, პროფ. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით პირველად დაიწყო დმანისის ნაქალაქარის გათხრა, როგორც ისეთი ობიექტისა, რომელსაც შეეძლო მოეცა საჭირო მასალა საქართველოს XI — XIII ს.ს. ქალაქების ისტორიისათვის. ნაქალაქარის გათხრა დაიწყო 1936 წელს, გაგრძელდა 1937 წელს და იმავე წელს შეწყდა დიდი ხნით.

როდესაც გადაწყდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქისა და საეპირო ცენტრის დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრა, ივ. ჯავახიშვილმა არქეოლოგიური გათხრის განხორციელება დაველა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის უფრ. ნეცნ. თანამშრომელს ლევან მუსხელიშვილს (1900 — 1942), ნიჭიერსა და ფართო განათლების მეცნიერს, რომელსაც გააჩნდა საფუძვლიანი ცოდნა, არქეოლოგიური მუშაობის გამოცდილება და კარგი ორგანიზატორის უნარიც.

კონსულტანტად მოწვეული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი, რომელიც კარვად იცნობდა კავკასიის ფეოდალური ქალაქის არქეოლოგიას. როგორც ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა პროფ. ივ. ჯავახიშვილს დაეკისრა და მას არასოდეს მოუკლია მზრუნველობა და ხელმძღვანელობა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის.


დმანისის 1936 — 1937 წწ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიას. მცირე ხნის განმავლობაში მუშაობის მიუხედავად (საერთო ხანგრძლივობა 3,5 თვე), მან განსაკუთრებით დიდი მუშაობა განახორციელა: გათხარა, აზომა და შეისწავლა მთელი რიგი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ისე მის გარეუბანებში. შეისწავლა, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი განათხარი მასალაც.

აღნიშნულმა ექსპედიციამ, მისი დაულალავი ხელმძღვანელის ლ. მუსხელიშვილის წყალობით, განახორციელა დმანისის მახლობლად არსებული ისტორიუ-

ლი ძეგლების აღწერა და ფუქსაცია მოკლევადიანი სამეცნიერო ექსკურსიების საშუალებით.



ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგად პირველად გავიყვანეთ გორი იყო შუასაუკუნეების დმანისის საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. ღ. მუსხელიშვილმა თავის ნაშრომში დმანისის შესახებ შეაჯამა განხორციელებული მუშაობა, მართებულად განსაზღვრა და დაათარილა განათხარი კერამიკა, დაასაბუთა წითელქვციანი მოჭიქული კერამიკის ადგილობრივი წარმოება, გამოიყო იმპორტული კერამიკის ჯგუფი და სხვ.




დმანისი. ვერცხლის საკიდები ფარშევანგების გამოსახულებით

ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ნანვე მართებულად დაასკვნა, რომ დმანისის, როგორც ქალაქის, აყვავების ხანად უნდა მივიჩნიოთ XI — XIII სს. განსაკუთრებით კი XIII საუკუნე [1].

მაშინ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ დმანისის გათხრის შედეგები უკმე ახლა საყურადღებოა და, უქმველია, უფრო საყურადღებო იქნება, როცა მოელი დმანისის გათხრა დასრულდებაო [2, გვ. VII].

დმანისის არქეოლოგიურმა გათხრამ და მისმა წინასწარმა შედეგებმა გააღვივა ინტერესი ერთი მხრივ ფეოდალური ხანის ამ რიგის ძეგლებისადმი. ხოლო მეორე მხრივ, დმანისის სიძველეებისა და ექსპედიციის მიერ მოპოვებული განათხარი მასალისადმი. სხვადასხვა სპეციალისტების მიერ განხორციელებული მუშაობის შედეგად გამოვიდა როგორც მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები, ისე მცირე შრომები.

წიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც ჰქონდა დმანისის ნაქალაქარის და განათხარი მასალის შესწავლას, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მისი შემდგომი გათხრა შეჩერდა და დიდხანს — 23 წლის განმავლობაში — იქ მუშაობა არ განახლებულა.



დმანისი. ძვლისაგან დამზადებული ნივთების ფრაგმენტები

ასეთი ნანგრძლივი დაყოვნების შემდეგ დმანისის არქეოლოგიური გათხრა განაახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1960 წელს და მას აქეთია, თუმცა წელი ტემპით, მაგრამ მაინც გრძელდება ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. შეიძლება დაბუჯითებით ითქვას, რომ არქეოლოგიური მუშაობის განახლებამ დმანისში უკვე ახლა მნიშვნელოვნად გაამდიდრა მუზეუმის ფონდები და ახალი მასალები შეგვძინა როგორც დმანისის, ისე, საზოგადოდ, საქართველოს ფეოდალური ქალაქების ისტორიისათვის. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ნაქალაქარის სტრატეგრაფიის დადგენა, არსებული ფენებიდან განსაკუთრებით მძლავრად არის წარმოდგენილი შუასაუკუნეების — XI—XIII საუკუნეთა — ფენა. აღნიშნული ფენიდან ხშირად ხერხდება XIII საუკუნის ფენის გამოყოფა. რა თქმა უნდა, გამოიყოფა გვიანი ფეოდალური ხანის ფენაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევების გათხრასა და დათარილებას. ექსპედიციამ გათხარა როგორც საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები, ისე საკულტო ნაგებობა — მეჩეთი თავისი მინარეთითა და სასულიერო სასწავლებლით — მედრესეთი; აღმოჩნდა კერამიკული და ზეთსახდელი სახელოსნოების ნანგრევებიც.

როგორც წესი, დმანისის საცხოვრებელი ნაგებობები ნაგლეჯი ქვებითა და დულაბითაა ნაგები. აშკარად ჩანს, რომ დმანისის შენობათა უდიდეს



ნაწილს ბანიანი გადახურვა უნდა ჰქონოდა, რადგან იშვიათად თუ გვხვდება გათხრის პროცესში კრამიტის ნატეხები.

საცხოვრებელი ოთახების იატაკი ხშირად თიხით არის მოტეხილი და უზრუნველყოფილია მოტეხილი. მაგრამ გვხვდება ფილაქნებით მოფენილი იატაკიც. ზოგიერთ შემთხვევაში კარგად არის შერჩენილი ოთახის ცენტრში კერა, რომელიც შემოკეთებულია სამი მხრიდან ბრტყელი და მოგრძო ქვებით.

სტრატეგრაფიული მონაცემების, შენობათა იატაკის დონეთა დადგენისა და განათხარი მასალის შესწავლის საფუძველზე, გათხრულ ნაგებობებს შორის შესაძლებელია გამოყოფა როგორც გვიანფეოდალური ხანის ნაგებობების ნანგრევებისა, ისე XII — XIV საუკუნეთა, XIII საუკუნისა და XII — XIII საუკუნეების ნანგრევებისა.

საცხოვრებელ ნაგებობებს გარდა, ექსპედიციამ II უბანზე გათხარა ერთი მოზრდილი შენობა, რომელიც მასალების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა მუსლიმანური საკულტო ნაგებობა — მეჩეთი. თუმცა აღნიშნული შენობის ნანგრევები-ღა იყო შერჩენილი, ამასთან გადაკეთებული და რამდენადმე გეგმა-შეცვლილი, მაგრამ მაინც მოხერხდა მისი დანიშნულების დადგენა: საქმე ის არის, რომ შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შერჩენილი იყო ოთხკუთხა ქვედა ნაწილი (ზომები 3,6 x 3,8 მ.). ხოლო მეჩეთის შენობის სამხრეთ კედლის ცენტრში მიკრების ნაწილი მომრგვალებული ნიშის სახით, თანაც შენობის გეგმა წაგრძელებული იყო არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, არამედ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რაც აშკარა შენობებისათვის არის დამახასიათებელი. მეჩეთს ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა სვეტიბიანი შენობა, რომლის სვეტების ბაზები იყო შერჩენილი.

აღნიშნული სვეტიბიანი შენობა უნდა ყოფილიყო მუსლიმანური სასულიერო სასწავლებელი ანუ მედრესე. სტრატეგრაფიული მონაცემებისა და ანალოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე მეჩეთის შენობა შეიძლება დათარიღდეს XIII — XIV საუკუნეებით.

ექსპედიციამ, როგორც აღინიშნა, აღმოაჩინა სახელოსნოების ნაშთებიც: პირველ უბანზე — კერამიკული სახელოსნოსი, ხოლო მესამე უბანზე — ეთსახდელი სახელოსნოსი. კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩნდა ქურკლის გამოსაწვავი ქურების ნანგრევები, რომელთაგან შედარებით კარგად იყო დაცული ერთი ქურის ნაშთი. ქურის დონეზე აღმოჩენილი მონეტებისა და სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე, აღნიშნული სახელოსნო შეიძლება დაკავთარიღოთ XII საუკუნით. რაც შეეხება ზეთსახდელ სახელოსნოს, აქ აღმოჩნდა ორი გელაზი, რომელთაგან ერთი გვერდზე იყო წამოწვენილი (დამეტრი — 1,59 მ., სისქე — 0,35 მ.), ხოლო მეორე გელაზი პორიზონტალურად იყო (დამეტრი 1,9 მ., სისქე — 0,27 მ.). ქვედა გელაზი წარმოადგენდა იმ მოედანს, რომლის გარშემოც აბრუნებდნენ ზედა გელაზს. იატაკის დონეზე აღმოჩენილი მონეტებისა და განათხარი მასალის მიხედვით, იგი შეიძლება XIII — XIV საუკუნით დაკავთარიღოთ.

უაღრესად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი დმანისის ექსპედიციის მიერ მოპოვებული განათხარი მასალა; რა თქმა უნდა, ყველაზე მრავალფეროვანია სხვადასხვა დანიშნულებისა და ტიპის კერამიკა. მრავლად მოპოვება მინის ქურქლისა და, განსაკუთრებით, მინის სამაჯურების ფრამენტები, მონეტები, ძვლის,

რქის, რკინის, ქვის ნივთები, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების რკინის იარაღები, ვერცხლისა და ოქროს სამკაულები, მრავლად გვხვდება საქონლის ძეგლები და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დმანისში აღმოჩენილ მონეტებს მარტო ფენებისა და შენობების დათარიღებისათვის, არამედ ქალაქის ეკონომიური ურთიერთობის საკითხის შესწავლისთვისაც. დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1960 — 1965 წწ. განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგად მოიპოვა 130 სხვადასხვა მონეტა. ამავე დროს, ექსპედიციამ დმანისის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლებისაგანაც შეიძინა შემთხვევით ნაპოვნი რამდენიმე ათეული მონეტა. ეს მონეტებიც ადასტურებენ ლ. მუსხელიშვილის მიერ აღრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დმანისი, როგორც ქალაქი... „განსაკუთრებით XIII საუკუნეში მდიდრობს“. მართლაც, დმანისში აღმოჩენილი (და შეძენილი) მონეტების დიდი უმრავლესობა სწორედ XIII საუკუნეს მიეკუთვნება (თამარის, რუსუდანის, დავით ნარინის, მანგუ ყაენის მონეტები, ქართულ-პულაგუიდური მონეტები და სხვ.). მონეტები, ამავე დროს, კარგად ასახავენ დმანისის ეკონომიური ურთიერთობის დიაპაზონსა და ინტენსივობას სხვადასხვა საუკუნეებში.

ახალ მნიშვნელოვან ფაქტებს მიაკვლია მუზეუმის ექსპედიციამ ფეოდალურა ხანის ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის; ექსპედიციამ აღმოაჩინა დიდადილი ნივთიერი მასალა, რომელიც მივითითებდა ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაზე (თიხის სოლები, სამღებები, ნახევარფაბრიკატები, წარმოების წიწი და სხვ.). მუზეუმის ექსპედიციამ 1964 — 1965 წწ. მიაკვლია კერამიკულ სახელოსნოს ნანგრევებს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დმანისის (და არა მარტო დმანისის) კერამიკული წარმოების ისტორიისათვის.

ყველა ზემოხსენებული მასალის, აგრეთვე დიდადილი და მრავალფეროვანი კერამიკული პრიდუქციის ნიმუშების აღმოჩენა მივითითებდა ადგილობრივ ინტენსიურ კერამიკულ წარმოებაზე შუა საუკუნეების საქართველოში.

ექსპედიციამ მოიპოვა აქამდე სრულიად უცნობი ექსპონატებიც. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია თიხის სოლის აღმოჩენა, რომელზედაც დადუღებულია ფაიანსის ტურქლის ფრაგმენტები. ეს უნიკალური ექსპონატი უდაო და მნიშვნელოვანი საბუთია იმისა, რომ დმანისში ფაიანსის ტურქელსაც ამზადებდნენ. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, დამატებით კომენტარს არ საჭიროებს. კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთი ფაქტიც: დმანისში, ქვედა ფენაში (2,0 — 2,5 მ. სიღრმეზე) აღმოჩნდა ერთი ჯგუფი მოჭიქული დიდი და დაბალქუსლოვანი ჯამების ნატეხებისა, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას აჩვენებენ იმ ტიპის კერამიკის ნიმუშებთან, რომლებიც აღმოჩენილია როგორც ჩვენში — თბილისში, ისე აზერბაიჯანში — ორან-ყალაში და, რომლებიც დათარიღებულია IX — X სს. ამ საფუძველზე დმანისში აღმოჩენილი ანალოგიური კერამიკის ნატეხებიც შეიძლება ასევე IX — X სს. დავათარიღოთ.

ხელოსნობის სხვა დარგის მასალებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება მინის ტურქლისა და სამკაულების ფრაგმენტები, აგრეთვე ძვლისა და რქის ნივთები.

დმანისში აღმოჩენილი მინის ნივთების სიმრავლე თავისთავად მეტყველებს მინის ნაწარმის გავრცელებაზე შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით მრავალფერო-



დმანისი. საყდრის ტუმოს ეკლესიის კანკლის ფრეზონტი

ვანი და მრავალრიცხოვანი მინის სამაჯურები, უფრო მეტები. ჩვენ ხელდასაყრეული განათხარი მასალა აშკარად ამჟღავნებს დმანისის მინის ნაწარმის სპეციფიკურობას, თუმცა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება მტკიცე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ დმანისში მინის ნაწარმსაც ამაზღებდნენ. სადღეისოდ აღნიშნული მასალა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

რაც შეეხება ძვლისა და რქისაგან დამზადებულ ნივთებს, ჩვენ ასეთი ნივთებუთუმცა ნაკლები გვაქვს მინის ნივთებთან შედარებით, მაგრამ, სამაგიეროდ. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც მიგვითითებს მათ ადგილობრივ წარმოშობაზე. საჭმე ის არის, რომ აღმოჩენილია დასამუშავებლად მომზადებული ირმის რქის ნაწილები, რომელთაც თავ-ბოლო გადახერხილი აქვთ, მოიპოვება ნახევრად დამუშავებული ძვლისა და რქის ნივთები და დასასრულ, სხვადასხვა დაწნიშნულების დასრულებულ ნივთები.

აღნიშნული ნივთები სრულიად გარკვევით მიგვითითებენ ხელოსნობის შესაბამისი დარგის განვითარებაზე დმანისში XII — XIII საუკუნეებში.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ვერცხლისა და ოქროს სამკაულების განძის აღმოჩენა.

განძი, როგორც ჩანს, ხის ყუთში ყოფილა მოთავსებული. იგი შედგებოდა 25 ერთეულისაგან, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროსა და ვერცხლის საკიდები, საყურეები, სხვადასხვა ტიპის სამაჯურები, ყელსაბამი (შედგენილი ვერცხლის რვაქიმიანი ვარსკვლავებისაგან, ბიკონუსური და მარჯნის ცილინდრული მძივებისაგან) და მძივები. საკიდები აჭურულია, მსუბუქი და ყუნწებზე ჩამოკიდებული აქვთ პატარა ძეწკები, დაბოლოებული ბირთვისებრი ზანზალაკებით. განსხვავებულია სამაჯურები; ერთი ჯგუფი ბრტყელი და უარყოფითისაგანაა გაკეთებული, პირგახსნილია და შემკულია გავარსითა და სხვადასხვა ფერის უბრალო თვლებით; მეორე ჯგუფი უფრო ვიწროა, ხოლო მესამე ჯგუფი ღრუა ან გრებილი.

გემოვნებით არის გაკეთებული ყელსაბამი, ვერცხლის და მარჯნის მძივები ფერთა სასიამოვნო შეხამებას იძლევა. მეტად საინტერესოა ვერცხლის ორი საკიდი, რომლებიც წარმოადგენენ ფარშეიანების გამოსახულებებს ვერცხლის ძეწკით და სხვ. დმანისის ექსპედიციის წევრი ვ. ლევიჩინაძე ანალოგიების საფუძველზე აღნიშნულ განძს XII — XIII სს. ათარიღებს.

განძის თითოეული ნივთი ოსტატურად არის გაკეთებული, მათი შემკობისათვის გამოყენებულია სხვადასხვაგვარი ხერხი, დამახასიათებელია სიმსუბუქე და სინახე. აღნიშნული სამკაულები მცირე ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა სხვადასხვა შინაურ ცხოველთა ძვლების ნაშთები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება გათხრის პროცესში. როგორც ძვლის ნაშთების წინასწარი შესწავლიდან ირკვევა (განათხარი მასალა შეისწავლა ა. ციციშვილმა), შუასაუკუნეების დმანისში გავრცელებული ყოფილა ძროხა (ხეცურული ჯიშისა), ცხვარი (იმერული), თხა, კამეჩი, ცხენი, ღორი და სხვ. გარეული ცხოველებიდან ხშირად გვხვდება ირმის ძვლები. ცხოველთა ძვლის ნაშთების დიდი რაოდენობით აღმოჩენა და მათი წინასწარი შესწავლა უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ შესაქონლეობას დმანისის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვა მასალებიც არის მოპოვებული, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, რკინისაგან დამზადებული სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, გემებიანი თვლები; გადაღებულია მეტად საინტერესო საფლავის ქვები XVIII საუკუნისა, წაკითხულია წარწერები, შეკრებილია სხვადასხვა ხასიათის მასალები დმანისის მახლობლად არსებული ისტორიული ძეგლების შესწავლისათვის (იკლესიის კანკელი, სტელის ბაზა ბერძნული წარწერით, სტელების ფრაგმენტები და სხვ.), რომელთა შესახებ ამ მცირე წერილში შეუძლებელია წერა.

მიუხედავად იმისა, რომ დმანისის გათხრა რამდენიმე წელია მიმდინარეობს, მაინც ნაქალაქარის ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილია შესწავლალი. ნუშაობა მხოლოდ დაწყებულია და მომავალში მოსალოდნელია ახალი, მნიშვნელოვანი, ძეგლების აღმოჩენა. არქეოლოგიურმა გათხრამ თანდათანობით უნდა გახსნას ძველი ქალაქის ცალკეული კვარტალები, უბნები. გაირკვეს ქალაქის გეგმა და სხვ. ამიტომ მომავალში საჭიროა არა მარტო მუშაობის გაგრძელება, არამედ მისი



გაფართოებაც (უნდა დაიწყოს ქალაქის შიდაციხის ტერიტორიის, ვარკეთილსა და მაროფანის და სხვა ნაწილთა გათხრა).

დაშოვნებული შრომები:

1. ლ. მუსხელიშვილი—დვანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). კრებული პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით—„შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ. 1938 წ.
2. ივ. ჯავახიშვილი—წინასიტყვაობა კრებულისათვის „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ. 1938 წ.





ქართული
ენციკლოპედია



თმოგვი. ციხის ბურჯები. ქვიციკარის კედლებზე კარგად ჩანს ბრძოლისა და შენების სურათები
ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.
სპელეოსტიკური ექსპედიციის 1965 წ. მასალებიდან.

თ მ ო გ ვ ი

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებთან
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა ღვებთან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებთან,
მათთან შემზმულთა დაპოცენ, მართ ცეცხლად მოედებთან.

ვეფხისტყაოსანი

მესხეთი — თმოგვის ციხე-ქალაქი, ვანის ქვაბისა და ვარძიის მონასტრები, დაზარეული გაწიშვებული კლდეები — დარნები და ქვაბნაშენები, აი მშობ-ლიური ქვეყანა, ქვეყანა ეკონომიურად მდიდარი, დიდ მგოსანს რომ ასაზრდო-ებდა.

რუსთაველის ეპოქაში, მტკვრის ამ ხეობაში დიდი კულტურული შემოქმე-დება გაშლილი. აქ მძლავრად იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა, ქართველი კაცის მარჯვენის ძალა, მისი სამშენებლო თუ სულიერი ნოღაწეობის სიდიადე.

ალარ იყო ქაჯთა ციხე — ციხე წუნდის ნაქალაქევესა ამ დროს თმოგვიან ჯავახეთის გულმკერდი. თმოგვთან კი ქაჯთა ციხის სახელი ისევ ცოცხლობდა. ქაჯთა ციხეებით იყო მოფენილი ქართული მიწა, შოთას მიწა.

რუსთაველის თვალწინ იდგა ზეადმართული თმოგვის დიდებული ციხე-ქალა-ქი. თმოგვი ძლიერი, თმოგვი მრისხანე.

თმოგვის შემოქმედი ხალხია. კლდესთან შერკინებულ ოსტატთა ძალა აქ უძლეველია. მარადიულია ხელი უცნობი ოსტატებისა, მათი გონება და მარჯვენა ხალხის ძალას, მის ნაღვანს შეესისხლობორცა და უკვდავნი დარჩნენ საშვილიშვი-ლოდ.

ფეხდაფეხ მიყვებით წარსულ მშენებელთა ნაკვალევს. მათ მდ. მტკვრის პირას. ვეებერთელა კლდის ამოზიდულ ქიშხე და მის კალთებზე გაუშლიათ თავი-ანთი შემოქმედება. თმოგვის კლდე ნახევარკუნძულივით შეჭრილია მდინარეში. გაღმიდან კარგად ჩანს კლდის თავზე ციხის ნანგრევები, ზღუდე-ბურჯებით და ფერდობზე ნაქალაქარი სასაფლაოებით.

მოხერხებულადაა გამოყენებული კლდის რელიეფი. რელიეფს განუსაზ-ღვრავს თვით ციხის რთული გეგმა. აქ ზღუდეები სხვადასხვა სიმაღლეზეა ამოყვა-ნილი. საფუძვლიანადაა გადაღობილი მისადგომები ციხის ცენტრთან, სადაც მცირე ფართობია შემოზღუდული თხემზე. ციხე შედარებით კარგადაა შემორჩენილი დასავლეთით. აქ კლდის დამრეც ფერდობზე ციხის სამი საფეხურია კედელ-ბურ-ჯებით ამოშენებული. შუა კედელი საბრძოლო დანიშნულებისაა და იგი ნაგებო-ბებს არ საზღვრავს. ქვედა კედელი კი რამდენიმე ნაგებობას ზღუდავდა. კედელი სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვაბთანაა მიყრდნობილი. ქვაბი კლდის სიღრმეში ნაკვე-თი საადუმლო გვირაბით დაკავშირებულია ზემოთ ცენტრთან და ქვემოთ მდ. მტკვართან.



ცენტრი კლდის თხემზე მთლიანად ნაგებობებს ეკავა. მათი ერთი ნაწილი მიშენებული იყო ციხის ზედა კედელთან. ნაგებობები გადაიოდა თხემის მხარეს და დასავლეთ მხარეს. მათ შორის მცირე გასასვლლები რჩებოდა. აქვე სამეურნეო დანიშნულების ნაშთები. მათ შორის, ორი ღრმა ორმო წყლის მარაგისათვის დღემდეა დაცული.

თხემის ცენტრში ბაზალტის ცოკოლზე აშენებული სწორკუთხე ნაგებობაა გათლილი ტუფის კვადრებით. შემორჩენილია კარ-სარკმელები და კარნიზის ფრაგმენტები. ეს ორფერდა სახურავიანი ნაგებობა ბრტყელ აფსიდრანი ეკლესია უნდა იყოს; მას გადაკეთება არ განუცდია.

ციხის კლდეში ორგან შესასვლელია დატოვებული. ერთი — საპროლოზ თაღოვანი გასასვლელი მოხდენილად ერწყმის ორი ხევის შემავრთებელ მცირე უნაგირს.

აღმოსავლეთის, კლდეთა ნაპარლებს შორის, ყოველი გასავალი ბრტყელა კედლებითაა გადაკეტილი. ამ კედლების წყობასა და დასავლეთის ძირიდან კედლების წყობას შორის მკვეთრი განსხვავებაა. აშკარაა სხვადასხვა ეპოქის ხელი.

საერთოდ, თმოგვი უმთავრესად ორი ტიპის წყობა გამოიყოფა აშკარად. ერთი — ძველი ფენა თავდაპირველი მშენებლობისა; ესაა ტუფის გათლილი კვადრების წყობა ერთნაირი სიმაღლის რიგებით. ასეა ამოყვანილი ციხის მხოლოდ ქვედა საფეხურის კედელი. მეორე ფენა — გვიანდელი მშენებლობისა და აღდგენა-რესტორნისათვის — ხასიათდება უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვით, გარკვეული ფორმის გარეშე. ნაწილობით ან უნაწილობით ნაკერებით.

თმოგვის შენებისა და ბრძოლის მძიმე სურათები ამ კედლებზეა აღბეჭდილი. ციხის მცველნი თავდაცვისათვის მოხერხებულად იყენებდნენ ნახევარწრიული ფორმის მასიურ ბურჯებს. ეს განიერი ბურჯები თანაბრადაა განაწილებული კედლის განწვრივ.

ციხის თავდაცვით სისტემაში დაზვერვისა და სიგნალიზაციისათვის განსაკუთრებული ადგილი აქვს მიუთვთებული თხემის სხვადასხვა საფეხურზე გაფანტულ ოვალური ფორმის ქვაბ-სამზერებს. თმოგვის ციხის ცენტრიდან კლდის სიღრმეში გვირაბი მდინარემდე ჩაუტანიათ. კამაროვანი გვირაბი ადგილ-ადგილ ჩანგრეულა და შზის სხივს ჩაუღწევია გვირაბში, თმოგვის საიდუმლო გარეთ გაუტანია. კლდის გულში გამოკვეთილი ზიგზაგური ხერხელო საფეხურებითა და ოვალური სარკმლებით დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მტკვრის ზემოთ ძნელად მისაღწომ სიმაღლეზე გამოკვეთილ ქვაბთა კომპლექსს ეს გვირაბი აერთებს ციხესთან. ქვაბებიდან გვირაბის უკანასკნელი საფეხურები წყაროს აუზთან ჩადის მტკვრის ნაპირზე. გვირაბის ბოლო ჯერ არ ვიცით, იგი საიდუმლოებით არის მოცული.

ამ მხრიდან მდ. მტკვრის გაყოფებით კერტიკალური კლდე მიუდგომელია მტრისათვის. მეციხოვნეთათვის კი ციხის სხვადასხვა ადგილებთან და თვით ქალაქთან დამაკავშირებელი გზაა გაბაწრული. ეს გზა ადგილ-ადგილ კლდეში ნაკეცი საფეხურებით ზღუდის კედლებშიც გადის. იგი ციხეს ქალაქთან აერთებდა.

ამავე მხარესაა კლდის ნაპარლზე ქვითკირით მიშენებული სამალავი გვირაბის ფრაგმენტები. მისი კლდეში ნაკვეთი საფეხურები მტკვრის ნაპირზეა შემორჩენილი.

ციხის კედლების გარეთ ორი ეკლესიაა შემორჩენილი. დასავლეთით ხევში



კლდეში ნაკვეთი წმ. ეფრემის ეკლესიაა. ეს მცირე ზომის საკულტო ნაგებობა ყუ-
რადღებას იპყრობს კედლებზე ჩაჭრილი თაღებითა და თვით კლდის მასივში ტან-
მოკეთილი კანკელით. კლდის ქვათა გროვაში ეკლესია გარედან გამოიყოფა ლილ-
ვებითა და ნახევარწრიული თალიანი სარკმლით, რომელიც კლდეში ნაკვეთ კან-
კლთან ერთად, კლდის ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშია. ეს გამოქვაბული
ეკლესია კლდის მასივში იკარგება და თითქოს დამალული საშლოცველია; მეო-
რეს — გუმბათმონგრეულსა და მკერდწველიწილს — წარსულის ეშვი დაუკარგავს.
მორღვეულ საკურთხეველში XIII ს. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები ავდარს-
ებრძვის. კარიბჭის შემორჩენილი თალი გადმომდგარა კლდის ქიშხე და ნაქლა-
ქვეს თავზე დასცქერის.

ნაქალაქევი ციხის ჩამოზვევებულ ლოდებში და მიწის ნაყარშია ჩაფლული.
აქა-იქ მოჩანს კლდისა და ქვის საცხოვრებელთა ფრაგმენტები. ნაქალაქარის თავ-
ზე ციხის ძირში დვიანდელი მოსახლეობის რამდენიმე სასახლეაოა.

ნაქალაქარის მტკერის ორივე მხარესაა. ორივეგან სასახლის ნანგრევებია,
მდინარეზე კი ხიდის ბურჯები შემორჩენილია ორგან.

სასახლე მეტისმეტად დანგრეულია. იგი ერთი შენობაა. აქვე ჰყრია მისი
ფრაგმენტები. — არქიტრაფი, სარკმლის თავი მასზე ამოკვეთილი ტოლქალავე-
ბიანი ჯვრის დაბალი რელიეფით წრეში და სხვ.

სასახლის კედლები ნაგებია კლასიკური ხერხით — ტუფის გათლილი კვად-
რებით თმოგვის ციხის ძველი კედლებს მსგავსად და მასთან ერთად უძველეს
ფენას მიეკუთვნება.

მტკერის მარჯვენა მხარეს მეორე სასახლე ოთხ ნაგებობას შეიცავს. ერთი
მათგანი აბანოა. სასახლის კომპლექსი მდინარიდან ძალზე მალაა გაშენებული
მცირე მოაკებულ ადგილზე. სასახლის სამი ნაგებობა ერთმეორის გაგრძელება-
ზეა განლაგებული. აბანო კი დგას მათგან ჩრდილოეთით.

პირველი შენობა სამ სადგომს შეიცავს 100 — 120 კვმ. ფართობით. ყოველ
ოთახს ცალკე შესასვლელი აქვს. შენობის კედლები არ შემორჩენილა. მეორე შე-
ნობა ვრცელი, 300 კვადრატული მეტრისანი სასახლეა. შესასვლელი წინა დარბა-
ზიდანაა. ჩანს პირველი სართულის გადახურვის ადგილი და მეორე სართულის
კედლის ფრაგმენტი. მესამე ნაგებობა ერთი ვრცელი სათავსოა, 300 კვადრატულ
მეტრზე მეტი ფართობით. აქ თითქმის ერთი სართულია შემორჩენილი. შენობები
ნაგლეჯი ქვის წყობითაა ამოყვანილი კირის ხსნარზე.

აბანო, რომელიც ქვითა და ქართული აგურითაა ნაშენი, სამ სათავსოს შეი-
ცავს. კამარები ჩამონგრეულია, თუმცა კუთხის ტრომპების თავისებურება შესამ-
ჩნევია.

სასახლის კედლის წყობა ანალოგიურია თმოგვის ციხის გვიანდელი, მათ
შორის, აღდგენილი, კედლის წყობისა, რომელიც XIV ს. შუა წლებით თარიღდება.

სასახლის მახლობლად ორი გზაა: წუნდიდან მომავალი ბილიკი სასახლის
აღმოსავლეთით გადის და ვანისქვაბ-ვარძიისაკენ მიიმართებოდა. მეორე კი ისტო-
რიული გზაა ტრანსპორტისათვის. ეს გზა სოფ. მარგასტანთან იწყება, სასახლეს-
თან გაივლის, შემდეგ საცალფეხო ბილიკით ხეობაში ეშვება, და ხიდს უკავშირ-
დება.

სასახლესთან, დაბლა ჩრდილოეთით და სამხრეთით ორი წყაროს წყალია.
შუა მდინარეში კლდის მოგლეჯილ ლოდზე ქვიტკირის ფრაგმენტი. ეს ხი-



დის ოჯახი ბურჯია. ბურჯის ნანგრევები მდინარის ნაპირზე დაცა. ერთი ხიდი გადებული იყო ორ სასახლეს შორის. და სასახლის კომპლექსს აკავშირებდა ციხესთან და ნაქალაქევთან; მეორე ხიდი — ტრანსპორტისათვის — უფრო ქვემოთ იყო და თმოგვის ქალაქის ორივე ნაწილს აერთებდა.

გადავადგოთ თვალი მატრიანებს და ძეგლებზე მიმოხედავთ „ქართლის ცხოვრების“ დაუნატულ ფურცლებს.

მატიანეში X ს. დასაწყისიდან იწყება თმოგვის ისტორია. როგორც ჩანს, IX — X სს. იგი ჯავახეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი და ძლიერი ციხეა. XI ს. ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 914 წ. არაბთა სარდალმა აბულ-კასიმმა აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-ჯავახეთი ნაოხრა. თმოგვისაც დაიკა. „მოადგა ციხესა თმოგვისასა, და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით“...

X ს. პირველ ნახევარში თმოგვი და ჯავახეთის დიდი ნაწილი აშოტ კუროპალატის ვაჟის ადარნასეს ჩამომავლობის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. X ს. ბოლოს ჯერ აფხაზთა მეფეების ხელშია, შემდეგ სამეფო ციხეა და თვით ჯავახეთის გამგებელი ერისთავიც გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ მესამის ხელქვეითია.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში თმოგვი კვლავ ჩანს. ბაგრატ მესამემ კლარჯთა მეფენი ძმები სუმბატ და გურგენ „პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგვისასა, და მუნ ციხეს შინა გარდაიცვალნეს“. ეს იყო 1011 — 1012 წწ.

ამიერიდან საქართველოს მეფენი თმოგვით ასაჩუქრებდნენ ხან ერთ ხან მეორე ფეოდალს. თმოგვი შენდება და იზრდება. თმოგვის მფლობელნი საქართველოს დასაცავ ბრძოლებში ერთერთი პირველთაგანნი არიან. თმოგვთან კი ბრძოლები ნაკლებად ჩანს.

პირველი თმოგველი ფარსმანია. 1044 — 1045 წლებში, კლდეკარის ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის განდგომისას, იგი მასთან ერთად იყო მეფე ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ და მასთან ერთად დამარცხდა. მეფე და ერისთავები შერიგდნენ. ფარსმან თმოგველი ერისთავთ ერისთავია. იგი ახალქალაქსაც ფლობდა.

1065 წ. თურქ-სელჩუკების შემოსევის დროს ახალქალაქის ბრძოლაში ფარსმან თმოგველმა თავი დასდო მეფისა და მამულისათვის. ამიტომ ათონის ივერიის მონასტრის აღაპი გვაუწყებს: „მრავალნი წყალობანი ქმნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“.

1073 წ. მეფე გიორგი II-მ თმოგვი უბოძა ურჩ ფეოდალს ნიანია ქუაბულის ძეს. ნიანიას ოჯახისათვის, მისი შემკვიდრისათვის თმოგვში დასახლება საბუდისწერო აღმოჩნდა.

1089 წ. აღდგომა თმოგვში. ზეიმია საქართველოში. ლოცულობდა თმოგვი... და ხელაპყრობილ მლოცველთ კლდის ნანგრევები მკერდზე შეასკდათ. „შეიძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სსსტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაიბრუნეს, კვლესიანი დაეცნეს,.... რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ“, მაგრამ კვლავ აღდგა თმოგვი, ცხოვრებამ ახალი ძალით იფეთა. წინაპართა ნაოხარზე ახალი თაობა მოვიდა. ახალს აშენებდა, თავის მომავალს სკვდდა ქართველი.

1177 წ. შემდეგ გიორგი III-მ თმოგვი უბოძა მის მიერ მსახურთუხუცესად

საქართველოს
საზღვაო სპორტის
სამსახური



თმოგვის ციხე. ზღუდის ჩრდილო-დასავლეთის კედლები
ფოტო ნ. ერკომაიშვილისა
სპელესტიკური ექსპედიციის 1965 წ. მასალებიდან



აღზევებულ აფრიდონს. თამარის ტახტზე ასვლის შემდეგ, დაახლოებით 1186 — 1187 წწ., ოპოზიციის მოთხოვნით, სხვა აღზევებულ უგვარო პირებთან ერთად აფრიდონცე „მოიშალა და დაიშხო“.

თმოგვის ახალი პატრონი უკვე საქართველოს ლაშქრის სარდალი ამირსპასალარი გამრეკელი-თორელია და ამ დროს მისი მნიშვნელობაც ერთიორად ამაღლდა.

გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ (1191 წ.), თმოგვის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ეს დიდებული ციხე-ქალაქი სამეფვიდრეო მამულად გადაეცა მხარგრძელთა ერთ შტოს, კერძოდ „შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“. ამიერიდან სარგისი და მისი შთამომავლები თმოგველებად იწოდებიან. ეს სარგის თმოგველი უნდა იყოს ავტორი ჩვენამდე არმოღწეული თხზულების „დიღარგეთიანისა“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ წინამორბედი.

სწარგრძელები დიდად გავლენიანი ფეოდალები იყვნენ თამარის ეპოქაში. სარგისის ბიძაშვილები ზაქარია და ივანე ქვეყნის მართვა-გამგეობაში ერთი პირველთაგანი იყვნენ. ზაქარია ამირსპასალარი იყო, ივანემ კი ათაბაგობას მიიღწია.

თმოგვეთ დამკვიდრებულ ფეოდალისათვის საგვარჯულო მონასტერი იყო საჭირო. აზიტომ 1204 წ. შემდეგ თმოგვის მახლობლად მდებარე ეანის ქვანის სამეფო მონასტერიც თმოგველებს გადაეცათ საგვარჯულოდ.

1205 წ. რუმის სულთან რუქნადინთან ბრძოლის დროს უკვე თაყაიდინ თმოგველი ჩანს, ხოლო 1234 — 1235 წწ. თმოგველი კვლავ სარგისია „კაცი მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი“. სარგისი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში; 1246 წ. დავით ლაშას ძეს ახლდა ბათო ყაენთან და ყარაყორუმში დიდ ყაენთან; მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტას თავის შეთქმულებაში. XIII ს. 60-იან წლებში სარგისი ჯერ კიდევ ცოცხალია.

თმოგველები XIII ს. განმავლობაში დიდ მზრუნველობას იჩენენ მონასტრისადმი. ვანისქებას დაუწესეს მონასტრის ტიბიკონი (შინა განაწესა). ეს ძეგლი, რომელიც დღემდე შემოგვრჩა, ქართული სამართლის მნიშვნელოვანი დოკუმენტია. თმოგველები მონასტერში ეწვევიან ფართო სამშენებლო მოღვაწეობას.

თმოგველი ერისთავთ ერისთავი სმჩმი (სახელი გაუხსნელია) 1265 — 1283 წწ. მონასტრის ცენტრს — ტაძარს უშენებს კარიბჭეს და სამრკვლოს, ტაძრის მახლობლად კი ააგო ეკვდერი და ჩუქურთმაში სამშენებლო წარწერაც ჩააყოლა.

1263 წ. კვლავ დიდი მიწისძვრა მოხდა.

„...სამსხეს ურიცხვი სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო“.

ამ დროს დაინგრა თმოგვიცა და ეანის ქვაბიც. მიუხედავად ამისა, თმოგვეთ XIV საუკუნის დასაწყისში თმოგველები ჯერ კიდევ ჩანან. მაკრამ მიწისძვრის თუ სხვა მიზეზების გამო თმოგველებმა თმოგვი მიატოვეს და მას სხვა პატრონი გაუჩნდა. ეს დასტურდება თმოგვის აღმოსავლეთ ზღუდის ქვემოთ აღმოჩენილი წარწერით:

„შეწვენითა და ძღვირებითა ვარძიისა ღვთისმშობლისაითა, ქორონიკონსა ლც (1350 წ.) დავიწყეთ ზღუდე ესე მე, მეუეთ-მეფის დავითის ვარძიელმან საწოლის-მწიგნობარმან თმოგუს, მურვან კეითხისძემან“.

ე. ი. მიწისძვრით დანგრეული ციხის აღმოსავლეთი კედელი განახლებული და აწინააღმდეგაველია 1350 წ.

მურვან კვიციანი ძის შთამომავლები ვანის ქვაბის ტიბიკონის გვერდულ მხარეებში წერებში არიან დასახელებული, ე. ი. თმოგვის და საგვარეულო მონასტერსაც ესენი ფლობენ 1350 — 1393 წწ.

ამის შემდეგ თმოგვი ჯერ ათაბაგ ივანეს ხელში ჩანს, გვიან კი, XVI საუკუნეში, ხან რჩეულაშვილებს და ხან ამბაკიაშვილებს აქვთ.

თმოგვის ციხესთან არსებული ქალაქი XVI ს. ჯერ ისევ ქალაქობს.

1576 — 1578 წწ. შალიკაშვილის ბელმძღვანელობით მესხეთის აზნაურთა ბრძოლა ათაბაგის წინააღმდეგ თმოგვის მიდამოებში სასტიკი ბრძოლებით აღინიშნა. თმოგვი ძირითადი დასაყრდენი იყო შალიკაშვილისა. სხვა ციხეებთან და ქვაბებთან ერთად, მანუჩარ ათაბაგმა თმოგვის ქალაქი დაარბია და ციხე თვით დაიჭირა.

1578 წ. ოსმალები შემოვიდნენ სამცხეში და თმოგვი მანუჩარ ათაბაგმა ლალაფაშას გადასცა. მოკლე ხანში სამცხე-ჯავახეთი მთლიანად მიიტაცეს თურქებმა და მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შემდეგ მოხერხდა ამ მხარის კვლავ შემოერთება.

XVIII ს. თმოგვეში მოსახლეობა შემცირდა. მისი ძველი დიდება დაეცა და ვაიუნტის ცხოვრებით „თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბაო“.

დღეს თმოგვეში მოსახლეობა აღარ არის. მისი ნანგრევების უმთავრესი ფენები ორი მძლავრი მიწისძვრის შედეგად კლდის ნანგრევებშია ჩამარხული.

რუსთაველის ნაკვალევი, მისი ეპოქის კულტურის მანიშნებელი ძეგლები-თმოგვის წიაღშია საძებნი.



რუსთაველის აკოქის ძეგლები ქვემო ქართლში

1948 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა წამოიწყო ძველი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარის, ისტორიული ქვემო ქართლის, შესწავლა. სამი წლის მანძილზე ქვემო ქართლის ექსპედიციამ, რომელსაც განსვენებული აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, ჩაატარა ოთხი კამპანია აწინდელი თეთრი წყაროს რაიონში. ექსპედიციამ მოიარა ქციის, ალგეთის, ჭივჭავაძე, ირაგის,



დაღო, ეკლესიის ბაღვარი

გუდარჯის, ბოგვის, ასურეთის, კოდას, ზრბითის, ლაგვას, საყავრის, მქაეისის ხეობები და აღრიცხა აქ 170 ნასოფლარი და სოფელი. შეისწავლა 296 ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. გამოვლენილ ძეგლთა შორის არის 14 ციხე-სიმაგრე, 4 კოშკი, 9 სასახლე, 8 სამონასტრო კომპლექსი, 193 ეკლესია, 18 ქვა-ჯვარა, 5 სტელა, 2 მენპირი, 19 სამაროვანი, 5 უძველესი სადგომი, 20 ყორღანი, 3 დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლი და აბანო.

ამ მიზოხილვის შედეგად გამოვლინდა ქვემო ქართლის ნამდვილი მნიშვნელობა და განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. მიონლოთა,



ირანელთა და ოსმალთა მრავალგზის რბევა-აწიოკების შედეგად გაუდაბურებულსა და აოხრებულ ქვეყანაში ჩანს ხალხის ცხოვრების უწყვეტი კვალი, მრავალნაირი ული განვითარების სხვადასხვა საფეხურები. როგორც ჩანს, აქ უნდა ვიფარაუდოთ ქართული კულტურის ერთ-ერთი საწყისი კერა. იგი მოწინავე მხარეა ადრე ფეოდალურ ხანაში, სწორედ აქეთ გადმოინაცვლა XI საუკუნეში ფეოდალური საპარტელოს პოლიტიკურმა



ორთაშუა. სვეტის ბაზისა

ლორისძეაღი, მოხისი. XIII საუკუნიდან შემორჩენილია პირღებული, არხოტი, გუდარები, დიდი თონეთი, უგუდეთი და სხვ. აქედან გვინდა გამოვეყოთ ორი ნაკლებად ცნობილი ძეგლი, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მათზე დაცულ წარწერათა წყალობით.


თეთრიწყაროს აღმოსავლეთით, ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე, თანამედროვე სოფლების დაღეთ-ხაჩინსა და მაწევანს შორის, ჩანს დიდი ნასოფლარი და ეკლესიის ნანგრევი (ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს — როგორც ჩანს, ორი მცირე ხვეი: შემოფარგვლის გამო — ორთაშუას უწოდებს. ვახუშტის რუკის მიხედვით აქ უხდა ყოფილიყო სოფელი უკანდაღეთი). ეკლესია ამჟამად სრულიად დანგრეულია მეზობელი სოფლის დაღეთ-ხაჩინის მცხოვრებთა მიერ, რომლებმაც ორმოციან წლებში ეკლესიის თლილი ქვის პერანგი გამოიყენეს საკოლმეურნეობოსლისა და საწყობის ასაკებად. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველის ნაწილი.

თველოს პოლიტიკურმა ცენტრმა. იგი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული გვიანფეოდალურ ხანაშიც, სანამ XVIII საუკუნეში საბოლოოდ არ დაიკალა და მხოლოდ XIX საუკუნეში თანდათან მოშენდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა წყალობით.


ამჯერად, ჩვენ შევეხებით განვითარებული ფეოდალიზმის ხანას, რომელმაც დაგვიტოვა ამ მხარეში რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი ძეგლი. XI საუკუნე წარმოდგენილია დმანისის, კობალას, ახალსოფლის (ძველი ზა), გობნარის, კლდეისის, ლაკვას ეკლესიებით, XII საუკუნეში აგებულია ზრბითი, აძიკვი, წრაუთი, არხოტი, ეცო,



და აქა-იქ პერანგმოცლილი კედლების კვალი. როგორც ჩანს, ეკლესია დარბაზული (ცალნავიანი) ყოფილა, მინაშენებით სამი მხრიდან. ეკლესიის კედლები უკვე აღარაა დარჩენილი ყოფილა ბაზალტის კარგად თლილი ქვით. სამწუხაროდ, ამჟამად მისი თავდაპირველი სახის აღდგენა უკვე შეუძლებელია, ვაგრამ ყურადღებას იპყრობს ძველის ცალკეული ფრაგმენტები. საკურთხეველში დგას მთლიანი ქვის ორიგინალური, რელიეფური თაღებით შემკული, ტრაპეზი. ნანგრევის ირგვლივ მიმოზრუნულია რთული პროფილის კარნიზის ნატეხები, ღაროვანი ჩაკვეთით შესრულებული რკალებით შემკული სვეტის ბაზისი და სვეტისთავი, რომლის ზედა ნაწილში დაყოლებულია ორნამენტული ზოლი რელიეფური ბირთვების სახით. ყველა ეს დეტალი მიგვიჩვენებს არა მარტო მშენებლის მონდომებასა და შეიძლება ითქვას, მაღალ ოსტატობაზე, არამედ — თუ გავითვალისწინებთ ძნელად დასამუშავებელი მასალით კედლების მოპირკეთებას — იმ მნიშვნელობაზეც. რომელიც ენიჭებოდა ამ ძველს.



დაღუთი. წარწერის ფრაგმენტი



დაღუთი. გეგმა

ეკლესიის კიდევ უფრო საყურადღებო დეტალები აღმოჩნდა დაღუთ-ხაჩინის საკოლმეურნეო საწყობში, სადაც კიბის საფეხურებად დაგებული ყოფილა ეკლე-



სიის წარწერიანი ფილები, სამწუხაროდ, სადღეისოდ აღმოვაჩინეთ ვრცელი წარწერის მხოლოდ ორი ფრაგმენტი.¹


პირველ ფილაზე, რომლის ზედა ნაწილი დაზიანებულია მისი მორგების დროს, ორიგინალური მრგვალი ასოებით ამოკვეთილია:

... [მე] ფ[ე]თ [ა] [მე]ფ [ი] სა
 ... კ ვლ ეკლ [ე] ს [იი] ს ს[ა]ხ [ელ]ს [ა]
 წ[მ]იდი ს [ა] ოდ [ე] ს სძლ [ია] მ [ე] ფ [ემა] ნ
 ... დ [ი] ნს დ [ა] გა [ა]ქც [ია] უძლ [ე] ვ [ელ] [ი]
 [ა] დ [ი]დე] ნ დ [მერ]თმა] ნ მ [ე]ფ [ე] თ [ა] მ [ე]ფ [ე] შ [ე]ფ [ე] ვ [ე]თ.

ნეორე ქვაზე დარჩენილია მხოლოდ ერთი სიტყვა --

მ სუფ [ე] ვა

როგორც ჩანს, ეს წარწერა ამოკვეთილია თამარ მეფის ჯარის რუმის სულთან რუკნადინზე ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად. როგორც ცნობილია, თურქეთის სულთანი რუკნადინი სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა 1204 წელს



ორთაშუა. ეკლესიის წარწერის ფრაგმენტი

ბასიანის ომში. ე. ი. ეკლესია აგებული უნდა იყოს XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში. აღსანიშნავია, რომ ძველის გადარჩენილი დეტალებიც სათანადო პარა-

1. ეს ფილები ამჟამად გამოტანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და შეტანილია კატალოგში. იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი. 1953.



ლილესს პპოვებენ ქვემო ქართლის ამ პერიოდის რიგ შენობებში (აბულია, ნაქარსული, ბაზევი, ახალსოფელი, თონეთის წმინდა სამება და სხვ.). უეჭველად გასაფიქრებელია წინებელია: ძველად დასამუშავებელი ქვის — ბაზალტის — ფაქტურა და ამასთან დაკავშირებით დეკორატიული მორთულობის თავისებურება და რეპერტუარიც.

სოფელ დაღეთ-ხაჩინის დასავლეთით, ერთი კილომეტრის დაშორებით, დგას კიდევ ერთი საკმაოდ დაზიანებული მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია. აშკარად შეიმჩნევა მისი გადაკეთების კვალიც. ეს ეკლესიაც ბაზალტის თლილი ქვითაა შემოსილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბალავრის დიდი ქვა, რომლის ზედაპირზე გამოკვეთილია ოთხი რელიეფური ჯვრისა და მძლავრი კოპების კომპოზიცია. ბალავრის შუა არე შემოღარგლულია ოვალური მოხაზულობის ლილვით, რომლის ცენტრში მოთავსებულია კვარცხლბეკზე შემდგარი მაღალი ჯვარი. ორი ჯვარი გამოკვეთილია ლილვის ორსავე მხარეს და მეოთხე მცირე ჯვარი წამოშობულია ლილვის თავზე. ჯვრების მკლავებს შუა მოთავსებულია მკვეთრად გამოძერწილი კოპები. რამდენადმე განსხვავებული ვარსკვლავისებრ - კბილანებიან არეში ჩასმული ოთხი კოპი განაწილებულია ლილვის ზემოთ, პატარა ჯვრის ორსავე მხარეს.



ორთაშუა. ეკლესიის ტრაპეზი

შუა არეში ჯვრის ორივე მხარეს მოთავსებულია წარწერა —

ქ [რისტე] შ [ეიწყალ] ე	ქობ [უ] ლ
ხევ [ი] ს	უფ [ა] ლ ი
ესე და კ [ა] რენ [ა] ლ ი	წყ [ა] რ [ო] ი მ [ა] ნ ქ [მ] ნ [ა]

როგორც ჩანს, ეკლესია აგებულია კლდეში ან ქვანარში (კარკნალი — კარკალი) ხევის პატრონის ქობულის მიერ წყაროს გამოყვანასთან დაკავშირებით. პალეოგრაფიულად წარწერა თითქოს IX — X საუკუნეებზე მიგვითითებს, თუმცა



აქაც გასათვალისწინებელია უხეში და ძნელად დასამუშავებელი მასალები ეკლესიაში შემორჩენილია მეორე წარწერის ფრაგმენტი. წარწერა შემორჩენილია ყოფილა საგანგებოდ მოტანილ ყვითელი ფერის რბილ ქვაზე ამჟამად დაცულია მხოლოდ ერთი სიტყვა — „თმრის“ და ასო რ. მის ქვემოთ წარწერას შემოვლებული ჰქონია მოხდენილი წნული.

აღსანიშნავია, რომ ეკლესია დახურული ყოფილა კრამიტით, რომლის ზედაპირზე გამოძერწილია რელიეფური სტილიზებული ყვავილი. ზუსტად ასეთი გამოსახულებიანი კრამიტი აღრიცხულია ჩვენ მიერ XI — XIII საუკუნეთა რიგ ძეგლებზე. სახელდობრ — ნადარბაზევის სასახლეში, ვაკის ეკლესიაში, კაბენის მონასტერში, სამღერეთის „მონასტერში“ და თბილისში XII — XIII საუკუნეთა კერამიკული წარმოების უბნის გათხრის დროს.

ჩვენ მოვიხილეთ ქვემო ქართლის მხოლოდ ორი მცირე ძეგლი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ მხარეში XI — XIII საუკუნეთა ძეგლების სიმრავლეს, მის მჭიდრო დასახლებას, სამონასტრო კომპლექსებისა და სამეფო რეზიდენციების არსებობას, მაშინ თვალნათლივ წარმოგვიდგება ამ მხარის მაღალი კულტურული დონე და პოლიტიკური მნიშვნელობა რუსთაველის ეპოქაში.



დაღუთი.
კრამიტი.

„ვეფხისტყაოსნის“ მესხური რეალიზმი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შ. რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში, მწიგნობრული ტრადიციით განმტკიცებულ წმინდა ლიტერატურულ და აგრეთვე ორიგინალურად წარმოქმნილ საკუთარ ინდივიდუალურ სიტყვებთან ერთად, უხვად იყენებს ხალხის საყოფაცხოვრებო ლექსიკიდან ამოღებულ სიტყვობრივ ფონდს, გრამატიკულ ფორმებსა და ფრაზეოლოგიას. ეს ენობრივი მასალა, თუმცა ძირითადად საერთო ქართულია, მაგრამ დიდი მგოსანი თითქოს ვერ ეტევა ერთიანი ხალხური ზეპირი მეტყველების ჩარჩოებში და პარალელურად კუთხურ (დიალექტურ) სიტყვებსა და თქმებსაც არა ერთხელ მიმართავს [1].

რუსთაველურ დიალექტიზმებს შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მესხურ (იმავე ჯავახურ) სამეტყველო სინამდვილესთან თანხედენილი ფაქტები, რომელთა არსებობაზე ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა გარკვევით მოუთითა თავის შრომებში [2].

„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და მესხურ-ჯავახური კილოს ურთიერთობის საკითხის დასმა სავსებით ბუნებრივი და გამართლებულია საისტორიო-მწიგნობრული და ხალხური ვადმოცემებით განმტკიცებული იმ ძლიერი ტრადიციის გამო, რომელიც შ. რუსთაველის მესხურ წარწერებში ადასტურებს. ისიც ირკვევა, რომ XVII საუკუნეშივე ცნობილი ყოფილა ვერსია შოთას მიერ სამწერლო ენაში ჯავახურ (იმავე მესხური) სამეტყველო სპეციფიკის შეტანის შესახებ: ცნობილია, რომ მეფე-პოეტი არჩილი თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზის პირით შოთა რუსთაველს ერთგვარ საყვედურით მიმართავს: „ლაზოდა თქვი, შემოაღე ჯავახური ენა მძიმეო“ [3].

მესხიზმებად აღიარებულ ვეფხისტყაოსნისეულ სიტყვათა რიგიდან აქ გვსურს გამოვყოთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ის მონაცემები, რომელთა მნიშვნელობაც ან ნივთიერი კულტურას ობიექტებს უკავშირდება, ანდა მესხეთის გეოგრაფიულ პუნქტებზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას.

ა ყ ი ყ ი

პოემაში ნახმარი ძვირფასი ქვების სახელებს შორის ყურადსაღებია ა ყ ი ყ ი, რომელიც 1134-ე (საიუბილეო გამოცემა) სტროფში გვხვდება. ფაქტმანი პეტაფორულად აღწერს ნესტან-დარეჯანის ტირილს:

შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა ვუბები,
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების საცხე სათისა რუბები,
შუა ძოწსა და აყისა სჭვირს მარჯალიტი ტყუბები.



შეუდარებელი პოეტური ოსტატობით აგებულ ამ სტროფში ქვეყნის შედეგად დასახულია მელნის ტბად. სადაც ტირილის შედეგად ჩაწყურებული მდინარის შუბები (წაშწამები), ხოლო ტყუებდა ჩაწყობილ მარგალიტად კი — კბილები.

ძოწი წითელი მარჯანია (ხრიზალითი), რაც შ. რუსთაველს გამოყენებული აქვს ტურების (ბაგეების) მეტაფორად. მაგალითად: „გალიმდის, ძოწნი გააპნის“ (1337); „ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავეს ძოწისა ბაგითა“ (961); „ძოწ-მარგალიტი ტყუბანი“ (880) და სხვ. აყიყი კი, ჩვენი აზრით, ღრძილების აღმნიშვნელი უნდა იყოს და ძოწისა და აყიყის ერთად დასახელებით პოეტის მიერ მითითებულია ტირილის დროს გახსნილი ბაგეებისა და ღრძილების შორისი არე, საიდანაც მარგალიტის კბილები გამოსჭვივდაო. ამ პოეტური სურათის სიქცაად დასტურდება სიტყვა აყიყის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

აყიყი („ვისრამიანის“ მიხედვით აკიკი) არაბულ-სპარსული სიტყვაა („ელ-აკიკ, „ჰაკაიკ“) და აღნიშნავს ნახევრად ძვირფას ქვას ხალკედონების ოჯახიდან. ვ. ნოზაძის მითითებით. იგი ბიბლიაში მოხსენებულია თავისი ევროპული სახელით „სარდიონი“. მას ამჟამად ეწოდება „კარნელიონ“ იმ ფერის მიხედვით, რომელიც უში ხორცის ფერს ემსგავსება [4].

ამ განმარტებაში ჩვენთვის საყურადღებოა აყიყის ანუ სარდიონის ჯერზე მითითება, რაც საშუალებას იძლევა ღრძილების ფერთან მის დაკავშირებას. აყიყის ხორცისფერობაზე ამხებილებს ყურადღებას აგრეთვე პრიფ. ნ. ქოიავა: „ეს ქვა (აყიყი ი. შ.) წითელი ფერისაა, — წერს მკვლევარი, — ნაგრამ გვხვდება სხვადასხვა ტონად. მისთვის კველაზე უფრო დამახასიათებელია ხორცის ფერი; სწორედ აქედან წარმოდგება მისი რტალიური სახელწოდება (ლათინური სიტყვიდან „კარნე“ — ხორცი) [5].

„ვისრამიანს“ გარდა აყიყი ნახშირია შამ-ნამეს ქართულ ვერსიებში და აღორძინების ეპოქის თხზულებებში (თეიმურაზი, არჩილი). ს. ს. ორბელიანის დექსიკონში ეს სიტყვა არ წოებოვება, ხოლო დავით და ნიკო ჩუბინაშვილებს იგი განმარტებული აქვთ როგორც აქატი (arat) და იამანი.

ჩვენ საშუალება გვქონდა სიტყვა აყიყი მესხურ ცოცხალ მეტყველებაში და გვედასტურებინა [6]. ჯერ კიდევ 1937 წელს სოფ. უდის (ადიგენის რ.) მცხოვრებმა მოსე ბოჩიაკვილმა განგვიმარტა მისი მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ აყიყი ერთგვარი მძივების ასხმა და მას ძველად ქალები ყელსაბამად ხმარობდნენო.

ძველი ყოფითი წესებისა და რეალების გადავარდნასთან ერთად, დღეს აყიყიც გამოსულია ხმარებიდან, მაგრამ ცნობა მის არსებობაზე კიდევ შერჩენია მოხუცთა მესხიერებას მესხეთში. გასული წლის სამეცნიერო მივლინების დროს სოფელ უდესა და არალში ამ საკითხზე საგანგებოდ ვესაუბრეთ ხანდაზმულ კოლმეურნეებს. მ. ბოჩიაკვილის ცნობა დადასტურდა, შეივსო და დაზუსტდა. გამოიჩინა, რომ აყიყი უმთავრესად მოწითალო ფერის ქვისაგან გამოთლილ მძივს ან მძივების ასხმას (გალას, მანიაკს) ეწოდებოდა. ხალხი ამ მძივებს სამკურნალო თვისებასაც მიაწერდა: მათ წყალში ჩაყრიდნენ, ღამე გარეთ გადაამდნენ. „ვარსკვლავებს აკრფინებდნენ“ და მერე იმ წყალს სწეულ საქონელს ასმევდნენო, — გვითხრა 70-დე წლის არღელმა მანდილოსანმა მარიამ ჩილინგარიშვილმა. აყიყს საყვითლოსთვისაც ხმარობდნენო, დასძინა მანვე.

სკოლის დირექტორის პ. გიქოშვილისა და სასოფლო სპეცის თავმჯდომარის



შ. მანსურაძის დახმარებით, ჩვენ მოვიპოვეთ აუციის რამდენიმე მძივი, რომელთაგან ერთს მართლაც ხორცის (ღრძილის) ფერი გადაპკრავს. სოფ. უდემში სხვაგვარი აუციის აუციყ უნახავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნიმუშებს ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევხვდით.

სპეციალისტების ჩვენებით, აუციი ავატის გარკვეული სახეობაა. მდ. ფოცხოვის აუზში (ახალციხის რ.) დღეს ავატის მადანს იღებენ, ეს გარემოება ბუნებრივად სვამს საკითხს მესხეთში ძველად გავრცელებული აუციის სამკაულთა წარმოშობის შესახებ, რაზედაც ჯერჯერობით გარკვეული პასუხის გაცემა ძნელია, ის კი შეიძლება დავძინოთ, რომ აუციი უკავახეთშიც საკმაოდ პოპულარული ნივთი ყოფილა: ერთ უკავახ ხალხურ მოღებეს ასეთი ლექსი გამოუთქვამს:

წიგნი გავმალე და ვნახე
ნესტან-თინათინის ხატი,
შოგ აუციყები ელაგნენ
იმ ჩვენი შოთას ნახატი.

ქ ა პ ა ნ ი

ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში ერთხელ არის ნახმარი, იქ, სადაც გადმოცემულია ტარიელის ხატეალებთან შეხვედრის ამბავი. ჩემს წერილზე — მოუთხრობს ტარიელი ავთანდილს, — ხატეათის მეფემ კადნიერ პასუხი გამეცა და ბრძოლად გამომიწოდაო. მაშინ განკარგულება გავეცი სალაშქროდ შხადებისათვის და

ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია,
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,
შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკე მონასპანია,
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია.

იტროფის შინაარსი ვასაგებია და სავანგებო ახსნას არ საჭიროებს, გარდა სიტყვისა „მონასპანია“, რაც აქ, ა. შანიძის მითითებით, ხტომით მორბენალს უნდა ნიშნავდეს. კაპანი კი რომ ერთგვარი ადგილის სახელია, ეს კონტექსტიდანაც კარგად ჩანს: იგი ნახმარია „კლდისა“ და „მინდორის“ გვერდით.

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში კაპანი განმარტებულია როგორც „ქვალოჯი“, დაახლოებით ასევე განმარტავენ მას სხვა ლექსიკოგრაფები. დავით და ნიკო ჩუბინაშვილები ამ განმარტებას უმატებენ გამოთქმას: „ქვიანი ადგილი“; ქვიან ადგილად მიანხიან კაპანი აგრეთვე დ. კარიჭაშვილს, კ. ჭიჭინაძეს და იუსტ. აბულაძეს, რომელიც ამავე დროს ხაზს უსვამს მის სომხურ წარმოშობას. მართლაც, სომხურში არსებობს შ.გავსი სიტყვა კ ა პ ა ნ ქ-ის სახით, რაც მახეს ანუ ხაუნაგს და, საერთოდ, დაბრკოლებას და ბორკილს ნიშნავს. ეს ერთგვარად ეხმაურება ქართული კაპანის მნიშვნელობას, მაგრამ ამ ორი სიტყვის ურთიერთობის საკითხი მაინც ვასარკვევია.

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში უცვლელად არის მოყვანილი სახას გამოთქმა, რომელსაც დამატებული აქვს შემდეგი სიტყვები: „მთის კლდინი ფერდის ფხა“. აქვე ვხვდებით ხალხურ ლექსიდან ამოღებულ საილუსტრაციო წინადადებას: „წამილეთ და იქ დამმარხეთ სხვილისის გზის კაპანის გზასა“. ეს



ლექსი ჩაწერილია ცნობილი მოღვაწის ივ. გვარამაძის („ვინმე მესხის“) მიერ და გამოქვეყნებულია „ძველი საქართველოს“ III ტომში. ნ. ნათუნაძე სიტყვებს მნიშვნელობის გადმოცემისას ადგილობრივი მესხურ-ჯავახური ვაგებიდან გამოდობდა და აღნიშნავდა, რომ კაპანი „კლდეზე გაკიბულ ვიწრო ვასაელს, ძნელად გასასვლელ ვზას“ ნიშნავსო [7].

მართლაც, კაპანი და კაპნები მესხეთ-ჯავახეთში კლდოვან-ლორღიან ფერდობზე გამავალ გზაზე მოუთითებენ [8]. დამატებით უნდა დავძინოთ, რომ კაპნებს, როგორც ტოპონიმიკურ სახელს, სანცხესა და ჯავახეთში ბევრგან ვხვდებით (სოფ. ვალეში, ანდრიაწმინდაში, დვირში, ხიზაბაურაში, სხვილისში და სხვაგან). ყველა ის ადგილი, რომელიც კი ამ სახელით არის ცნობილი, უკუოდ კლდოვან და დაქანებულ ფერდობს წარმოადგენს. ამასთანავე ამ სიტყვას ყოველდღიურ საუბარში თავისი ზემოხსენებული ზოგადი მნიშვნელობაც მოეპოვება.

კაპანი და კაპნები აქარულ და გურულ მეტყველებაშიც დასტურდება: კაპანა და კაპნისთავი აქარაში სოფლების სახელწოდებაა, ხოლო გურულ მეტყველებაში ეს სიტყვა კლდის მსაზღვრელადაც იხმარება. მეცნიერ მუშაკის პ. დარჩიას გადმოცემით, იტყვიან ხოლმე: „კაპანო კლდე“. აქვე ვხვდებით ამ ძირიდან წარმოქმნილ „დაკაპანებულს“, რაც ძალიან დატივრთულ-დამძიმებულს ნიშნავს.

საყურადღებოა ისიც, რომ სამეგრელოში ერთ-ერთ სოფელს (ზუგდიდის რაიონში) კაპანი ჰქვია, ხოლო იმერეთის მოსახლეთა შორის საკმაოდ გავრცელებულია გვარი კაპანაძე, რომელშიც სავარაუდებელია „კაპან“-ძირიდან მიღებული ადაძიანის საკუთარი ან ზედმეტი სახელი — კაპანა.

ეს ფაქტები იმაზე მიგვიითითებს, რომ კაპანი ძველ ქართულშიც საკმაოდ პოპულარული უნდა ყოფილიყო. გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ის სხვაგანაც გვხვდება, სახელდობრ, ცნობილ საისტორიო თხზულებაში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. აქ გვითხულობთ: „და გაგრძელდა ომი გზისა სიგრძისაგან, ვინაჲდან მუფე და რაზმნი მისნი მიზეზითა ბედთა და კაპანთათა დაყოვნებულ იყვნეს“. ეს კონტექსტი ვეჩივენებს, რომ კაპანი აქაც იმავე მნიშვნელობისაა, რაც ზემოთ იყო მითითებული.


ამგვარად ირკვევა, რომ კაპანი ძველად ზოგადი მნიშვნელობის ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინი უნდა ყოფილიყო. ის იხმარებოდა უმთავრესად საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, სამეგრელო). შემდეგ კი ხმარებიდან გამოსულა და გეოგრაფიულ სახელებში დაუტოვებია თავისი კვალი. მესხურ მეტყველებაში ის მაინც განსაკუთრებულ აქტიურ სიტყვად მოჩანს და, თუმცა აქ მთელ რიგ ერთნაირ ადგილთა საკუთარ სახელად გამოდის, მაინც არ დაუკარგავს ძველებური ზოგადი მნიშვნელობაც, როგორც კლდოვანი ტერასების აღმნიშვნელ ტერმინს.

ნ ა ი ს ა

ნაისა ნასოფლარია, რომელიც მდებარეობს ჯავახეთში მდ. თავფარანის წყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ჩუნჩხის საზღვრებში (ახალქალაქის რ.). მის მახლობლად მდინარის ნაპირებზე ლერწამი ხარობს და ამ ვარემოებას საგანგებო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინაიდან ამ სახელის ძირეული ელემენტი „ნა“ დამოუკიდებელი სიტყვა იყო და ძველად ლერწამს ნიშნავდა.



ვახუშტი. გრაგოლ დევისმეტეველის თხზულება, XII — XIII სს.



კამარა ვანის სსარგბა, XII — XIII სს.



ნაისა გენეტიკური ფორმით წარმოქმნილ ქართულ ტოპონიმთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც ფუძეში „ის“ დაბოლოება მოუდის, ასეთებია: რუისი, ურბნისი, გარნისი, შინდისი, კლდისი, აგრეთვე ა ემფატიკურ-ნაწილაკიანი ურბნისა, ჯგარისა, უბისა, ველისა, პერევისა და, განსაკუთრებით, ნაისა-ს ზუსტი მოდელის მქონე კეისა, ანუ ქეაისა და სხვ.

„ის“ დაბოლოება აქ ყოველთვის მიზნობრივ კავშირშია ძირეული ნაწილით გადმოცემულ ლექსიკურ მნიშვნელობასთან, რამდენადაც მას დაკისრებული აქვს აღნიშნის ამა თუ იმ ადგილის გარკვეული ნიშანდობლობა. ასე, მაგ. ყორნისი ყორნების საბუდარ ან შესაკრებელ ადგილზე მიუთითებს, ვაკისა — ვაკე, ადგილზე, უბისი უთუოდ მდ.ნარისა და ხეობის უბეს (შეჭრელ ადგილს) გულისხმობს, შინდისი — შინდნარს და კლდისი — კლდოვან ადგილს. ამისდა მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ნაისაც ლერწმოვან ადგილს აღნიშნავდა. მაგრამ სპარსულიდან შემოსულ სიტყვა ნა-ს ამ ძირითად მნიშვნელობიდან გამომდინარე მეორე — გადატანითი — მნიშვნელობაც ჰქონია. იგი ნიშნავდა საკრავ ინსტრუმენტს — ლერწმისაგან გამოთლილ სტიგის ანუ სალამურს. სწორედ ამ გაგებით არის იგი ნაბშარი „ვეფხისტყაოსნის“ 169-ე სტროფში, სადაც ტარიელის საძებრად წასული აუთანდელი, უჩივის რა ბედს, ამბობს:

„მოვშორდი ღვინისა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“.

ლერწმის მნიშვნელობით ამ სიტყვას ვხვდებით პოემის შესავალში: თამარ მეფის საქებრად ნათქვამ სტროფში ვკითხულობთ:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“.

მგოსანი მეტაფორულად გვამცნობს, რომ მან თამარის საქებრად გიშრის ტბა გამოიყენა, რაც შავი თვალების ეპითეტია, ხოლო კალმად — რხეული ლერწამი, იგივე ნა, რომელიც სიმბოლოა ქალის ნარნარა „გაწლობილი ტანისა“.

ორივე ეს პოეტური სახე — თვალების გიშრის თუ სისხლის ტბად (ან მორევად) წარმოადგენა და ტურფა ტანისა ლერწმად — შ. რუსთაველის საყვარელი მეტაფორებია:

„შიგან სისხლისა მორეგსა ეყრდნის გიშრისა შუბები“.

ამბობს პოეტი და მელნის მორეგში გულისხმობს გულამოსკენილი ტირილით დაოსებული ნესტანის თვალებს, რომლებშიაც წამწამები (გიშრის შუბები) იყო ჩაწულულ-ჩაღეწილი.

ტანი ლერწმად არის დასახული შემდეგ ტაეში:

„ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს“.

მაგრამ ამასთან ერთად, ლერწამი და ნა კალმის (პოეტური ზეშთავონების) გამოშხატველიც არის და სახეთა ასეთი გადაჯაჭვით (ლერწამი ან ნა — ლერწამივით რხეული ტანი ანუ ლერწამტანი — კალამი — სალამური), შ. რუსთაველი რთულ პოეტურ სიტუაციას ქმნის, რასაც მოწმობს სხვა მაგალითებიც.

„კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა...“
„ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნაღველსა ამონაწები...“
„იგი ლალი და უკადრი, მივა ტანისა მრხეველად...“



ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ მშვენიერ კონკრეტულ სახე-
ებით აკებულ ამ მძლავრ პოეტურ მიმოქცევაში ლერწამს მხარს უმშვენებს სპარ-
სულიდან ნასესხები ხა, რომელიც ძირია მესხეთის ერთ-ერთი გეოგრაფიული
პუნქტის სახელწოდებისა.

დარანი—მიწისქვეშა ნაგებობა

შ. რუსთაველის პოემაში გვხვდება სიტყვა „სადარანი“, რაც დანიშნულების
თავსართ-ბოლოსართით (სა — ნ) წარმოქმნილია ქართულში ცნობილ „დარანი-
საგან“.

დარანი ქართული ენის კილოებში სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაბ-
ლოებული, მნიშვნელობით იხმარება. იგი აღნიშნავს ორმოს, თხრილს, თევზის
ბუნავს მდინარეში, წისქვილის ღარს, ჭრილს, მიწის ფენას, ანუ შრეს, სამალავს.

სალიტერატურო ქართულშიც იგი დამკვიდრებულია ზოგადად მღვიმის,
საფარის აღმნიშვნელ ტერმინად. ძველი მესხეთის ცხოვრებაში კი, როგორც ჩანს,
დარანს, როგორც ვარკვეული ტიპისა და დანიშნულების მიწისქვეშა საბრძოლო-
თავდაცვით ნაგებობას, საგანგებო ისტორიული როლი შეუსრულებია. ამაზე მიჯ-
ვითითებს ამ მხარეში დღემდე შემორჩენილი დარანების უამრავი ნაშთი, რომელთა
ქსელი არა მარტო ციხე-კოშკებისა და ტაძარ-მონასტრების ფუძეებშია გაყვანი-
ლი, არამედ დასახლებული პუნქტების ქვეშაც. აქაური უძველესი სოფლები დარ-
ნების მთელ სისტემაზე დგას.

რას წარმოადგენს დარანი, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი? და-
რანი მიწისქვეშ ხვრელად გაყვანილი სასაფრო-საზვერავი უქვეითირო ნაგებობაა,
რომელიც ლოდებით არის ამოყვანილი და ქვის სქელი ფიქლებით გადახურული.
ეს არის ერთგვარი ბლინდაკი, რომლის სიმაღლე საშუალოდ 1,5 მეტრს შეადგენს,
სიგანე კი 2—3 მეტრია. მაგრამ ეს ფართობი ნაგებობის მთელ სიგრძეს არ გაპ-
ყვება. ვარკვეული მანძილის შემდეგ დარანის ხვრელი ფართოვდება და 5—6 კვად-
რატული მეტრის შემცველ მაღალქერიან ოთახად (საკნად) იქცევა. ასეთი ოთა-
ხები ზოგ დარანს რამდენიმე აქვს. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან
ხსენებული ზომის გასასვლელებით ანუ ხვრელებით.

დარნები სხვადასხვა მიმართულებით არის განშტოებული. ერთი შტო (ადგი-
ლობრივი გამოთქმით „ფები“) აუცილებლად წყალთან (მდინარესთან, წყაროს-
თან) არის დაკავშირებული, დანარჩენი შტოები, რომელთა სიგრძე ზოგ შემთხვე-
ვაში რამდენიმე კილომეტრსაც აღწევს, ციხე-სიმაგრეებთან, მეზობელ სოფლებ-
თან, ტყეებთან ან გზებთან არის შეერთებული. დარნების დასაწყისი ჩვეულებრავ
მოფარებული, ძნელმისადგომ ადგილშია მოთავსებული (სარდაფში, ბოსელში,
კალოს ნაპირზე, ბაღში და სხვ.), ზოგიერთ დარანს შემორჩენილი აქვს ხის კარიც.
კარი ქუსლიანია, შუაში ამოხვრტილი. ამაზე მიგვითითებს ჯავახეთში ჩაწერილი
ხალხური ლექსიც:

„ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი“.



როგორც ირკვევა, დარნებს ძირითადად საბრძოლო დანიშნულება ჰქონდათ. მათი საშუალებით შეიძლებოდა ჯარების დამალვა, ფარულად გადაადგილება მოულოდნელი თავდასხმა, ჩასაფრება, ცდა და ზვერვა-თვალთვალი. დამარცხების დროს კი დარნები მშვიდობიანი მოსახლეობის თავშესაფრად, სახიზრად ყოფილა გამოყენებული, რაზედაც მესხეთში მრავალი თქმულება-გადმოცემა არსებობს.

დარან-სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად უთუოდ საინტერესოა „ვისრამიანში“ მეტაფორულად ნახმარი გამოთქმა „სადარნო ადგილი“ („ქუყყანისა ფათერაქისა საარაკო ხარ და ლაშქართა ჭირისა სადარნო ადგილი“), მაგრამ უფრო საყურადღებოა „ვეფხისტყაოსანში“ საბრძოლო ეპიზოდების აღწერისას ნახსენები „სადარნოს ქმნა“. აქ იგი უკვე გარკვეული სამხედრო-ოპერატიული მნიშვნელობის ტერმინია და ქაჯეთის ციხის აღებას უკავშირდება.

ქაჯეთის ციხის მისადგომებთან საბრძოლოდ დაბანაკებული სამი გმირისა და მათთან ხლებული 300 მეომრის ღამით დამალვა თუ თავშეფარება პოემაში „სადარნოს ქმნად“ არის წოდებული:

„სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები,
თანა ჰყეა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები,
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა ფარები“.

მოიერიშებმა რომ მარტო ღამის სიბნელეს არ შეაფარეს თავი, არამედ ამასთან ერთად, რაღაც საფარიც მონახეს (ზუნებრივი ან ხელოვნური), ამას ამტკიცებს სიტყვები: „გაჩნდეს, მიჰმართეს“; მაგრამ აქ ისიც ირკვევა, რომ დამალულნი ღამე ირგვლივ მიდამოსაც გაეცვენენ, სასწრაფოდ, სახელდახელოდ, მაგრამ გულდაგულ დაათვალიერეს ციხე-ქალაქის მისადგომები, ე. ი. „დადარნეს“ გარემო, ამის დამადასტურებელია მსაზღვრელები: „უცრუო“, „ანაჩქარები“. ნათქვამის საფუძველზე, რუსთველური სტრიქონების შინაარსი შეიძლება ასე გადმოიყვას: ციხეს ღამით უქნეს სადარნო (მალულად ჩაუსაფრდნენ), დაათვალიერეს, დაზვერეს და ეს ე. წ. „სადარნოს ქმნა“ იყო უტყუარი, ზუსტი, ნამდვილი, თუმცა კი საჩქაროდ ჩატარებული.

აი, ასე უნდა გავიგოთ შ. რუსთაველის მიერ ნახმარი სიტყვა „სადარნო“, რომელიც თავისი ფორმითაც და შინაარსითაც ასე ნიშანდობლივ ეხმაურება მესხეთის კულტურის ძეგლთა ერთი სახეობის აღმნიშვნელ სიტყვას — დარანს.

საჭიროა დარნების გამოვლენა-აღნუსხვას, დაცვასა და შესწავლას ჯეროვანა ყურადღება მიექცეს.

და ნ ო წ მ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ე ბ ი :

1. ა. ჩიქოვაძე. დალექტიონები „ვეფხისტყაოსანში“: ენიშის მოამბე, III, თბ., 1938.
2. Н. Марр. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре». Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема: Изв. Акад. Наук., 1917; Н. Марр. Об источах творчества Ш. Руставели и его поэме, под ред. Н. Мегрелидзе. Тб., 1964.




3. არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა: ჩვენი საუნჯე, ტ. IV, თბ., 1960, გვ. 152.
4. ვ. ნოზაძე. განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა, ფერთა შეტყველება, ბუენოს აინსტრუქცია
5. ნ. ქოივა. ძვირფასი ქვები შ. რუსთაველის პოემაში: ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938 წ.
6. ი. მაისურაძე. მესხური ლექსიკა. სადისერტაციო ნაშრომი. 1948 წ.
7. მნათობი, 1937, № 8—9
8. ი. მაისურაძე. მასალები მესხური ლექსიკიდან: ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1955 წ.



შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის ისტორიიდან (XII საუკუნის საქტიტორო პორტრეტები ფაუნისში).

ქართული შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის ბევრია კარგად შემონახული ბრწყინვალე ნიმუში ხელოვნების ამ დარგისა. მაგრამ კიდევ უფრო მეტია ისეთი ძეგლი, რომლის დღევანდელი სახე მისი ყოფილი მშვენიერების მკრთალი ანარეკლიდაა. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა ასეთი „აჩრდილების“ მკაფიოდ გამომკვლავებული არტისტიზმი და მათში დაცული უაღრესად საინტერესო ისტორიული თუ იკონოგრაფი-



ფაუნისი, ჩრდილოეთი კვლას მოხატულობის სქემა.

ული ნიშნები, სტილისტიკურ თავისებურებებს გარდა, იპყრობენ ჩვენი ყურადღე-
 ბას და გვაძიებენ სწორედ ისინი შევისწავლოთ განსაკუთრებული გულსხმით
 რებით. მათ რიცხვს ეკუთვნის კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის შემოთ მდ-
 ბარე ე. წ. ფ ა ვ ნ ი ს ი ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესიის მოხატულობა. მხატვ-
 რობა ორფენოვანია: პირველი ფენა ეკლესიის — საშუალო ზომის დარბაზული
 ტიპის შენობის — თანადროული უნდა იყოს (X ს.), მეორე კი — XII საუკუნის.
 მესამე მეოთხედით თარიღდება [1]. მხატვრობა უაღრესად საინტერესოა და გან-
 საკუთრებით სავალალოა, რომ იგი დაზიანებულია არა იმდენად დროის მიერ,
 არამედ მნახველთაგან, რომელთა წარწერებმა თითქმის მთლიანად დაფარა მოხა-
 ტულობის ქვედა რეგისტრი. სწორედ აქ, ტრადიციის თანახმად შესასვლელის
 პირდაპირ, ჩრდილოეთ კედელზე, მოთავსებულია ქტიტორთა პორტრეტები, რომ-
 ლებიც დღეს ჩვენი ყურადღების საგანს შეადგენენ.

გამოსახულთა ვინაობის დადგენის ცდას სპეციალური კვლევა მიეძღვნა.
 [1, თ. III]. აქ მათ პაროზითად „ფავნელებს“ ვუწოდებთ და ვიკულისხმებთ, რომ
 ისინი შთამომავალი არიან იმ ფავნელებისა, რომელთა სახელები ისტორიულმა
 საბუთებმა X საუკუნიდან შემოგვინახა [2, გვ. 87 — 88; 3, გვ. 1 — 3].

ამჯერად ფაენისის ჯგუფურმა პორტრეტმა ჩვენი ინტერესი, რა თქმა უნდა,
 უპირველესად იმის გამო მიიპყრო, რომ აქ გამოსახული პირები შოთა რუსთავე-
 ლის თანამედროვეები არიან, ჩვენ კი ასეუ პირთა გამოსახულებანი არც თუ იმდენ-
 ნი შემოგვრჩა, თუმცა ქართული ხელოვნება საერთოდ უაღრესად მდიდარია ქტი-
 ტორთა პორტრეტებით. ჩვენი „ფავნელები“ არა მარტო შოთას თანამედროვეები
 იყვნენ, არამედ, შესაძლოა, თავისი მდგომარეობით მასთან ახლო მდგომი პირნიც



ფაენისი, ქტიტორთა პორტრეტების სქემა.

კი, რადგან, როგორც პორტრეტის შემდგომი განხილვა გვიჩვენებს — აქ ჩვენ გვაქვს დიდ ფეოდალთა, საზოგადოების უმაღლესი წოდების წარმომადგენელი გამოსახულებანი.

ამის გარეშეც, ფაენისის ისტორიული პორტრეტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თავისი რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურების გამო, რომელთა წყალობით იგი საქტიტორო გამოსახულებათა შორის განცალკევებულ ადგილს იკავებს.

იატაკის დონიდან საკმაოდ მაღლა აწეული ჯგუფური პორტრეტი თავის მარჯვენა ნახევარში შეიცავს ეკლესიის პატრონის — წმ. გიორგის — გამოსახულებას, რომელსაც თავყანს სცემენ მარცხნივ მოთავსებული ორი ფეოდალი და მათ შუა მდგომი ბავშვი (ის, რომ არც ერთ ფეოდალთაგანს ხელში არ უპყრია ეკლესიის გამოსახულება მოწმობს, რომ ქტიტორები არა მამუნებლები იყვნენ ეკლესიისა, არამედ მხოლოდ მისი ხელშორედ მომხატველნი). ორივე მხრიდან სცენა შემოსაზღვრულია ვერტიკალურად გამოსახული იარაღით: ფარებითა და ხმლებით.



ფაენისი, ქტიტორის პორტრეტი.

პორტრეტში ყველაფერი უჩვეულოა: თავყანისცემა წმ. გიორგისა, ისევე, როგორც ამ უკანასკნელის გამოსახულების ტიპი — იგი „პატრიცის“ სახითაა წარმოდგენილი; ფეოდალთა ჩაცმულობა — მოკაზმულობა; სამხედრო რეგალიების განსაკუთრებული ხაზგასმა. ყოველი ამ ნიშანთაგანი ცალკე განხილვას მოითხოვს.

როგორც ვთქვივთ, საქართველოში ისტორიულ პირთა მრავალი გამოსახულება გვაქვს. მაგრამ ქტიტორები ჩვეულებრივ მოცემულნი არიან ვედრების პოზაში ქრისტეს, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის წინაშე. ფაენისის გარდა, ერთადერთი ჩემთვის ცნობილი შემთხვევა ჭულეს 1381 წლის ფრესკაა [4, გვ. 23].¹ სა-

1. წმ. მეომართა ფონტალურად გამოსახვა მოხატულობა პირველ რეგისტრში საქართველოში, ისევე, როგორც ბიზანტიაში, ჩვეულებრივ მოცემულია იყო. ფაენისის გარდა, ამას ვხვდებით ვარძიაში, ბუთანიაში, ყინციისში, ჭულესა და სხვ.

დაც სამცხის ხუთი ათაბაგი თაყვანსა სცემს, ისევე როგორც ფაენისში, ეკლესიის პატრონს — წმ. გიორგის.

წმ. გიორგის გამოსახულების ტიპი, როცა იგი მოცემულია წარმოდგენის სახით პატრიცის სამოსელში — ქიტონსა და ტაბლიონის მქონე გრძელ-წამოსასხამით შემოსილი — ნ. კონდაკოვის აზრით, ბიზანტიური წარმოშობისაა [5, გვ. 279 — 280]. ბიზანტიის ხელოვნებაში მას X — XII საუკუნეთა მანძილზე უაღრესად ფართო გავრცელება ჰქონდა. იგივე ნ. კონდაკოვი სთვლიდა, რომ წმ. გიორგის გამოსახულება მეომრისა და მხედრის სახით — აღმოსავლური წარმოშობისაა. როგორც დაადასტურა გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევებმა [6, გვ. 250, 368 — 373]. წმინდა მეომრისა და მხედრის ტიპის სამშობლო — საქართველო უნდა იყოს. მართლაც, აქ თითქმის უპირატესად გავრცელებულია წმ. გიორგის — მეომრისა და მხედრის გამოსახულებანი, პატრიცის სახით კი ეს, ესოდენ დიდი პოპულარობის მქონე, წმინდანი საქართველოში გვხვდება ძირითადად თავის „ცხოვრებათა“ სკენებში. ამგვარად, ფაენისის გამოსახულება საერთო წესიდან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. უნდა ვიგულისხმობთ, რომ თავისი კომპოზიციისათვის სწორედ ამ ტიპის შერჩევისას ოსტატი ძირითადად ხელმძღვანელობდა ამ გამოსახულების იმპოზანტურობით. მართლაც, წმინდანის გრძელი თეთრი კაბა, ქვემოთ ფართო წითელი ქოზით შემკული, უკან კი ნაოჭებად დაკეცილი, მისი მუქი წითელი ფერის განიერი სამხედართმთავრო მოსასხამი ირგვლივ შემოვლებული ყავისფერი არშიით, რომელსაც ორ მწკრივად გასდევს მარგალიტთა სხმული, წმინდანის ცისფერი შარავანდი და წითელი ჩექმები — ყველაფერი ეს უფრო შეეფერებოდა საზეიმო საერო პორტრეტს მდიდრულად გამოწყობილ ფეოდალთა გამოსახულებებით, ვიდრე გიორგი-მეომრის სახე.

წმ. გიორგი აკურთხება ორ მონუმენტურ, მხარბეჭიან ფეოდალს და მათ შორის მდგომ პატარა ბიჭს. ყველაღი სამი-მეოთხედით არიან მიბრუნებული გიორგისაკენ და ვედრების ქუსტით მიმართავენ მისკენ ხელებს. შემორჩენილია მეორე ქტიტორისა და ბიჭის სახეები, რომელთა ნაკვეთი, მათი ერთმანეთთან დიდი მსგავსების მიხედვით, გარკვეულ ინდივიდუალურ თავისებურებებს უნდა გამოსცემდნენ. ორგვესთვის დამახასიათებელია ყვრიმალისა და ლოყის რბილი ხაზი, პატარა, სწორი ცხვირა, ნუშინებრი ჭრილის მქონე თვალები, პატარა პირი, რბილად დახვეული გრძელი თმა. ქტიტორის პატარა წვერ-ულვაში მაჩვენებელია იმისა, რომ გამოსახულია ახალგაზრდა კაცი. ქტიტორისა ხელები თხელია, რბილი, მათი ნახატი ლამაზია.

ფეოდალთა ჩაცმულობა, როგორც ეტყობა, იმ დროის რეალურ მოდებს უნდა შეესაბამებოდეს. მოზრიდლთა თავსაბურავი ზუსტად ერთნაირია: ეს საკმაოდ დაბალი თეთრი ქუდებია, ქვემოდან მუქი ბეწვით შემოვლებული, ზემოდან შემკული მრგვალი „ლილით“. ბავშვის ქუდი არსებითად ასეთივეა, ოღონდ ზემოთ მომრგვალებულია. ზოგადი სახით ეს ქუდები უახლოვდება იმ თავსაბურავებს, რომლებიც XI — XII სს. გამოსახულებებში გვხვდება (ზემო-კრიხი, უდაბნო, ადნიში).

პირველი ქტიტორის ტანისამოსი, როგორც ეტყობა, წარმოადგენს XI — XIII საუკუნეებში გავრცელებულ ე. წ. „კაბას“ [7, გვ. 101 — 105]. ეს საზეიმო ზედა-სამოსელია, წინ გახსნილი, წელში გამოყვანილი, ვიწრო სახელოებიანი, მაკვებუ-საყულოს ირგვლივ და ჭრილისა და ქოზის გასწვრივ მოჩუქურთმებული ზოლით შემოვლებული. იგი მიწამული ფერისაა, თეთრით შემკული. ჩვეულებრივ „კაბა-

თავან¹ განსხვავებით ფაენელთა კაბები გრძელია (ისინი მუხლებს ქვემოთ ჩამო-
დიან) და უკან ძლიერ დანაოჭებული.

მეორე ფაენელის სამოსელი განსხვავდება პირველის ჩაცმულობისაგან. უფრო რთულია. კაბა ყვილელია, ფართო წითელი მოჩუქურთმებული ზოლით შემ-
კული. იგი გვერდზე ჩაჭრილი (შესაძლოა სწორედ ასეთ — გვერდზე ჩაჭრილ —
კაბას უწოდებდნენ ძველად „ჯუბას“).¹ კაბის ქვეშ ვარდისფერი პერანგია, რომ-
ლის ვიწრო გრძელი სახელოები მაჯებზეა გადმოსული. კაბის ზემოთ ფაენელს
აცვია მოკლე, განიერი, მოკლესახელოებიანი, მეწამული ფერის, თეთრით გაწყობი-
ლი, ქურთუკი. მისი თეთრი „სამკლავე“, რომელიც საქართველოში, ისევე, რო-
გორც მთელს აღმოსავლეთში [8, გვ. 103 — 104] წარმო-
ადგენდა, სამკაულის გარდა, ძალაუფლებისა და მაღალი
წოდებრივი მდგომარეობის
აღმნიშვნელ ნიშანს, სადაა
(ჩვეულებრივ იგი იკაზმება
კუფიკური ორნამენტით).
ქართუკი, რომელიც მარჯვე-
ნა მხარეზე შემკულია მრგვა-
ლი, გარკვეული ფუნქციების
მატარებელი, მედალიონით
[6, გვ. 266] უნდა წარმოად-
გენდეს ძველ საქართველოში
ფართოდ გავრცელებულ მოკ-
ლე სამოსელს — „ყაბარჩას“ —
„ყაბარჩას“ [7, გვ. 109 —
112]. რომელიც იკერებოდა
ან მოკლე — ან გრძელსახე-
ლოებიანი და იმისდა მიხედ-
ვით წელიწადის რომელ
დროისთვის იყო განკუთვნი-
ლი, „მობეწული“ იყო ან არა.



ფაენის, ზეშვის პორტრეტი

ბიჭის კაბა-„ჯუბა“ — ისეთივეა, როგორც მეორე ფაენელისა. მას განასხვა-
ვენს ის, რომ იგი შეკერილია სხვადასხვა ფერის (ლურჯი, თეთრი, ყვითელი, ყა-
ვისფერი) გრძივი ნაჭრებისაგან.

პირველი ფაენელის „კაბას“ — ე. ი. წინ ჩაჭრილ ჩასაცმელს — თ. ვირსალა-
ძე გასსახვრავს, როგორც საზეიმო და ამავე დროს, სამხედრო სამოსელს
[9, გვ. 184 — 185]. მომწიფებულ შუა საუკუნეების ძეგლებში ასეთ სამოსელში
გამოსახავდნენ მეფეებს, უფლისწულებს და მსხვილ ფეოდალებს, როგორც ეტყო-
ბა, უპირატესად ერისთავთ. აღსანიშნავია, რომ იმ ჯგუფურ პორტრეტებში, რო-
მელთაა შემონახული არა აქვთ წარწერები, „კაბა“ აცვია გამოსახულთა შორის
პირველს, უფროსს, ე. ი. სწორედ იმას, რომელიც ერისთავად შეიძლება ყოფილიყო,

1. ჩასაცმელთა დასახელებაში ერთიანობა სადღესოდ არაა დადგენილი. აქ ჩვენ მოგვყავს
მხოლოდ ჩვენი საკუთარი აზრი ამა თუ იმ ტერმინის მიკუთვნების შესაძლებლობის შესახებ.



დანარჩენები კი გვერდზე ჩაჭრილ „ჯუბებში“ არიან (ზემო კრიხი, ფაენისი, აზნა-
ნი, ოცინდალე). აქ გვინდა მოვიყვანოთ ერთი პატარა ცნობა იმის შესახებ, თუ
რატომ ჰქონდათ ერისთავთ უფლება სამეფო სამოსელში გამოეყვანათ
„ძველი ერისთავთა“ ავტორი, მოგვიხაროს რა, თუ როგორ მისცა მეფემ ერის-
თავობა ქსნის პირველ ერისთავს, ამბობს: „... მაშინ მოუბოძნა შვიდნი ეს ხეენი,
განსაკლებლნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა
ერისთავ ცხრაზმისხევისა. და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მე-
ფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საქურველი და ცხენი
თორნოსანი (თიროსანი), დროშაი და შუბი...“ [10, გვ. 346].

ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს წამოვჭრათ: საკითხი პირველი ფე-
ნელის ერისთავობის შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბრისხმაო არა მარტო
მისი „კაბა“. არანაკლებ ყურადღების ღირსია ფეოდალთა იარაღი, რომელიც მათ
უკანაა გამოსახული.

თავისდათავად ფაენელთა საქურველი, როგორც დიდი და მძიმე ხმლები, ისევე
მრგვალი და ნუშისებური ფორმის ფარები, ტიპურია ქართული ძველებისათვის
და იპორტებს ტრადიციულ ფორმებს. ნიშანდობლივია ის, თუ როგორ არის ეს
ფარ-ხმალი მოცემული კომპოზიციაში, სადაც მის გამოსახვას აწკარად რიტუალუ-
რი ხასიათი და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

იარაღის გამოსახვის ეს ტიპი, როდესაც ერთი-მეორის უკანაა აღმართული
ფარი, ხმალი და ხანდახან შუბიც, ადრეული დროის ხელოვნებაში უაღრესად იშ-
ვიათაა.¹ ჩვეულებრივ, იარაღი მოცემულია წმ. მეომრის წინ ან უკან. თვით მეო-
მარი კი დგას ვედრების პოზაში მაცხოვარის, ან მისი მაკურთხებელი მარჯვენის
გამოსახულების წინ. კომპოზიციათა სილექტი შინაარსობლივად სხვადასხვაა: აქ
ქრისტე ან წამებულთა ვვირგვინებს ადგანს წმ. მეომრებს, ანდა ხლება ქრისტეს
შიერ წმ. მეომართა და მათი იარაღის კურთხევა. უკანასკნელ გამოსახულებასთან
გვაქვს საქმე ფაენისშიც. მხოლოდ აქ ფეოდალებსა და მათ იარაღს კვლევისის პატ-
რონი წმ. გიორგი აკურთხებს. ექვს გარეშეა ის, რომ აქ სწორედ იარაღის კურთხე-
ვა-დალოცვასა აქვს ავგილი, ცხადია ისიც, რომ: ა) ამჟვარი აქტის საჟი-
როება უნდა არსებულიყო განსაკუთრებით საქართველოს მზარდი აქტიურობის
ისეთ ეპოქაში, როგორც იყო გიორგი III-სა და თამარ მეფის დრო; ბ) თავის
იარაღთან ერთად კურთხეული ფეოდალები სახელმწიფოებრილი მეომრები უნდა ყო-
ფილიყვნენ. რამდენადაც ვიცით, ფაენისის გამოსახულება საერო პირისა, რომელ-
საც აკურთხებენ მის იარაღთან ერთად — საქართველოსათვის უნიკალურია.²
მაგრამ, ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ „ხელმწიფის კარის გარეგნებაში“
თითქოს და გაკერით ნახსენები ფრაზა: „...მტბევიარსა ზედა დარბაზს მისსა საჯ-
დომსა უკანით მისსა მოღარეთ-უხუცესსა ფარი და ხმალი აქვს უკანით, ამაღ რო-
მე ერისთავიც არის შავშეთისა“ [11, გვ. 15, § 28; 12, გვ. 216, § 18].

ეს წინადადება საშუალებას აძლევს ივ. ჯავახიშვილს დაასკვნას, რომ დარბა-
ზობის დროს ერისთავთა უკან იდგნენ მათი საგანგებო მოხელეები — მოღარეთ-

1. საქართველოში მისი პირველი მაგალითი—ბოქორმის წმ. გიორგის X—XII ს. მიწის
ქველური ხატა [9, გვ. 429—444, ფოტო 162], ამ სახის ძველთა ნუსხა იხ. ე. პრიგოდავის ხსენ.
ნაშრომში.

2. მაცხვარიშის 1140 წლის მხატვრობაში არის დემეტრი ზის იარაღით მეფედ კურთხვის
სცენა [9, გვ. 175—176, ფრაზი ტაბულა].



უზღვესება, რომელთაც ერისთავთა ფარხმალი ეჭირათ. ხელმწიფის კარის გარე-
გების თანახმად, დარბაზობის დროს იარაღსმული იყო ამილახორიც — „ამილახორის
სპასალარის ვეზირი“ [11, გვ. 2, 9; 12, გვ. 205, 212]. სამწუხაროდ, „გარე-
გის“ ის ნაწილი, სადაც ცნობები იყო იმის შესახებ, თუ როგორ იყო წარმოდგე-
ნილი დარბაზობაზე თვით ამირსპასალარი, დაკარგულია, მაგრამ არის ყველა სა-
ფუძველი ვიდეოქროთ, რომ იგი შეიარაღებული იყო.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ: ა) ფანისის კედლის მხატვრობაში წარმოდგე-
ნილი არიან ფეოდალები, დიდებულები, როგორც ეტყობა, სახელმწიფოებრივი
მხედართმთავრები და მეომრები, რომელთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა, ერისთავია;
ბ) წარმოებს როგორც ამ დიდებულთა, ისე მათი იარაღის კურთხევა; გ) ამიტომ
ის სამოსელი, რომელშიაც ისინი გამოწყობილი არიან ამ მნიშვნელოვანი პრო-
ცედურის დროს, ნამდვილად წარმოადგენს ნახევრად საზეიმო, ნახევრად კი საო-
მარ ჩაცმულობა-მოკაზმულობას.

სცენის მთლიანი მხატვრული სახის შესახებ, სამწუხაროდ, ახლა ძალიან ძნე-
ლია ლაპარაკი მოხატულობის ამ ნაწილის ძლიერი დაზიანების გამო, მაგრამ
მხატვრობის საერთო ნონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფრესკის
ეს ნაწილიც თავისუფლად ერწყმის მოხატულობის საერთო ანაზმულს. აქ არ არის
ის დაპირისპირება დეკორატიულად დამუშავებულ სადღესასწაულო ციკლის სცე-
ნებისა უაღრესად ლაკონიურსა და მკაცრ საქტიტორო გამოსახულებებისადმი,
რაც თვალში ხვდება მნახველს თუნდაც ზემო-კრიხის [13, გვ. 147] მხატვრობაში.
პირიქით, ის „ხალიჩისებრი“ სიჭრელე, რომელიც დამახასიათებელია ფანისის
მოხატულობისათვის საერთოდ, თავს იჩენს უკუფურო პორტრეტშიც. წმ. გიორგისა
და ფეოდალთა მონუმენტური ფიგურები, საჭურველ-იარაღი, ოდესღაც არსებული
წარწერები მთლიანად ავსებენ სცენისათვის განკუთვნილ სიბრტყეს. ამავე დროს,
პორტრეტი თითქოს გრძელდება უშუალოდ მის გვერდით, დასავლეთის კედ-
ლის წრდ. კუთხეში, მოთავსებული ორი წმ. მეომრის — თევდორესა და დიმიტ-
რის — გამოსახულებით. ეს უკანასკნელი წარმოგვიდგებიან დიდებულთა კურ-
თხევის მდებარე მოწმებდად. სწორედ იმის გამო, რომ სცენა, ასე ვთქვათ, გადა-
დის ერთ კედლიდან მეორეზე, იგი კიდევ უფრო მჭიდროდ ერწყმის ნთელს მოხა-
ტულობას და მკვეთრად და მკაფიოდ ასახავს მისი სტილის ზოგად მიმართულე-
ბას, როცა მონუმენტულობა მოცემულია ნაკეთთა უაღრესი მთლიანობისა და
ურთიერთშერწყმულობის ფონზე.

და მთლიანად უღიწმინდები:

1. ვ. პრავდოვა. ქართული საერო და საეკლესიო მხატვრობის ურთიერთკავშირის შესახებ
(ფანისი და XI—XII სს. კედლის მხატვრობის სხვა ძეგლები). სადისერტაციო ნაშრომი, ზელთ-
ნაწერი. 1964 წ.
2. თ. ჟორდანი, ტრონიკები, ტ. 1, ტფ., 1893.
3. თ. ჟორდანი. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმეს მონასტრისა. თბ., 1896.
4. Д. П. Гордеев. Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году: Известия
КНИИ. т. I. Петроград, 1923.
5. Н. П. Кондаков. Византийские эмалы, СПб., 1892.
6. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959.
7. ფ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის,
III—IV. თბ., 1962 წ.



8. Н. Кондаков. Изображение русской княжеской семьи в миниатюрах XI века, СПб., 1906.


9. Т. Б. Вирсаладзе. Роспись художника Микаела Маглаვეзи **სამაგისტრო ნაშრომები** ქართული ხელოვნება, ტ. 4, თბ., 1955.

10. ძეგლი ერისთავთა, შ. მუსხიას გამოცემა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

11. ე. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920.

12. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953.


13. Т. Б. Вирсаладзе. Фресковая роспись в церкви Архангелов села Земно-Крихи: ქართული ხელოვნება, 6-ა. თბ., 1963.



XII ს-ის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ჩიხაში

სხედასხვა ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლებით ძალზე მდიდარ ყვირილის ხეობაში ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ამ წერილის საგანიც, სოფელ ჩიხის ღვთისმშობლის ეკლესია.

ეს პატარა შენობა, რომელიც აქ აგებული ციხე-სიმაგრის ეკლესია-სამლოცველოს წარმოადგენდა, არ ყოფილა დღემდე გაზომილი და გამოკვლეული. სპეციალურ ლიტერატურაში მის შესახებ არავითარი მასალა არ მოიპოვება, არც ისტორიულ საბუთებში შენახულია რაიმე ცნობები. არსებობს მხოლოდ ხუროთმოძ-



ჩიხა, ციხე და ეკლესია.
გენერალური გეგმა

ღვარ კალაშნიკოვის მიერ შესრულებული სქემატური ნახაზი ციხის კომპლექსის გენერალური გეგმისა — გალავანი, კოშკი და ეკლესია (ძეგლი 1928 წელს გაზრდა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციამ).

ჩიხაში აგებული ციხე, როგორც ჩანს, ადგილობრივ ფეოდალთა სათავედაცვლად სიმაგრეს წარმოადგენდა. ადგილი მისთვის დიდად მოხერხებულადაა არჩეული. მაღლა, მთის კალთაზე დადგმული კოშკიდან, როგორც ხელის გულზე, იშლება ვრცელი ხედი ზემო-იმერეთის მიდამოებზე, სოფლებზე.



ჩიხა. საერთო ხედი

ციხის გალავანი, რომელიც ოვალური მოხაზულობის ეზოს ფარგლავს, ახლათითქმის მთლიანად ნანგრევებადაა ქცეული. დაზიანებულია დროთა განმავლობაში ეზოს ცენტრში აღმართული ოთხკუთხა კოშკიც. მისი ზედა ნაწილი მთლიანადაა გადანგრეული, საშრეთის კედელი ნაწილობრივ განგრეულია. ყურადღებას იქცევს კოშკის კედლების უზარმაზარი სისქე. დღევანდელი სახითაც კი ციხე მძლავრი და მნიშვნელოვანი ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.



შეკეთების კვალს არც კოშკი და არც გალავანი არ ატარებს. საშენ მასალას კოშკისათვის უმთავრესად უხეშად გათლილი, მუქი რუხი ფერის ქვა წარმოადგენს. გალავნის წყობაში კი ქვაყორეცაა გარეული.

მინიატურული ეკლესია-სამლოცველო ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დგას. გალავანში და ეკლესიასთანაც მისასვლელი გზა აქედანვეა გაკეთებული.

ეკლესიისათვის ადგილის შერჩევა გალავნით შემოვლებულ ეზოში, კომპლექსის ძირითადი ნაგებობის — კოშკის — მდებარეობით უხდა იყოს განსაზღვრული. ორივე შენობა ერთდროულად აგებული ჩანს, ორივე ერთი მეორითაა განპირობებული. ერთი მეორეს უწყვეს ანგარიშს.

ძეგლის არქიტექტურა უკიდურესად მარტივია. ეს ერთნაგვიანი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. რომლის აბსოლუტური ზომები იმდენად მცირეა, რომ აქ სულ რამდენიმე ვაცი თუ დაეტეოდა თავისუფლად. ტრადიციულ საყრდენ თაღებსა და კედლების გასწვრივ გავლებულ საფეხურს მოკლებული პაწაწინა ნაფი — დარბაზი მოყვანილობით კვადრატს უახლოვდება. იგი ბრტყელი, ნახევარწრიული, ეკლესიის იატაკის დონესთან შედარებით შემალბებული, აფსიდით მთავრდება. აფსიდში გაჭრილი ეკლესიის ერთადერთი სარკმელი სწორკუთხა მოხაზულობისაა. სარკმლის ორსავე მხარეს თაღჩებია დატანებული — საეკლესიო ნივთების შესანახი ერთადერთი ადგილი. აქვე საკურთხეველში მოთავსებულია მოზრდილი ქვის ტრაპეზი.

შესასვლელი ეკლესიაში ორია. ერთი, თავდაპირველი, დასავლეთითაა მეორე, სამხრეთისა, ყველა ნიშნის თანახმად. გვიანაა გაჭრილი (მას არაბუნებრივი, ტრაპეციისებრი, უხეში მოხაზულობა აქვს. შეჭრილია ცოკოლის საფეხურში; ფუნქციური თვალსაზრისით კარის გაჭრა აქედან გაუმართლებელია: სამხრეთ-აღმოსავლეთით ეზოს ძლიერი დაფერდების გამო. შენობა მაღალ ცოკოლზეა დადგმული; და ამ მხრიდან შესასვლელი არა აქვს).

ეკლესიის იატაკი უხეშად გათლილი ფილებითაა მოფენილი. შენობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში ჩანს კანკელის ჩასანაგრებელი ბუდეები (ახლა აქ ხის კანკელია, დაფარული იაფუხისიანი, გვიანდელი რუსული ხატებით). შიგნით ეკლესიის კედლები გაღვსილია, მაგრამ მხატვრობის კვალი არ ჩანს. შენობას აღარ შერჩენია ძველი გადახურვა. აფსიდის კონქისა და ნაფის კამარაც მთლიანად დაღუპულია. ახლა აქ თუნუქის ახალი ორკალთიანი სახურავია გაკეთებული.

გაცილებით უფრო საინტერესოა შენობის გარეგანი სახე. ეკლესია კარგად გათლილი მოყვითალო-რუხი ქვითაა მოპირკეთებული. მიუხედავად გვიანდელი შეღწეილობისა, რომელიც გარედანაც სულ მთლიანად ფარავს კედლებს (შეუღესავადაა დატოვებული მხოლოდ ორნამენტული მორაქლოების შემცველი ნაწილები შენობისა), მაიხვ ირკვევა წყობის ხასიათი; იქ, სადაც შეღწეილობა ჩამოცეწილია, ჩანს, რომ კედლები კარგი ოსტატობითაა ნაშენი.


ეკლესიის გეგმის კონტური გარედან სწორკუთხაა. შენობის ცოკოლი უბრალო საფეხურს წარმოადგენს. მარტივი პროფილიანი კარნიზი — ბრტყელი წრეთარგი თაროსა და ლილვს შორის — მთლიანად მოჩუქურთმებული ყოფილა, რასაც თავდაპირველი ფრაგმენტები გარკვევით მოწმობენ. შენობის კამარისა და კონქის ჩანგრევის შედეგად, როგორც ჩანს, ძალიან დაზარალდა კარნიზიც. დღევანდელი სახით, არაბუნებრივად მცირე ქანობის მქონე ფრონტონის კალთები. გვიანდელი



შეკეთების შედეგი უნდა იყოს, ისევე, როგორც კარნიზის ძველი ქვების ნებისმიერი დალაგება, შემამკობელი ჩუქურთმების სახეთა ანგარიშგაუწვევლად.

ეკლესიის სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები სწავსენით დაა. ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთის საარკმელი, რომელიც, ყველა ნიშნისთანაშად, თავდაპირველია: იგი სრულიად მოკლებულია მორთულობას, რაც თავისთავად უჩვეულოა მომწიფებულის შუა საუკუნეების ეკლესიებისათვის.

შენობის „საზეიმო“ ფასადს დასავლეთისა წარმოადგენს. აქ არის მოთავსებული მდიდრულად შემკული შესასვლელი კარი, რომლის ტიმპანსაც ასომთავ-



ჩიხა. წარწერა შესასვლელის ტიმპანში

რული წარწერაა ამოჭრილი. იგი ტიმპანის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული, მედალიონში ჩასმული, ჯვრის ორსაგ მხარეს და მის ქვემოთაა განლაგებული. წარწერა კარგად იკითხება, ასოები ღრმადაა ჩაჭრილი. სტრიქონების სისწორე, საკმაოდ წესიერადაა დაცული, ასოები მრგვალი მოყვანილობისაა. არსად არ ჩანს მათი გადახმა. შინაარსი წარწერისა გახსნილი სახით შემდეგია:

-ქწ	ჯვარი	ქრისტეის [ი]
წმინდაი		ბარბარე

და ქვემოთ, სამ სტრიქონად:

„ქწ მრავალ მოწყალეო ღმერთო შეუნდვენ ცოდვანი შერაზატს. და განუსვენე [სულსა] მამისა მისისა იოვანესსა“.



შერაზატისა და მისი მამის იოვანეს ვინაობა ჩვენთვის უცნობია (ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ შერაზადიშვილთა გვარი დღესაც ცნობილია ზემო იმერეთის მტკნარწყალის ზობელ რაქაში).



ჩიხა, ეკლესიის შესასვლელი

ჩიხის ეკლესიის ძალზე მარტივი არქიტექტურა თავისთავად არ იძლევა რაიმე გარკვეულ მონაცემებს მისი ზუსტი დათარიღებისათვის. აქ ძირითადად დასაყრ-

დენს ძეგლის მორთულობა წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთის პორტალის კომპოზიციის შედგენის პრინციპი.

ჩიხის პორტალში საინტერესოა მისი რთული, ნაკლებ გავრცელებული, სახე პროფილისა. თუ ადრინდელ ანალოგიას ჩვენი ძეგლისათვის (მხოლოდ პროფილის თვალსაზრისით) XI ს. სვეტიცხოველში ვხვდებით აღმოსავლეთის ფსადის დეკორატიული ფრიზის სახით [1, გვ. 37, 38], XII საუკუნეში აღნიშნული პროფილი გელათის დიდი ტაძრის ნართექსის მორთულობაში უკვე სარკმლის საპირის სახითაა ცნობილი. იგივე პროფილი, კვლავ სარკმლის შესამკობად, გამოყენებულია 1152 წ. საორბისის ეკლესიაში [1, გვ. 49 2, გვ. 180 — 190, ტაბ. II]. ჩვენი შემთხვევის უშუალო მსგავსება ორ უკანასკნელ ნიმუშთან, საორბისთან და გელათთან, ე. ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში მოქცეულ ძეგლებთან, მნიშვნელოვანი გარემოებაა. მომწიფებული შუა საუკუნეების ძეგლებში არც მანამდე, არც შემდეგ, მსგავსი პროფილის გამოყენების მაგალითები უშუალოდ კარ-სარკმელთა საპირეების სახით ჩვენ არ შეგვხვდებოდა. ამასთან ერთად, შენობის დასათარიღებლად მნიშვნელოვანია საპირის აგების საერთო სქემაც. ჩიხის პორტალში უცრ კიდევ არა გვაქვს თაღის ქუსლებთან და ბოლოში მოთავსებული ტრადიციული სამკაულები, რომლებიც თითქმის საყოველთაოდ ვრცელდება XII — XIII სს. მიჯნიდან.



ჩიხა. შესასვლელის
 მორთულობის დეტალი

თავისი აღნაგობით ჩიხის პორტალი ადრინდელ ნიმუშებს უკავშირდება, რომლებშიც საპირეები უწყვეტად უვლიან გარს კარ-სარკმლებს.

ასეთი სქემა, როგორც ცნობილია, კვლავ შემოდის ხმარებაში მომწიფებული შუა საუკუნეების გვიანა საფეხურზე, სახელდობრ XIII ს. შორე ნახევრიდან, მაგრამ ამ დროს კარ-სარკმელთა მორთულობა, ჩუქურთმის სახეები, პროფილები — აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი მკვეთრი ნიშნებითაა აღბეჭდილი, რაც სრულად განასხვავებს მათ წინამორბედი ხანის — XI — XII სს. — ნიმუშებისაგან, კერძოდ, ჩვენი მაგალითისაგანაც.



როგორც ზევით აღინიშნა, ჩიხის პორტალი განსაკუთრებულ მსგავსებას საორბისის აღმოსავლეთის სარკმლის შორთულობასთან ამჟღავნებს. აქ საერთოდ არა მარტო პრინციპი საპირეთა პროფილის შექმნისა, არამედ პროფილის უშუალოდ ხასიათიც. შეფარდება საპირის ცენტრალურ ჩაზნექილ არესა და განაპირა ამონქექილ არეებს შორის; დიდია ჩუქურთმის მსგავსებაც, როგორც თვით ნახატის სქემის, ისე ჩუქურთმის შესრულების სტილისტიკური მონაცემების თვალსაზრისით.

ჩიხის პორტალის ჩუქურთმა, ისევე როგორც საორბისის აღმოსავლეთი სარკმლის ჩუქურთმა, შექმნილია საპირის კიდეებზე განლაგებული წრეებისა და მსაზღვრელი ლენტებიდან აღმოცენებული მრავალნაწილიანი ფოთლებით, რომლებიც ავსებენ ჩუქურთმის თითქმის მთელ არეს.

ეს სახე დაკავშირებულია ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის ფართოდ გავრცელებულ მოტივთან, რომელსაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ვხვდებით ძეგლების მორთულობაში.

დროთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, შექმნილი იყო აღნიშნული მოტივის მრავალგვარი სახესხვაობა, რომლებიც, ფაქტიურად ერთი, ძირითადი სახის ვარიაციებს წარმოადგენს. მომწიფებული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ამ მეტად პოპულარულ და მრავალფეროვან სახეში ნათლად აისახა სტილის განვითარების თითოეული საფეხური თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით, მათგან უდიდესი ფორმებითა და ხერხებით. ამ ორნამენტის ევოლუციას, როგორც რენე შმერლინგი შენიშნავს სპეციალური დაკვირვების საფუძველზე, ახასიათებს მცენარეული ელემენტების გადაზრდა დაწნულ ელემენტებად. [3, გვ. 65, 67]. XI ს. ძეგლებში ნახატის კომპოზიციის ძირითადი ელემენტია მსხვილი განშტოებული ფოთლები, რომლებსაც ახასიათებს დიდი სიახლოვე მცენარეულ პროტოტიპებთან, სტილიზაცია მხოლოდ ისახება. ამ ჩუქურთმათა ნახატი და ძერწვარაულია (სამთავრო, სამთავისი, ნიკორწმინდა). ასეთია თავისი ხასიათით ფოთოლი ჯერ კიდევ XII საუკუნის საორბისის ჩუქურთმაშიც, თუმცა აქ წნვის ელემენტი ცენტრალური კვანძის სახით უკვე ჩნდება [3, იქვე].

ჩიხის მოტივი ფოთლის ხასიათისა და მისი მნიშვნელობის მიხედვით კომპოზიციის სწორედ დასახელებულ ნიმუშებს უახლოვდება. ძალიან გავს იგი ამ მხრივ საორბისსაც. უკანასკნელისაგან მას მხოლოდ ცენტრალური კვანძის უქონლობა განასხვავებს.

დროთა ვითარებაში ფოთლის გამოსახულება, როგორც ცნობილია, სულ უფრო და უფრო შორდება მცენარეულ პროტოტიპს; სტილიზაცია მასში განმსაზღვრელი ხდება, ხოლო ჩუქურთმის კომპოზიციის ფოთოლი თანდათან წნვის მეორეხარისხოვან, დამატებით ელემენტად იქცევა. XIII საუკუნიდან ეს ტენდენცია უფრო ძლიერ იჩენს თავს. XI — XII ს. ძეგლებთან (სამთავრისი, სამთავრო, ნიკორწმინდა, საორბისი) ჩიხის მოტივს ფოთლის მოდელირების ხერხეც აკავშირებს. ფოთლის მთელი არე ამ ნიმუშებში მოცემულია თითქოს ერთიანი სიბრტყით, საერთო პლანით. ფოთლას ცალკეულ ელემენტებს შორის, ფოთლის შიგნით, ზღვარი მკვეთრად არ ისახება; ხაზგასმული დიფერენცირება ფოთლების ელემენტებისა უფრო გვიან — XII — XIII საუკუნეთა მიჯნიდან — იჩენს თავს.

XI — XII სს. ძეგლებთან ჩიხის ჩუქურთმას მტკიცედ აკავშირებს ცენტრალური ფოთლების განაპირა არეების თავისებური დამუშავებაც დამატებითი, ფესტო-

ნების მსგავსი, ელემენტებით. სწორედ ასეთია ფოთლების განაპირა არეები სარობისშიც.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ჩვენი ნიმუშისათვის ფოთლების განაპირა არეების გენეალი ელემენტების შეხვედრის ადგილების დამუშავება ღრმა, თითქოს გაბურღული, წერტილოვანი ღრმულებით. ასეთი „შავი წერტილები“ XI ს. მრავალი ძეგლის ჩუქურთმებში გვხვდება (რუისში, სამთავისში, ნიკორწმინდაში). მათ ვხედავთ საორბისშიაც, უფრო გვიან კი ეს ხერხი დაეწიებუღია. ფოთლის ნახატის



ჩიხა. შესასვლელის მორთულობა



ჩიხა. კარნიზის მორთულობა

გამარტივებასთან, მისი ცალკეული ელემენტების მკვეთრ ხაზგასმასთან ერთად, იგი სრულიად ისპობა. მე-13 საუკუნის ძეგლებში „შავი წერტილები“ აღარ ჩანს. ჩუქურთმის ეს დეტალი სტილის მკვეთრი დამახასიათებელი ნიშანია. ასეთი წერტილების არსებობა ჩვენს ძეგლში, სხვა ნიშნებთან ერთად, გარკვევით განსაზღვრავს ძეგლის შექმნის დროს: იგი XII საუკუნის მეორე ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს. უკვე 1172 წლის იკორთაში და 1196 წ. ბეთანიის მცირე ტაძარში ეს ხერხი დაეწიებუღია.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი ჩიხის ჩუქურთმაში — ესაა პატარა პორიზონტული სარტყლები ფოთლების ღეროებზე. ასეთი სამკაულები კვლავ მხოლოდ XI — XII საუკუნეებში გვხვდება. აღნიშნულ სარტყლებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ, მაგალითად, სამთავისის ჩუქურთმაში. სარტყელი აქ გულდასმითაა დამუშავებული, მას მკაფიოდ დეკორატიული ხასიათი აქვს. ასეთივე ხასიათის სარტყლები გვაქვს საორბისის სამხრეთის სარკმლის მორთულობაში [2, ტაბ. IV]. ჩვენს ძეგლშიც სარტყლების ნახატი გულმოდგინეთაა დამუშავებული; მას ერთგვარი მანერულობაც კი ახასიათებს. სარტყელი მთლიანად კი არ კვეთს ფოთლის ღეროს, არამედ შეწყვეტილია საწინავი ღერტის განაპირა ღარებთან.

დიდ მსგავსებასთან ერთად, რომელიც XI — XII სს. ზემოთმოცვანილ ნიმუშებსა და ჩიხის მოტივს შორის არსებობს, როგორც ჩუქურთმების ცალკეული

ელემენტების ხასიათის მხრივ, ისე შესრულების საერთო ხერხების თვალსაზრისითაც, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. ჩიხის პორტალის ჩუქურთმა მოკლებულია იმ რბილ პლასტიკურობას, შესრულების ვირტუოზულ თავისუფლებას, არტისტიზმს, რაც დამახასიათებელია, მაგ., სამთავროს, სანთავისისა და სწორების ჩუქურთმებისათვის. ჩიხაში საგრძნობია კუთხოვანების, სიხისტის ელემენტები, ნახატის მოუქნელობა, თვისებები, რომელნიც პორტალის მორთულობას გაწაყული ხელით შესრულებულ ხელოსნურ ნახელავად აქცევენ.



ჩიხა. კარნიზის მორთულობა



ჩიხა. პორტალის საპირის პროფილი

პორტალის ჩუქურთმასთან ჩიხაში მჭიდროდაა დაკავშირებული კარნიზის შემამკობელი სახეებიც. როგორც სახის ნახატის თვალსაზრისით, ისე შესრულების ხერხებით და მანერით (ეს კვლავ ფოთლის ზედაპირის დაუნაწევრებელი, მთლიანი ზედაპირით დამუშავებაა, კვლავ „შავი წერტილების“ გამოყენება და სხვ.), შინობის ორნამენტული დეკორი, ერთგვაროვანი თავის სტილისტიკური მონაცემებით და შესრულების ხასიათით, ერთი ოსტატის ხელს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩიხის ეკლესია, თავისი მორთულობით, შეგვიძლია მივიჩნიოთ დიდი ხუროთმოძღვრების პროვინციული სკოლის წარმომადგენლად. იგი შორს არის ქართული ხუროთმოძღვრების ზემოთმოყვანილი წამყვანი ნიმუშების ბრწყინვალეობისაგან, მაგრამ მასში, როგორც დავინახეთ, გვხვდება ის ნიშნები სტილისა, რომლებიც სწორედ აღნიშნულ ძეგლებს ახასიათებს. ეს ნიშნები საერთოა. როგორც გამოჩენილი, დიდად ნიჭიერი ოსტატების მიერ შექმნილი ძეგლებისათვის, ისევე მათი ნაკლებ დაოსტატებული, ნაკლებ დახვეწილი გემოვნებისა და ნაკლები გაქანების მქონე კოლეგების მიერ აგებული შენობებისათვის.

ჩიხის ოსტატი ცდილობს არ ჩამორჩეს თავისი დროის მიღწევებს, მხატვრულ ხერხებსა და მოტივებს. საინტერესოა, რომ მათ შორის იგი გაბედულად ირჩევს ურთულეს მავალითებს. უკანასკნელთა ხასიათის მიხედვით, როგორც ჩანს, ძეგლის აგება უკავშირდება XII საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე გვიან არ უნდა

იყოს აგებული. ანალოზით მიღებულ ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება დასავლეთი კარის წარწერის პალეოგრაფიული მონაცემებიც.

ამგვარად, ჩიხის ეკლესიის სახით ჩვენ რუსთაველის ეპოქის კიდევ ერთი ძეგლი შემოგვემატა.

დ ა მ ო წ მ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ე ბ ი :


1. Н. П. Северов. Памятники Грузинского зодчества. М., 1947.
2. Г. Чубниов. Соорбнская церковь: Христианский восток, IV, выв. II, Пгр., 1915.
3. Р. Шмерлинг. Самтавро — памятник XI века: ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942.



რუსთაველის ეპოქის ერთი ბაზრკვიველი მონეტის დათარიღებისათვის

მას შემდეგ, რაც შოთა რუსთაველის ეპოქის ფულსა და საქართველოში ამ დროს ფულის მიმოქცევას თ. ლომოურის [1], ნ. ქოიავას [2], და ა. ბიკოვის [3], ნაშრომები მიეძღვნა, არც ისე ბევრი დრო არის გასული. მიუხედავად ამისა, ქართული ნუმიზმატიკის ამდროინდელი ძეგლები შეივსო ფრიად საყურადღებო ნიმუშებით, რომლებიც სულ უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა [4], მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს პუბლიკაციებიც მოითხოვენ განმარტებებსა ან შევსებას.

ოციოდე წლის წინათ პროფ. ე. პახოშოვის პირად კოლექციაში გავეცანი ერთ უცნაურ სპილენძის მონეტას, რომელიც მისი ნებართვით გამოვაქვეყნე. იმ დროს ეს მონეტა ერთადერთ ცალად იყო ცნობილი და თითქოს განკუბ, მრგვალი მოყვანილობისა და ნორმალური ზომისა აღმოჩნდა. ვიძლევი ამ მონეტის ფოტორეპროდუქციას და აღწერილობას.



მონეტა სპილენძისაა, ზომა — 16 მმ., წონა — 5,48 გრ., შუბლის ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ბ შემოვლებული ხაზიანი რკალით. რკალს გარეთ კიდებზე განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება — „სახელითა ღვთისაითა“.

მონეტის ზურგზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი დამახინჯებული ისე უხეშად, რომ მისი ამოკითხვა ვერ ხერხდება.

მონეტის ცენტრში მოთავსებულ ასომთავრულ „ბანს“ არავითარი კავშირი არა აქვს თარიღთან,

რადგან ის მოხვედებოდა 782 ან 1314 წელს და ამ დროისათვის არავითარ დამახასიათებელ ნიშნებს არ ატარებს. უფრო მართებულია, რომ ეს ნიშანი სახელისაა და, კერძოდ, ბაგრატის ინიციალად მივიჩნიოთ.

ამიტომ, მონეტა ჩვეულებრივი ზომა-წონის, ნორმალური მოყვანილობისა და ზედ ამოკვეთილი ზედწერილის შინაარსის მიხედვით XIV საუკუნით დათარიღდა



და ბაგრატ მეხუთეს (1360 — 1393 წ.წ.) მიეკუთვნა [5]. ასეთ განსაზღვრებას დროს ე. პახომოვიც იზიარებდა.

XIV საუკუნით ამ მონეტის დათარიღების საკითხი პირველად საექვო გახდა 1956 წელს, როდესაც ერევანში ყოფნის დროს სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში სრულიად შემთხვევით წაეაწყადი ფანქრით შესრულებულ ანაბეჭდს, რომელიც გადაღებული იყო ასეთივე, ოღონდ უკვე უწესოდ მოჭრილ, მონეტიდან, რაც XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან საქართველოში მიღებული აღარ იყო.

ორიოდე წლის შემდეგ უწესოდ მოჭრილი ასეთივე მონეტები შემოემატა ე. პახომოვის კოლექციას, რის შემდეგ ეჭვები გაძლიერდა. ხოლო, როდესაც ცნობილი გახდა 1959 წელს აღმოჩენილი განძის შემადგენლობა, აშკარა გახდა, რომ ბაგრატ მეხუთისადმი ამ მონეტების მიეკუთვნება არ შეიძლება. ეს განძი, აღმოჩენილი ქალ. დარუბანდის კომუნარების ქუჩაზე არხის გაყვანის დროს, ძალიან დამახასიათებელია თავისი შემადგენლობით და მონეტების უზარმაზარი რაოდენობით. იგი შეიცავს XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის 150 კილოგრამ ილდიგიზიდურ, შარვანულ, დარუბანდის მელიქებისა, სელჯუკურ და ქართულ სპილენძის მონეტებს უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ჯგუფში ზემოაღწერილი ტიპის რამდენიმე მონეტაც ერია და, მაშასადამე, ისევე, როგორც განძის დანარჩენი მონეტები, XIII საუკუნის დასაწყისზე გვიან ვერ დათარიღდება. მით უმეტეს, რომ უწესოდ მოჭრილ მონეტებს ამის შემდეგ უკვე აღარ უშვებდნენ.

თუ შევთანხმდით, რომ მონეტის ცენტრში მოთავსებული ასომთავრული „ბანა“ თარიღად ვერ ჩაითვლება და ბაგრატის ინიციალს არ წარმოადგენს, ისიც უნდა გავიზიაროთ, რომ მონეტა XII საუკუნის ახლო ხანს ეკუთვნის და იმ ისტორიულ პირს უნდა მიეწერიოს, რომელიც XII ს-ში ან ადრე მოღვაწეობდა. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო შესაფერი ბაგრატ IV (1027 — 1072 წ.წ.) იქნებოდა. მაგრამ მისი მონეტები ცნობილია მხოლოდ ვერცხლისა, მოჭრილი ბიზანტიურ ყაიდაზე (ელაქჩინის ღვთისმშობლის გამოსახულებით შუბლზე და ასომთავრული ზედწერილით ზურგზე).

რაც მთავარია, გავრცელებული შეხედულებით, სპილენძის ფულის მოჭრას საქართველო მხოლოდ XII საუკუნიდან შეუდგა. აი, რას ამბობს ამის შესახებ პროფ. ე. პახომოვი: «До сих пор (ე. ი. XII საუკუნემდე, დ. კ.) мы имеем дело исключительно с серебром: ни одной медной монеты, битой в Грузии как грузинами, так и мусульманами, до нас не дошло, но с начала XII века дело резко меняется, и на протяжении ста с лишним лет мы имеем только одну медь» [6].

მეორე თავის ნაშრომში ე. პახომოვი ამ აზრს ოდნავ არბილებს, — ეხება რა მუსლიმანურ ვერცხლის დირჰემს, რომელიც შექმნილი პირობების გამო ვეღარ ასრულებდა საერთაშორისო მონეტის დანიშნულებას, ის ამბობს, რომ XI საუკუნის დაწყებისთანავე მუსლიმანური დირჰემი «... теряет не только постоянство пробы и веса, но и формы, превращаясь в неправильные, плоские, довольно толстые кусочки самого низкопробного серебра, переходящего постепенно в медь, лишь слегка добренную серебром. К XII веку металл этой монеты переходит в чистую медь» [6].

მაშასადამე, საქართველოში სპილენძის ფულის გაჩენას პირველ შემთხვევაში



ე. პახომოვი უფარდებს «с начала XII века», ხოლო მეორე შემთხვევაში — «к XII веку».

ას არც იმას უარყოფს, რომ საქართველოში სპილენძის მოჭრა XII საუკუნეშიც შეიძლება. «ныт может и производился, но вероятно в очень малых количествах: находки новых кладов могут пополнить этот пробел».

შორსმჭვრეტელი მეცნიერის ამ უკანასკნელ განცხადებას შესანიშნავად ამართლებს თბილისში აღმოჩენილი ერთერთი განძის შემადგენლობა. 1953 წ. მეტეხის ციხის ძირთან, მტკვრის მეორე ნაპირზე აფეთქებული მეჩიასის მოედნის მოსუფთავების დროს, საძირკვლის ქვეშ აღმოჩენილი იყო საკმაოდ მოზრიდილი ფულადი განძი, რომელიც თითქმის მთლიანად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა.

მონეტებზე შერჩენილ ზედწერილების ფრაგმენტებისა და ზოგ შემთხვევაში თარიღების ნაწყვეტების საშუალებით გაირკვა მომჭრელის სახელი (თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი ამირა ალი იბნ ჯაფარი), მოჭრის ადგილი (თბილისი) და მონეტების გამოშვების დრო (418 ჰიჯრა — 1027/28 წ.წ.). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ განძის მონეტებმა უკვე დაჰკარგეს აქამდე მიღებული კანონზომიერი მოყვანილობა, — თავისი სტრუქტურა. ისინი შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის ფერფიტებზეა მოჭრილი, მათი წონა 0,12 — 5,23 გრ. წორის მერყეობს და, ამიტომ, სიქის ანაბეჭდი ზედ ვერ თავსდება, რამაც ძალიან გაართულა ზედწერილების ამოკითხვა.

რაც მთავარია, მონეტების დასამზადებლად გამოყენებული იყო ოქროსფერი ბრინჯაო, რომელიც თავის დროზე ისე სქლად ყოფილა დავერცხლილი, რომ მიწაში ხანგრძლივი ყოფნისა და წმენდის დროს ქიმიური მძლავრი რეაქტივების გამოყენების მიუხედავად, დღემდე ვერცხლის შთაბეჭდილებას სტოვებს [8].

ამრიგად, ამ განძში თავმოყრილი ნიმუშები ნათლად ამჟღავნებენ მონეტის გაუარესების იმ საფეხურებს, რომლებზედაც თავის დროზე ე. პახომოვმა მიგვიითხია. ხოლო დარუბანდის განძში აღმოჩენილი სპილენძის ქართული მონეტები ასომთავრული „ბანი“ ცენტრში, რომლებიც მონეტის გაუარესების სულ უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენენ, როგორც გარეგნული ნიშნების მიხედვით, ისე ზედწერილის შინაარსით, მხოლოდ და მხოლოდ ბაგრატ IV უნდა მიეკუთვნოს.

და მ ო წ მ ე ბ უ ლ ი წ რ ო მ ე ბ ი :

1. თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში: კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938 წ.
2. ე. ტოიავა. ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში: საქართველოს მეც. აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, თბილისი, 1938.
3. А. А. Быхов. Грузинские монеты XII — XIII вв.: Сборник «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938.
4. დ. ლანგი. შენიშვნები კავკასიური ნუმიზმატიკის შესახებ (ინგლისურად): ნუმიზმატიკ კრონიკა, მეექვსე სერია, ტ. XVII, 1957; Е. А. Пахомов. Загадочные грузинские монеты на побережье Каспия. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკის სახელწი: აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, 1966.
5. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1950 წ. გვ. 77, ტაბ. IX, № 126.
6. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I, СПб, 1910 г. გვ. 79.
7. მისივე. Монетные клады Азербайджана. Баку, 1926, გვ. 24.
8. ამის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები იხ. Д. Г. Канададзе. Клад монет начала XI века Тбилисского эмира Али-ибн Джафара: Эпиграфика Востока, XIV — 1961 г.



ღმინან ხინშიაშვილი
არტიტექტორი

პირველი მარცხალი

ხალხური უფვისა და ხურთომოქმდობის მუხმუხის
პირველი ექსკონატი

სიონის ტაძარი (VII — IX სს. ბაზილიკური ტიპის შენობა), რომელიც თიანეთის რაიონის სოფ. სიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მდინარე იორის მარცხენა ბორცვე მდებარეობდა, არქიტექტურული თვალსაზრისით ორიგინალური ნაგებობაა. იგი შიდა სივრცის თავისებურებით, კომპოზიციის მთლიანობით, მდიდრულად გაფორმებული სვეტისთავეებით დიდი მხატვრულ-ისტორიული და მეცნიერული ღირებულების ძეგლს წარმოადგენს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ 1951 წ. დაიწყო სიონის მიდამოებში წყალსაცავის მშენებლობა. ძეგლს უშეველი დაღუპვა ელოდა. პროექტის მიხედვით საცავის წყლის დონე სახურავის კეხიდან 80 სმ. მაღლა უნდა ყოფილიყო. ე. ი. ძეგლი მთლიანად იფარებოდა წყლით. ძეგლის გადასარჩენად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილებით ტაძარი დაშლილი იქნა ახალ ადგილზე გადატანისა და აღდგენის მიზნით.

სიონის ტაძრის დაშლის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია შეუდგა ტაძრის ირგვლივ ტერიტორიის შესწავლას (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი). ექსპედიციამ მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრის მანძილზე, აღმოჩინა არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო აკლდამა.

აკლდამის გეგმა წარმოადგენს სწორკუთხედს, (3,70 × 3,44 მ.), რომლის ფართობი 12,73 კვ. მეტრია. იატაკი დიდი ხელოვნებითაა მოგებული, შირიმის ქვის სხვადასხვა ზომის თლილი კვადრებით. სამი კედელი ყრუა. აღმოსავლეთის კედელში შესასვლელია მოწყობილი. კედლები მხოლოდ შიგნიდან არის მოპირკეთებული შირიმის ქვის სუფთად თლილი კვადრებით. კვადრების ზომები სხვადასხვაა. წყობის ნაკერების პორიზონტალობა არ არის დაცული. ზოგიერთ ქვას ჩანაჭრებში მცირე ზომის ქვები აქვს ჩასმული. აკლდამის საპირე ქვების თლისა და წყობის ხასიათი ძლიერ უახლოვდება მთავარი ტაძრის საპირე ქვებისას, რაც გვაფიქრებინებს, რომ აკლდამისა და თვით მთავარი ტაძრის აგების თარიღები ერთმანეთს დაშორებული არ უნდა იყოს.

აკლდამის საკანი გადახურულია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით ნაწყობი ცილინდრული კამარით. გაწმენდისას კამარა ორ ადგილას ჩანგრეული აღმოჩნდა. (ჩანგრეულს გაქურდვის მიზნით). კამარა შეკრულია სულ 25 რიგისაგან, თვითვეული რიგის სიგანე საშუალოდ 20 სმ ტოლია.



აკლდამა შიგნიდან შელესილი ყოფილა კირის დულაბით, რომელშიაც ნაკუწი
 ზზეა შერეული. ალაგ-ალაგ შელესილობა შემორჩენილია. შესაძლებელია, კედ-
 ლეი მოხატულიც იყო. საკანში ორი ტახტია. საკანში შირიმის ქვის თლილი კედ-
 რებით ნაგები ორი ტახტია, რომლებზედაც ათავსებდნენ მიცვალებულის გვამებს.
 ტახტის სიგრძე 195 სანტიმეტრია, სიგანე 145 სმ. თვითუფლი ტახტი გათვალის-




აღდგენის პროცესი

წინებულია ორ მიცვალებულისათვის; ამიტომ, ყოველი მათგანი ორ ნაწილადაა
 გაყოფილი მცირე ზომის შირიმის ქვის ტიხრებით. ტიხარის სიმაღლე 7 სანტი-
 მეტრია. ამრიგად, აკლდამა გათვალისწინებული ყოფილა ოთხი მიცვალებულისა-
 თვის. აკლდამის გაწმენდისას ტახტებზე აღმოჩნდა ადამიანის ძვლები სუდარის
 ნარჩენებით, ხოლო დასავლეთის კედელსა და ტახტებს შორის არეულად ჩაყრილი
 ძვლები. სამარხში ნაპოვნი იქნა სხვადასხვა ნივთები, რომლებიც არქეოლოგებმა
 შეისწავლეს და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდეც.

აკლდამაში შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდანაა. დრომოსი წარმოადგენს 2 მეტრის სიგრძისა და 70 სმ სიგანის კორიდორს.

მის ფარგლებში ნ საფეხურია აკლდამაში ჩასასვლელად. დრომოსის ნაწილი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო შესასვლელი — არქიტრავის ქვიშა. დრომოსის კედლები და გადახურვები შირიმის ქვის თლილი კვადრებითაა ნაშენი. წყობის ხანაათი ისეთივეა, როგორც აკლდამისა. დრომოსის წინ კადვე რაღაც




ცილინდრული თალი. აღდგენის პროცესი


მცირე ზომის საკანი ყოფილა; რას წარმოადგენდა იგი ძნელი დასადგენია, რადგან, ფაქტიურად, მისი მხოლოდ ერთი (სამხრეთის) კედელია შემორჩენილი და ისიც ნაწილობრივ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო საკანი, სადაც ხდებოდა აკლდამაში შესასვლელის ჩაკეტვა ქვის ლოდით.

ამ მეტად საინტერესო არქეოლოგიური მონაპოვრის დაცვისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეთოდურმა საბჭომ საჭიროდ სცნო მისი დაშლა და ახალ ადგილზე გადატანა. რესტავრატორები კვლავ რაღული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ.

აკლდამის დაშლამდის ძეგლი მთლიანად გაიწმინდა მიწისაგან; ჩატარებუ-



აქლდამის გეგმა



ჭრილი, ზედი აღმოსავლეთით



ლი იქნა მისი არქეოლოგიური აზომვა და სრული ფოტოფიქსაცია. წინასწარ შერჩეული სისტემის მიხედვით ყოველი ქვა დანომრილი იქნა და აღინიშნა ნახაზებზე.

ძეგლის დაშლა მიმდინარეობდა მეტად დიდი სიფრთხილით. პირველ რიგში დაშლილი იქნა ცილინდრული კამარები, კამარების დაშლის წინ ადგილზე დამზადებული იქნა ქარვები, რომელთა მიხედვითაც შემდგომ უნდა ჩატარებულიყო აღდგენა. ყოველი რიგის მოხსნის შემდეგ ხდებოდა ანაზომი ნახაზების შედარება და ფოტო ფიქსაცია. ყველა მოხსნილი ქვა იფუთებოდა და იგზავნებოდა ახალ ადგილზე.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ აკლდამის ასაგებად ადგილი ვაკის პარკის ტერიტორიაზე გამოპყო. იქ, სადაც უნდა აშენდეს ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმი.

აკლდამის აღდგენა დაეწყო იმავე ტექნიკით, რომლითაც თავიდანვე იყო აგებული და იმ მეთოდით, რომლითაც ძველი აზომილი და შესწავლილი იქნა. დანომრილი ქვები თავსდებოდა თავ-თავის ადგილებზე და, ამავე დროს, ისინჯებოდა ანაზომებთან შედარებით. მცირეოდენი შეცდომის შემთხვევაში ზენო რიგის ქვები არ მოერგებოდნენ ქვემოს და კამარა არ შეიკვრებოდა.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში აკლდამის აღდგენა დამთავრდა, რესტავრატორთა დაულალავი და ენერგიული შრომის შედეგად. განსაკუთრებით ფასდაუდებელია სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს ოსტატის ვალერიან ვაჭარაძისა და ქვისმთლელთა ბრიგადირის მიხეილ ბოგუშევის მიერ გაწეული შრომა.

ამრიგად, ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმმა მიიღო დიდი საჩუქარი. ეს პირველი მერცხალია.



რუსთაველისადმი მიძღვნილი...

საკვინირო სსიპ თეატრი

ა. წ. 25 ივნისს ქ. თელავში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 85 წლისთავისადმი. სესიის მუშაობაში პრეზიდენტის დავალებით მონაწილეობა მიიღეს: შერატა ლევან გოთეამ, პროფესორმა პარმენ ზაქარაიამ, დოცენტმა ლევან ჩრეული-შვილმა, პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილემ ე. სოხაძემ, ინსტრუქტორმა შ. ჰაიბემ და საზოგადოების პრეზიდენტის სწავლულმა მდივანმა ირაკლი ზაქარაიამ.

სესიაზე, როგორც გვევლით იყო გათვალისწინებული, მოხსენებებით გამოვიდნენ შერატა ლ. გოთეა, პროფ. პ. ზაქარაია, დოც. ლ. ჩრეულიშვილი, პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე ე. სოხაძე.

სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე საზოგადოების თელავის რაიონბჭოს წარმომადგენლები დოც. ალ. გვენცაძე, ტ. გოზალიშვილი. მოხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. სესიაში, გარდა თელაველებისა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს გლუჯაინის, ყვარლისა და ახმეტის რაიონის მშრომლებმა.

სესია მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. შოთა რუსთაველის საიბიბლეო ღონისძიებითა შორის ეს ერთი სასარგებლო და უთუოდ მოსაწონი ნაბიჯია იყო.

თბილისიდან ჩასული წარმომადგენლები იმავე დღეს დაწვრილებით გაეცნენ თელავის მე-ზეულის, ბატონის ცხელი და ივალთის არქიტექტურულ ანსამბლს. ხოლო შემდეგ დღეებში ახმეტის რაიონში ალავეჯისა და კვეტერას ძეგლებს.

თელავის მხარეთმცოდნეობის მეზეუმში აქამდე მიმდინარეობდა საექსპოზიციო დარბაზების რეკონსტრუქცია, რაც ხელს უწყობს თვითონ ძეგლების თავდაპირვანდელი სახით წარმოჩენას. ამ საქმის სპეციალისტებმა პ. ზაქარაიამ, ლ. ჩრეულიშვილმა და სხვებმა, მეზეუმის მსვლელებთან ერთად რიგი ანგარიშ-გასაწყვი შენიშვნები მისცეს, რაც მათ სიახლოვეებით გაიზიარეს.

სესიის მონაწილეებმა დაწვრილებით შეისწავლეს ბატონის ციხის მიდამოები, ახალ მინაშენებისაგან მისი გაწმენდის ზოგიერთი ნაბიჯები. ამავე დროს მიუთითეს, რომ საქართველოში ტრადიციული შესასვლელის საშრეთი მხარის მინაშენებისაგან გათავისუფლება. საქართველოს კვ თელავის რაიონის პირველმა მდივანმა ან. ა. ვარდოშვილმა პრეზიდენტის წევრებს აღუთქვა ამ საქმის მოგვარება.

ივალთის არქიტექტურულ ანსამბლში (აქადემა) მიმდინარეობდა სარესტავრაციო სამუშაოები. როგორც რესტავრაციის ზღვამდევანულმა არქიტექტორმა გ. კვიციანიამ აღნიშნა, რასაც კომისიის წევრებიც დაეთანხმნენ, აქადემიის ერთ ნაწილში, კერძოდ, მარნის მომჯინავე ნაწილში, სარესტავრაციო სამუშაოები უნდა გაგრძელდეს. მაგრამ აქ რესტავრაციისათვის გამოყოფილი ვადები საქმარისი არ არის. საქართველოს ვადის გაგრძელება, რაც საქმეს ხელს შეუწყობს.

ახმეტის რაიონში კომისიამ შეისწავლა ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიაზე წარმოებულ სამუშაოები: ეკლესიის კედლების გაწმენდის პროექტში აღმოჩნდა შესანიშნავი მხატვრობა, როგორც დასავლეთის კარბქეში, აგრეთვე სამხრეთის კედლებზე. სავარაუდებელია, რომ ახგვარა მხატვრობა უნდა იყოს ჩრდილოეთითაც.

როგორც მხატვარ-რესტავრატორები აღნიშნავენ, სახსრების უქონლობის გამო იძულებული არიან სამუშაო შეაჩერონ, რაც კომისიის დაუშვებლად მიიჩნია, რადგან ამ საქმის შემდგომისათვის გადადება გამოიწვევს ხარბობების დაშლას. მათი აღდგენა კი საქმოდ დიდ სახსრებს მოითხოვს.

მხატვრები ფრესკების გაწმენდის დამთავრებენ 15 აგვისტოსათვის, რაც მცირეა მათთვის. ამიტომ რუსთაველის დღეებისათვის.



შეკეთებას მოითხოვს აგრეთვე ალავერდის სახურავიც.

საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები გაეცნენ ამბეტის მადამოებში არსებულ კვეტერის ანსამბლს. მოსაწონაა ამბეტის რაიონის პარტიული და რაიონული ხელმძღვანელებს, მათ შორის ნობა. აღრე აქ ძეგლის ვრცელი კომპლექსი ზეგებითა და ეკლ-ბარდებით იყო დაფარული. ამჟამად ნაწილი გაწმენდილია და მნახველს შესაძლებლობა ეძლევა მთელი ანსამბლის გაეცნობისა. ძეგლამდე მიყვანილია სამანქანო გზა.

კვეტერის ნამოსახლარი მრავალმზრევა საურაღდებო. იგი შეტ შორენველობას მოითხოვს. აქ გადარჩენილი X — XI საუკუნის ორსართულიანი სასახლის ნაშთები მძიმე მდგომარეობაშია. საქმარისია ოდნავი ბიძგი, რომ საზხრეთის კედელი გადმოწეეს, მისი გამაგრები კი დიდ სახსრებს არ მოითხოვს. ასევე უნდა ითქვას X საუკუნის გუმბათიან ეკლესიაზე, იგი ამბეტელეზმა-გაასუფთავეს დიდი ზეგებისაგან, მაგრამ გუმბათი და კედლები ახლაც ზეიარა შეენარეებითა და ფესვებითა დაფარული. გამაგრებას მოითხოვს მისი სახურავიც.



შალვა პაპიანი

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
პრეზიდენტის უფროსი ინსტრუქტორი



ეროვნული
ცენტრი

ძეგლების მატვალშირიობა კიროვის რაიონში

ამ წლის დასაწყისში შემუშავდა და დაიგზავნა ადგილებზე საქართველოს კულტურის ძეგლების დათვალიერების შესწავლის და მოვლა-პატრონობის ერთობლივი დებულება, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელები; დებულებაში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები კულტურის ძეგლების შესწავლისა და მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; დათვალიერებაში მონაწილე კოლექტივებისა და ინდივიდუალური ერთეულებებისათვის დაწესებული შესაფერისა წამახალისებელი ჭილდოები.

ბევრ ქალაქსა და რაიონში აღნიშნულ ღონისძიებებს მთელი სეროზელობით მიეკიდნენ და პრაქტიკულად შეუდგნენ ამ მითითებათა შესრულებას, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ დოკუმენტში; ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონი. მაგალითად, კიროვის სახ. რაიონში, სადაც განათლების განყოფილების გამგედ და, ამავე დროს, კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარედ მუშაობს ა. ა. შაქარაშვილი, დროულად მოყიდეს ხელი დებულების განხორციელებას. აქ შრომელთა დემუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის 1966 წ. 17 თებერვლის დადგენილებით შექმნილია ფერა-კომისია ა. შაქარაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ დებულების შინაარსის გაეცნობის მიზნით ჩაატარა რიგი საწმეოებისა. დაბეჭდა და დაეგზავნა დებულების ტექსტი რაიონში შემავალ კულტურის ძეგლთა დაცვის პირველად ორგანიზაციებს და თვითველ მათგანს დაუსცხა სათანადო ამოცანა კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში. აღნიშნულ თემაზე ჩატარდა მოხსენებები, საუბრები და სხვ.

კომისიამ ძეგლებზე საშეთოდ მიამარა პირველადი ორგანიზაციები:

ა) შველი ქალაქის ვალაიანი (ფრანგენტი) და კოჭი ბარათაშვილის ქ. № 3/15 და პუშკინის ჩიხი: 68-ე და 69-ე სკოლები;

ბ) ცეცხლსაფრანისმცემელთა სამლოცველო „ათეშგა“ (გომის ქ. № 3): 73-ე სკოლა.

გ) როსტომის სასახლის აბანო (შემდგენი ზარაფხანა), ერეკლე 11-ს მოედანი № 3: 71-ე სკოლა;

დ) გუმბათიანი ეკლესია „ჯვარის მამა“ (რიცინაშვილის ქ. № 6): 67-ე სკოლა;

ე) გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ძეგლი და სვერი ლესელიძის ქუჩაზე: 67-ე სკოლა;

ვ) სიონის ტაძარი: განათლების განყოფილება;

ზ) ნარიყალა: 66-ე, 74-ე და 75-ე სკოლები;

თ) სეიფის შეფის სასახლე და კარის ეკლესია (შეთელის ქ. № 2): 70-ე სკოლა;

ი) ანისხატის ტაძარი: საბინაო სამმართველო;

კ) ფუთაიანის მონასტერი (ბეთლემი): 104-ე სკოლა;

ლ) 300 არაგველთა ობელისკი: 72-ე სკოლა;

მ) ახალი სვერი ლესელიძის ქუჩაზე და ძველი აბანოს ნარჩენები: ბალნეოლოგიური კურორტი;

ნ) ძველი ქალაქის კედელი არაგველების ბაღში: 73-ე და 75-ე სკოლები.

ცნობილია, რომ ძეგლებზე შეფობა გულისხმობს ძეგლის მოვლა-პატრონობას, მის დაცვას, შესწავლასა და კეთილმოწყობას.

მოსასდგომად, განსაუბრებით ახალგაზრდობასთან, ეწეობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, ექსკურსიები და შაბათობები ძეგლებზე. კომისიას განზრახული აქვს გამოსცეს ბრო-

შერა თავის რაიონის კვლევების ძეგლებსა და ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებზე, პრაქტიკულად გამოიყენეს რაიონში არსებული კვლევების ფოტო-ალბომი და სტენდები.
ამ რაიონის 71-ე საშუალო სკოლამ კარგად გააფორმა კვლევების ძეგლების წარმართვის სტანდი.



66-ე საშუალო სკოლამ მოაწყო ექსკურსია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის „რუსთაველის საკვლევზე“, ჩაიწერა თქმულებები რუსთაველზე.
შრომელთა დებუებების რაიონული საბჭოს აღმასკომის დადგენილებით, უახლოეს დროში ძეგლები განთავსდებოდა იქნება მცხოვრებლებისა და სხვა და სხვა საწარმოო სახელოსნოებისაგან, რომელთა მიზეზითაც ხშირ შემთხვევაში ზიანდება კვლევების ძეგლები. ყველა ამ საკითხზე არსებობს წერილობითი საბუთები შრომელთა დებუებების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის დადგენილების სახით, მაგრამ საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა. პრაქტიკულად უნდა მივიღოთ ადგილზე და შევამოწმოთ კვლევების თვითნებური ძეგლის რეალური მდგომარეობა და ამის მიხედვით ვადაპტიოთ ემოქმედოთ ძეგლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; შით უმეტეს, ეს საქმე შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთანაა დაკავშირებული და ღირსეულად უნდა შევხედოთ ღირსშესანიშნავ თარიღს. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს ახალგაზრდებს. შემთხვევითი არ არის, რომ დათვალეუბების პოეზიური და ორგანიზატორები საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს განათლების სამინისტრო არიან.

სამეცნიერო სესია ქუთაისში

1966 წლის 6 ივლისს ქუთაისში საქართველოს კვლევების ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ინიციატივით მოეწყო სამეცნიერო სესია მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავად.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა შრომელთა დებუებების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ უ. კვიციანიძემ.

სესიის მონაწილეებს ველათის ზეოთომომენტრული ინსტიტუტისა და ივანეშვილის ნაგებობის შესახებ მოუთხრო ზეოთომომენტრული კანდიდატმა რ. მეფისაშვილმა. მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ზეოთომომენტრული კანდიდატის რუსუდან ყენის მოხსენებამ — „ველათის მონასტერში დაცული ქართული ოქრომქედლობის ძეგლები“.

საქართველოს კვლევების ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა არაქლი ზაქარიაშვილმა მსმენელებს მოუთხრო საქართველოს კვლევების ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქმიანობისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

ვეფხისტყაოსნის ქუთაისის ზღაპრების შესახებ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა დოკტორი მ. მახათაძე.

ქუთაისის მუზეუმში რუსთაველის საიუბილეო გამოფენის შესახებ მსმენელებს მოუთხრო უფროს მეცნიერ-თანაშრომელთა ჩ. აბესაძემ.

თამარ მუხის ცხოვრების ზოგიერთი სადგომი დაქტის საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ნიკოლაიშვილმა. მოხსენებებმა მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სესიის მონაწილეებმა დაათვალეს რუსთაველის ეპოქის ზეოთომომენტრების ძეგლები გვერთა და ველათი.



А н н о т а ц и и:

Г. А. ЛОМТАИДZE

Зав. отделом археологии феодальной
эпохи Института истории, археологии
и этнографии Академии Наук ГССР

Археологические памятники Грузии эпохи Руставели

В статье вкратце излагается история археологического изучения памятников грузинской культуры зрелого средневековья, эпохи Руставели (XI — XIII вв.). Археологические раскопки начались ровно 30 лет назад, в связи с первым юбилеем поэта. Рассматриваются важнейшие из их результатов: наметка контуров археологической истории ряда городов (Дманиси, Рустави, Тбилиси, Ахалкалаки, Телави и др.); зарождение «производственной археологии» (изучение памятников горно-рудной и металлургической промышленности, гончарного ремесла, стеклоделия и

т. д.); начало изучения, помимо городов, и других разнородных памятников: монастырей, дворцов, пенсерохранилищ, селищ.

По раскапываемым памятникам обрисовывается культурный (в значительной степени и духовно-культурный) облик различных слоев грузинского народа.

Все это составляет своеобразный вклад грузинских археологов, вносимый в дело научного исследования почвы, взрастившей великого мыслителя и художника средневековья Шота Руставели.

Г. В. АТИБЕГАШВИЛИ

Кандидат искусствоведения

Четыре портрета царицы Тамара

На протяжении веков грузинскими мастерами на стенах храмов велась своеобразная летопись в виде целой галереи портретов царей, феодалов, и даже семейных портретов. Но только от эпохи Руставели дошел до нас пример, когда портретное изображение одного и того же лица оказалось воспроизведенным в четырех различных памятниках. Это — блестящие в художественном отношении росписи в храмах в Вардзии, Бетании, Кинцвиси и Бергубани; а историческое

лицо, воспроизведенное в каждой из этих росписей — прославленный государственный деятель, женщина-правитель, которой по праву был присвоен титул царя-царей, Тамара. В Вардзии она с отцом — Георгием III, в Бетании и Кинцвиси — с отцом и сыном Георгием-Лаша, в Бергубани — только с сыном Георгием-Лаша.

Все четыре росписи, несмотря на разные их даты и разную индивидуальность создавших их мастеров, в



общем передают одни и те же черты царицы Тамары, и являются яркими примерами портретного искусства в пределах возможностей средневекового, религиозного и, вместе с тем, декоративного искусства. Портретность этих изображений еще ярче ощущается, если сравнить их с изображениями религиозных персонажей, написанных строго по канонам и поэтому более схематичных. Менее скованные канонами светские портреты ярче выявляют характерные национальные черты изобразительного искусства. Портреты царицы Тамары в этом отношении выражают своеобразную кульминацию. Эти портреты,

принадлежащие эпохе Руставели, ближайшую аналогию находят в глубоком светском грузинском искусстве того же времени — миниатюрах астрономического трактата А 65.

Сравнение с примерами византийского и европейского искусства позволяет выявить особое место грузинского портрета в общей системе монументальной стеновой росписи.

Естественно, что в эпоху блистательного развития, в эпоху наивысшего освобождения творческих сил, ярче выявляются тенденции, наиболее близкие национальному художественному мышлению.

Л. П. ГОТГА

Писатель

Шота Руставели и мир Светицховели

Статья литературного характера. Автор приводит ряд примеров, когда один писатель как бы воплощает в себе весь народ. Так же и Шота Руставели: можно сказать, что Руставели — это Грузия.

Его поэма переведена почти на все культурные языки и пользуется всеобщим признанием. Но для Грузии она имеет исключительное значение. Ведь это произведение — своеобраз-

ный художественно-моральный кодекс грузинского народа.

Руставели — духовный правнук Амирани и Миндия. Природа стиха Руставели естественна для грузинского языка, это слав народного стиха с лучшими песнопениями. В этом секрет неувядающей силы поэта.

Руставели — человек будущего — созрел на благодатной почве своей эпохи, богатой памятниками культуры.

Р. И. КЕНИЯ

Кандидат искусствоведения

Хахульская икона

Статья посвящена знаменитому триптиху XII в. — одному из самых выдающихся произведений грузинского чеканного искусства, ныне хра-

нищемому в Гос. Музее искусств Грузии в Тбилиси.

Первоначально икона богородицы («типа моления») находилась в Ха-

Хульском монастыре (в южной провинции древней Грузии — Тао), откуда и ее название «Хахульская богородица». Впоследствии она была перенесена в основанный Давидом строителем в 1106 г. Гелатский монастырь, где для иконы был заказан оклад — триптих — из золота (средняя часть) и позолоченного серебра (створки), украшенный драгоценными камнями и эмалью.

Триптих (1,47 м высоты и 2,02 м ширины с раскрытыми створками) думан как художественное обрамление вкладной эмалевой иконы. Эмали и драгоценные камни, в основном, распределены вокруг вкладной иконы как на центральной части триптиха, так и на створках. Фон триптиха целиком покрыт мастерски выполненным чеканным листовым орнаментом.

Изучение чеканки триптиха показало, что в её исполнении принимали участие два мастера, руки которых можно отличить как по композиционному построению декора, так и по манере исполнения.

Обивка створок снаружи, по обще-

му художественному облику, орнаментации и манере исполнения, также и по материалу (чистое серебро) резко отличается от обивки внутренней их стороны. По-видимому, наружные створки старого, первоначального, оклада были оставлены в качестве реликвии, поскольку икона считалась в народе «чудотворной».

Богатство самого триптиха и наличие множества украшающих её пожертвованных предметов послужили причиной неоднократного ограбления. Была похищена вкладная икона богородицы, пожертвованные иконе драгоценности, а также часть украшений самого триптиха. Эмалевые фрагменты иконы впоследствии были обнаружены в частной коллекции М. П. Боткина.

Парадное и богатое декоративное решение иконы в целом, и отдельных её деталей, мастерство исполнения, ценность использованных материалов и масштаб памятника определяют его выдающееся место как среди произведений грузинского искусства, так и всего средневекового искусства в целом.

В. В. ДЖАНАРИДЗЕ

Кандидат исторических наук

Городище эпохи Шота Руставели—Дманиси и его археологическое изучение

В статье кратко излагаются основные результаты археологических раскопок городища Дманиси — одного из значительных торговых центров средневековой Грузии.

Вначале автор упоминает о результатах работ Дманисской археологической экспедиции 1936 — 1937 гг. (руков. Л. В. Мухелишвили).

Возобновление археологических раскопок городища Дманиси в 1960 году (руков. В. В. Джанаридзе) уже сейчас значительно обогатило фонды Гос. Музея Грузии и расширило наши знания по истории феодальных городов Грузии.

Экспедицией уточнена стратиграфия городища, выявлены и датиро-

ваны развалины жилых, культовых построек, керамической и масляной мастерских.

Обнаружено большое количество монет, керамики, стеклянных и костяных изделий; описан и датирован клад золотых и серебряных украшений, собран богатый материал для изучения костных остатков животных (преимущественно домашних).

Г. М. ГАПРИНДАШВИЛИ

Кандидат архитектуры

Т м о г в и

Статья содержит популярное описание и исторические сведения о знаменитом городе-крепости Тмогви, в исторической грузинской провинции Месхети. Тмогви играл значительную роль в эпоху Руставели, в X — XIII вв. С ним связана деятельность многих исторических лиц, хорошо известных по древним письменным источникам.

И. Н. ЦИЦИШВИЛИ

Доктор искусствоведения

Памятники эпохи Руставели в Нижней Картии

Статья посвящена двум сильно разрушенным памятникам архитектуры в Тетрицкартском районе (историческая Нижняя Картия).

Несмотря на состояние памятников и их незначительные размеры, они привлекают внимание сохранившимися фрагментами декоративного убранства и особенно своими надписями. В одной из них говорится о замечательной победе войска царицы

археологическая экспедиция, в результате организации научных экскурсий, выявила и доставила в Музей некоторые, неизвестные до сих пор, памятники грузинской культуры (фрагменты алтарной преграды XIII в.; база стелы VII — IX вв. с греческой надписью и др.).

Тмогви, сильно пострадавший от землетрясения в 1283 г., а в конце XVI в. подпавший под власть турок (они были изгнаны в начале XIX в.), сохранил много памятников гражданской, оборонной и культовой архитектуры, надписей и т. д.

Детальное изучение Тмогви дело будущего.

Тамары над русским султаном Руки-эд-дином в Баспанском сражении 1204 года. Во второй надписи упоминается устройство родника в скалистой местности.

Выявленные в Нижней Картии многочисленные памятники свидетельствуют о важной политической и экономической роли этого края в XII веке.

Месхетские реалии в поэме Руставели

Статья касается нескольких терминов, встречающихся у Руставели и связанных, по мнению автора, с месхетской лексикой (Месхети, как известно, родина Руставели).

Это термины — Акики (драго-

ценный камень, разновидность агата), Капани (каменная или скалистая дорога, проход), Садарио (ср. с дарани, что в Месхети обозначает подземное укрытие-укрепление).

Е. Л. ПРИВАТОВА

Кандидат искусствоведения

Из истории грузинского средневекового портрета

(Ктиторские изображения XII-го века в Павниси)

В статье рассматривается часть росписи третьей четверти XII века в церкви св. Георгия в Павниси, близ сел. Ахалкалаки Каспского района, представляющая собой ктиторский портрет, развернутый в нижнем регистре северной стены. Условно ктиторы названы нами «Павнели»; лица носившие этот титул в исторических документах упоминаются с X-го века.

Павнисский групповой исторический портрет представляет большой интерес не только потому, что изображенные в нем лица являются современниками Шота Руставели. Благодаря ряду специфических черт, портрет стоит особняком среди многочисленных ктиторских изображений Грузин: а) Ктиторы — двое взрослых и мальчик между ними —

предстоят св. Георгию, а не, как обычно, Христу, богородице или архангелам. б) Св. Георгий дан в тине патриция, как это бывает в сценах его жития, а не в тине воина либо всадника, что общепринято в грузинских росписях. в) Своеобразное одеяние ктиторов, позволяющее причислить их к крупным феодалам, повидимому, прославленным воителям, и считать одного из них эриставом, подтверждает высказанную в литературе мысль о том, что одеяние это является полу-парадным, полу-военным облачением. г) В портрете особо подчеркиваются воинские регалии феодалов; сцена, как видно, представляет собой благословение на ратный подвиг как феодалов, так и их оружия.

И. Г. ГОМЕТАРИ

Кандидат искусствоведения

Архитектурный памятник XII века в сел. Чиха

Статья посвящена маленькой однонефной церкви, расположенной над

сел. Чиха (в Западной Грузии, в Сачхерском р.), в ансамбле крепостной

ს ა რ რ ე ბ ი

გიორგი ლომთაიძე — რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები 3

Г. А. Ломтадзе — Археологические памятники Грузии эпохи Руставели 3

გაიანე აღიბეგაშვილი — თამარ მეფის ოთხი პორტრეტი

Г. В. Агибегашвили — Четыре портрета царицы Тамара 13

ლევან ღოთუა — ვეფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო

Л. П. Гогуа — Шота Руставели и мир Светицховели 18

რუსუდან უჩია — ხანელის ზატი

Р. И. Кения — Хахульская шона 26

ვახტანგ ჭავჭავაძე — შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა

В. В. Джаваридзе — Городище эпохи Шота Руставели — Дманиси и его археологическое значение 32

გივი გაფრინდაშვილი — თმოგვი

Г. М. Гафридашвили — Тмогви 41

ირაკლი ციციშვილი — რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში

И. И. Цицишвили — Памятники эпохи Руставели в Нижней Картии 47

ილია მისიურაძე — „ვეფხისტყაოსნის“ შესხერი რეალიები

И. И. Миссурадзе — Месхетские реалии в поэме Руставели 53

ეკატერინე არიკაძე — შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის ავტორიადან

Е. Г. Арикова — Из истории грузинского средневекового портрета 61

ინა გომელაური — XII ს.-ის ხეროთომომძვრელი ძეგლი სოფელ ჩიხაში 63

ი. გ. Гомелаури — Архитектурный памятник XII века в сел. Чиха 63

დავით კამაძე — რუსთაველის ეპოქის ერთი გაურყვეველი მონეტის დათარიღებისათვის

Д. Г. Камандадзе — К датировке одной неопределенной грузинской монеты 79

ძეგლთა მეცნიერული დაცვა-აღდგენის პრაქტიკა
 Из практики научно-реставрационных работ

ლევან ხიმშიაშვილი — პირველი შერცხალი (ხალხური ყოფისა და ხეროთომომძვრების შეხუთვის პირველი ექსპონატი)

Л. М. Химшиашвили — Первая ласточка (Первый экспонат Музея народного быта и архитектуры) 82

ქრონიკა

Хроника 87

Аннотации на русском языке 91

გარეკანის პირველ გვერდზე — შოთა რუსთაველის პორტრეტი თვალსებული ხელნაწერიდან

გარეკანის ბოლო გვერდზე — შოთა რუსთაველის პორტრეტი, მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერიდან, 1646 წ.



ქართული
კულტურის
მოძრაობა

Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах

ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник восьмой

(На грузинском языке)

სერიის რედაქტორი ოთარ თაძეთაძე
რედაქტორი ვახტანგ ზვირიძე

ყდა დავით დუნდუასი
ტიქრედაქტორი გ. ამაშუქელი
კორექტორი ი. წიკლაური

ფერადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში

გადაცა წარმოებას 23|VIII 66 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX 66 წ.
ნაბეჭდ თაბ.—6,12, სააღ. საჯამომ. თაბ.—8,5
ანაწყოების ზომა 7 x 11 1/2 ქალაღის ზომა 70x108 1/16

ფასი 72 კაპ.
Цена 72 коп.

რედაქციის მისამართი: ძეგლის ქ. 19. ტელ. 9-84-47

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3


Типография театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

შეკეთა 3401

უ 11590

ტირაჟი 3390

167353-1
2025-09-06 13:33



عبدالله بن محمد